20 ოქ
1 013011 3428
ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 1 დეკემბერი 1999 №230 (1003) | ფასი 50 თეთრი

თბილისი... ქუთაისი... თოვლი... გაზაფხული

თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ სუპერფინალი ავდარმა საგაზაფხულოდ გადადო

ბოშკოვი ახალგაზრდებს უხმობს

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელს დეიან სავიჩევიჩი და დრაგან სტოიკოვიჩი აღარ სჭირდება

რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები



წარმოგიდგენთ ლაურეატებს

ვაჟა კაჭარავა

ბათუმში ერთი ქალია!

გუშინ ბათუმში მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატის მეორე ტურის პარტიები გაიმართა.

ჯერ საქართველოს ვაჟთა პირველ გუნდზე ვთქვათ, რომლის მეტოქე უნგრელები იყვნენ. სტუმართა შორის ერთი ქალბატონიც თამაშობდა, ალბათ ხვდებით, ვინც იქნებოდა: იუდით პოლგარმა კარგა ხანია ქალთა ჭადრაკს უგანა, კაცებში სცდის ძალას და საკმაოდ წარმატებითაც. გუშინ იუდითმა ჩვენებური გიგა ყაჭეიშვილიც დაამარცხა, მას მხარი თანაგუნდელებმაც აუბეს და საბოლოოდ უნგრელებმა 3:1 მოიგეს. ვერც ქართველთა მეორე გუნდმა იმარჯვა — ლატვიელებთან 1:3 დამარცხდა.

ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ქალები სამი გუნდით თამაშობენ. მეორე ტურში პირველმა ნაკრებმა პოლონელებთან 0,5:1,5 წააგო. სამაგიეროდ, მეორე და მესამე გუნდებმა იყოჩაღეს: ერთნაირი ანგარიშით 1,5:0,5 მოუგეს, შესაბამისად, უნგრელებსა და რუსებს.

ინგლისის პირველი მსოფლიო

ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელის ანუ, როგორც ხშირად უწოდებენ, კლუბთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა გაირკვა — „მანჩესტერ იუნაიტედი“. 1999 წლის უდიდეს ჯილდოთა მპყრობელმა ინგლისურმა გუნდმა ბრაზილიურ „პალმეირასს“ რიო კინის გოლით 1:0 სძლია.

„პალმეირასს“ შეეძლო გამხდარიყო 1994 წლის შემდეგ პირველი სამხრეთამერიკული გუნდი, რომელიც საავტომობილო კონცერნ „ტოიოტას“ თასს აღმართავდა, მაგრამ მის მონდომებასა და ოსტატობას „იუნაიტედის“ ავსტრალიელი მეკარის, მარკ ბოსნიჩის საუცხოო თამაში აღუდგა წინ. ამრიგად, „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეიქნა პირველი ინგლისური კლუბი, რომელმაც თავის დიდების დარბაზში კონტინენტთა შორის სადავო ჯილდო დაავანა.

იხილეთ მეექვსე გვერდი

REUTERS ტოკიოდან

მატჩის საუკეთესო მოთამაშეს, რაიან გიგზს „ტოიოტას“ სიმბოლური გასაღებიც ერგო



ბადრი ჯობლაძის ფოტო

ემოციური ჯანი კარნევალე და მისი თანაშემწე ლუჩო მესინა (მარცხნივ)

ჩემპიონობა? რატომაც არა!

ჯანი კარნევალე ქართულ სკუდეტოს უმიზნებს

ჯანი კარნევალე, „ბათუმის“ იტალიელი მწვრთნელი, იოჰან ბოსკამპის შემდეგ მეორე უცხოელია, ვინც ქართულ გუნდს თავკაცობს.

საქართველოში მის ჩამოსვლას თავიდან ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, ვინ არის, რას წარმოადგენს, ეგლა გვაკლდაო, აშმობდნენ.

აგერ შედეგიც. ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის საბოლოო ცხრილს დახედეთ და...

თქვენი არ ვიცი და პირადად მე ძალიან მომწონს ბათუმლითა ახლანდელი გუნდი. ბევრი ახალგაზრდა, ერთი 38 წლის ვეტერანი, ნორმალური პირობები, შედეგიც სხვათათვის სანატრელი.

ეს არის „ბათუმი“ — კოლორიტული გუნდი, უფრო სწორად, გუნდი, რომელმაც თავისი თავი იპოვა.

და მათი მწვრთნელი — ჯანი კარნევალე, უშუალო და ყურადღებიანი, ჟურნალისტთათვის სასურველი რესპოდენტი.

ამ კაცს სულ სამ-ოთხჯერ შევხვედრივარ. სალამი არ დავიწყნია, ბონჯორნოო, გაგიღიმებს, თქვენი პროფესიის ხალხს დიდ პატივს ეცემა, გეტყვის. მერე თავის გუნდს თამაშისთვის შეამზადებს. მატჩისას კი ემოციებს ვერ იოკებს, ხან წამოხტება, ხან გაკვირვებული პირს დააღებს, ხელებს გაშლის...

„ბათუმის“ მწვრთნელ ჯანი კარნევალეს რუსეთის მცოდნე თანაშემწის ლუჩო მესინას დახმარებით ვესაუბრეთ.

იხილეთ მეორე გვერდი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჯანი კარნევალი: მადლობელი ვარ!

— „ბათუმის“ თამაშის შეფასებით დავიწყოთ. კმაყოფილი ხართ? გუნდმა პირველი ეტაპი ქვეჯგუფში მეორე, საერთო ჩათვლით კი მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა.

— ჩვენ დასახულ მიზანს მივაღწიეთ, ოთხეულში მოვხვდით. შემოდგომაზე უმთავრესი სწორედ ეს იყო. თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი დავრჩი. ბიჭები მონდომებულები იყვნენ, დავალებას ასრულებდნენ. თავიდან ცოტა კი მეშინოდა, მაინც უცხოელი ვარ და ვაითუ, ფეხბურთელებმა ვერ გამიგონ-მეთქი, მაგრამ ასე არ მოხდა, რაც თვითონ მოთამაშეების, გუნდის ხელმძღვანელობის დამსახურებაა. არავითარი პრობლემა. ერთმანეთის კარგად გვესმის.

ჯანი დოლაბერიძე

— ფიქრობთ, რომ ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „ბათუმმა“ თავისი შესაძლებლობა მთლიანად გამოავლინა?

— არა, ჩვენ ნელ-ნელა კიდევ მოვუმატებთ. ბევრ სათამაშო კომპონენტს დავხვეწთ, რაღაც-რაღაცეებს შევცვლით.

— კონკრეტულად?

— ჯერ ვერაფერს დავაკონკრეტებ. როცა მეორე ეტაპის დაწყებამდე ახალ ფეხბურთელებს დავიმატებთ, მაშინ ზუსტად მეცოდინება, რა გავაკეთო. ტაქტიკაზე ამის მიხედვით უნდა იმუშავო, ხომ უნდა იცოდე, ვის რისი თავი აქვს. ახლა 20-25 დღეს დავისვენებთ, მერე კი საქმეს ძველებურად შევუდგებით. გარწმუნებთ, გაზაფხულზე „ბათუმი“ უკეთესი გუნდი იქნება.

— ახლაც არა უშავს.

— კი, მაგრამ, ხომ გითხარით, თამაშის დახვეწა გვმართებს. პოტენცია გვაქვს, თანაც დიდი.

— თამაშში განსაკუთრებულ ყურადღებას რას აქცევთ?

— ტაქტიკის ცვლილებას. თუ დაკვირდით, ხანდახან თამაშისას რამდენიმე ვარიანტს ვიყენებთ. ფეხბურთელების გადაადგილებაც მნიშვნელოვანია. დღეს გუნდში ბევრი ძლიერი მოთამაშეა და ისინი ამის საშუალებას მაძლევენ. გვყავს უნივერსალებიც, რომელთაც სხვადასხვა ადგილზე შეუძლიათ თამაში. ესენი შეადგენენ კიდეც გუნდის ბირთვს. ტაქტიკაც მათზეა აწყობილი.

— მოდით, ახლა თითოეული რგოლი დაახასიათეთ. მათ ნაკლზე და შესაძლებლობებზე ისაუბრეთ. დავიწყოთ მეკარითა და მცველებით.

— ტოგონიძეზე კარგის მეტი აბა, რა მეთქმის. თქვენც ხომ იცით, ის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მეკარეა. აქამდე რომ სულ ოთხი გოლი გავუშვით, მისი დამსახურებაა...

— მხოლოდ მისი?

— არა, რა თქმა უნდა. მცველებიც ყოჩაღობდნენ, მაგრამ ტოგონიძემ რამდენჯერმე ისეთი დარტყმულები მოიგერია... სასწაული მოახდინა. მცველებს რაც შეეხება, ისინი ძალიან კარგად აზღვევენ ერთმანეთს. ჩვენ ძირითადად სამი მცველით ვთამაშობთ. იყო ერთი შემთხვევა, „სიონთან“, უკან ორნი იყვნენ და ამის მიუხედავად, იშვიათად ცდებოდნენ. მალხაზ მახარაძე გამოცდილია და მის გვერდით სხვა მცველებსაც უადვილდებათ თამაში. ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ ისინი საკუთარი კარის სიახლოვეს ზედმეტ პასებს აკეთებენ. ეს კი გაუმართლებელი რისკია.

— ნახევარმცველებზე რას იტყვით?

— გუნდის ტაქტიკას სწორედ ისინი განსაზღვრავენ. ადრე, როცა ჩემპიონატი ახალდაწყებული იყო, შუა ხაზში ბევრი პრობლემა გვქონდა, თუმც ახლა ყველაფერი გამოსწორდა. ისინი ნელ-ნელა მიხვდნენ, რასაც ვთხოვდი, გაიგეს, რასაც ვეუბნები და საქმეც აეწყო. თანაც ნუ დაგავიწყდებათ, გუნდში ბევრია სრულიად ახალგაზრდა ნახევარმცველი — კობიძე, ქაცარავა, რომანაძე.

— თავდამსხმელებისთვის 14 თამაშში 15 გოლი ცოტა არ არის?

— ისინი უამრავ მომენტს აცუდებენ. თამაში არაა, გოლის გასატანად ათამდე რეალური შანსი არ მიეცეთ. სამწუხაროდ, ვერ იყენებენ. თუმც ამ ბოლო დროს შედეგიანობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, „ლოკომოტივს“ ოთხი გოლი გავუტანეთ, „სიონს“ — ამდენივე. მაჭუტაძეს და აფხაზავას ამირან მუჯირიც ეხმარება. ჩვენი გუნდისთვის ისინი დიდ ძალას წარმოადგენენ.

— ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?

— ძნელია ვინმეს გამოყოფა. მალხაზ მახარაძე, ქორიძე, მინდაძე, მაჭუტაძე, ტოგონიძე... განსაკუთრებით კი ჭაბუკი კობიძე. მან ხომ წლეულს დაიწყო ჩემპიონატში თამაში, პროგრესი აშკარაა. მისგან, დარწმუნებული ვარ, დიდი ფეხბურთელი დადგება. მთავარია, მოინდომოს.

— ყველაფრის გათვალისწინებით, რისი მიღწევა შეუძლია ამ ჩემპიონატში „ბათუმს“? ჩემპიონობა?

— რატომაც არა. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. დათვალეთ, გუნდში შვიდი-რვა ფეხბურთელი 18 წელს გადაცილებული არ არის, ჭაბუკები არიან. ისინი დღითი დღე იზრდებიან, ოსტატობას უმატებენ. გაიხსენეთ თბილისში, „დინამოსთან“ მეორე ტაიმი როგორ ითამაშეს, მასპინძლები ფაქტობრივად ცენტრს არ გადააშორეს, მომენტს მომენტზე ქმნიდნენ, თუმცა კი დავმარცხდით. ასევე თუ გავაგრძელებთ, მიუღწეველი არაფერია.

— გუნდის მწვრთნელად დანიშვნისას პირველი რა გააკეთეთ?

— ბიჭებს დისციპლინისკენ მოვუწოდე, ფეხბურთის კულტურაზე ველაპარაკებოდი, კიდევ, მეგობრობაზე, უამისოდ გუნდი, გუნდი არაა. მეორე, რომ ჩემსას ვიზამ. ბიჭებს ეს კარგად ესმით, მადლობელი ვარ.

— სხვა გუნდებზე რას იტყვით? „ტორპედო“?

— „ტორპედო“ ყველაზე ძლიერ გუნდად ვთვლი. ამხანაგური თამაშებისას დავრწმუნდი, რომ „ტორპედო“ „დინამოზე ოდნავ ძლიერია. კარგი, შეთამაშებული გუნდია, ჩინებული შემსრულებლებით. „კოლხეთსაც“ არა უშავს, „ვიტ ჯორჯიაც“ ახალგაზრდა, პერსპექტიული ბიჭებითაა დაკომპლექტებული. თუმც წლეულს ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი მაინც „ტორპედოს“ აქვს.

— რას ფიქრობს იტალიელი სპეციალისტი, ქართული ფეხბურთი ბევრად ჩამორჩება საშუალო ევროპულს?

— არა. საქართველოში უამრავი ტალანტია, მაგრამ ზარმაცობენ, თანაც შესაბამისი პირობები არა აქვთ. ის კი, საქართველოს ნაკრები ალბანელებთან, ლატვიელებთან და მათნაირ გუნდებთან რომ აგებს, შემთხვევითობაა, მეტი არაფერი.

— ამ სიცივეში, ჩაბნელებულ ქვეყანაში რატომ ჩაომხვედით სამუშაოდ?

— დამაინტერესა აქაურობამ და იმიტომ. როცა „ბათუმის“ ვიცე-პრეზიდენტმა მარკო კალისტრალემ ქართული გუნდის გაწვრთნა შემომთავაზა, ბევრი არც მიფიქრია. ინტერესის გამო ჩამოვედი.

— მერე?

— იცით, ალალად გეტყვით, მოხიბლული ვარ, ქართველებმა თანადგომა იცით. სტუმართმოყვარენი ხართ. ჯერ პრობლემა არ შემქნია, დარწმუნებული ვარ, ასეც გაგრძელდება.

— ემოციური ყოფილხართ...

— ძალიან. როცა ჩემი გუნდის თამაშს ვუცქერ, მგონია, რომ თავადაც მინდორზე ვარ. საშინლად განვიცდი, ვნერვიულობ. თამაშისას ჩემთვის არაფერი არსებობს, მხოლოდ ფეხბურთი, მინდორზე მიმდინარე მოვლენები.

— და ბოლოს, იტალიელს ქართულ მენტალიტეტთთან შეგუება არ გიჭირთ? ბოსკამპი იყო და ამბობდა, ლამისაა ჭკუიდან შევიშავლოო. თქვენ?

— ბოსკამპი ანგლოსაქსია, ჩრდილოელია და, რა თქმა უნდა, ვერ გაუგებდა ქართველებს. ის დაპროგრამებულია, ერთი გზა აქვს და სხვას არ ეძებს.

მე სხვანაირად ვფიქრობ. ლათინელი გახლავართ, იტალიიდან. ჩვენ კულტურაც მსგავსი გვაქვს, ცხოვრების წესიც არაა დიდად განსხვავებული. ასე რომ, ჩათვალეთ, თითქმის ერთნაირად ვაზროვნებთ. პრობლემა არ არის, მომწონს საქართველო.

ძოგა ინასარიძე

JEALOUS GUY

JEALOUS GUY — ეჭვიანი ბიჭი ცნობილი ინგლისური სიმღერაა, სახელოვანმა ჯონ ლენონმა თავის პირმშოს ჯულიანს მიუძღვნა. ლენონის ეჭვიანი ბიჭი შემთხვევით არ გამხსენებია. როგორც ჩანს, ეჭვიანი ხალხი მოუმრავლდა ქართულ ფეხბურთს, უფრო სწორად, ბევრ ქართველ ჟურნალისტს თურმე ეჭვის ჭია ღრღნის და სწოვს. ეჭვის საფუძველზე სცხებს ჩრქს სფფ-ის (ანუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის) სამსახურში მდგომი ხალხის ღირსებას და მათ საქმიანობას.

ჩვენ ეჭვიანი ბიჭები ვართ (ასე გვიცნობენ ფედერაციაში) და თურმე სწორედ ეს ეჭვი გვლუპავს და ხანდახან უმწიკლო ფედერაციის (სფფ-ში აღიარებული ტერმინია) ჯანსაღ, ყოველმხრივ სასარგებლო ნამოქმედარს ლაფში ვსვრით.

ამას წინათ ერთმა ფეხბურთში ღრმად ჩახედულმა პატივცემულმა პიროვნებამ მითხრა (სხვათა შორის, იგი აქტიურად თანამშრომლობს სფფ-სთან): „თავის დროზე რალიში ჩემპიონი გავხდი, იცით, რისი წყალობით? მუხრუჭის, მხოლოდ და მხოლოდ მუხრუჭის.“

ასეა, ბატონებო, მუხრუჭი საჭირო რამაა...

ეჭვიანი ბიჭი — ლენონი თავის უძვირფასეს შვილს უმღერდა. ჩემი (და ჩემი კოლეგების) სამღერ-სატკივარი კი ფეხბურთია, დავრდომილი ქართული ფეხბურთი. ქართული ფეხბურთის სიყვარულში არავისთან ვაპირებ გაჯიბრებას, მაგრამ სანამ თავს უფლებას მივცემ და ისედაც გულდამძიმებულ ქომაგს ჩვენს სავალალო საფეხბურთო რეალობას შევახსენებ, ერთ პოპულარულ (ისევ სფფ-ში) ლოზუნგს გავიხსენებ: — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ქართული ფეხბურთის მამა-ღმერთია, ანუ წინამძღოლია. როგორიც წინამძღოლია (ანუ სფფ), ისეთივეა ქართული ფეხბურთიც. სფფ ქართული ფეხბურთის სახეა და როგორი სანახავია ქართული ფეხბურთი...

მეთანხმებით, რომ დიდი ვერაფერი შესახედავია?

კი, ბატონო, ეჭვის ჭია მღრღნის და მეჩვენება, რომ ეროვნულმა ნაკრებმა, ქართული ფეხბურთის სახემ სრული ფიასკო განიცადა შესარჩევ ციკლში, ქომაგთ ლახვარი ჩასო და ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა. მეტიც, ამას წინათ საშინელი სიზმარი ვნახე, თითქოს მომავალი შესარჩევი ციკლისთვის ბოლო გოდორში (სწორედ ასე მესიზმრა) ვიყავით ლიხტენშტაინების და ანდორების კომპანიაში.

ეჭვი მაქვს, რომ საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში საოცრად დაბალი დონისაა, იმდენად დაბალი, რომ კანტიკუნტად დამსწრე გულშემატკივარს ბევრჯერ ძილისთვისაც იმეტებს (ცოდვა გამხელილი ჯობს და ამა თუ იმ კალენდარულ მატჩზე წინა დღის მშვენივრად გამოძინებულს მეც კი მომწოლია რული).

ბინძურ ეჭვად ჩამითვალონ, მაგრამ მაინც მგონია, რომ მსაჯი ასკაროღლი მართალი იყო, როცა ნერვებდაწყვეტილი ფედერაციას ჩაწყობილი თამაშების ორგანიზებაში ამხელდა. მსაჯია და ბევრმა არ დაუჯერა, მაგრამ მჯერა, სფფ საბოლოოდ მაინც ჩაუღრმავდება ამ საკითხს, დამნაშავესაც (ან დამნაშავეებს) მალე გამოააშკარავებს. ასეთ შემთხვევაში იქნებ უსაფუძვლოც გამოდგეს ჩემი ეჭვი.

— მინდა ყველამ იცოდეს, ყადაღა პრობლემა არ არის — ბევრჯერ უთქვამს ეს ფრაზა სფფ-ს გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას. აქაც ეჭვის ჭია მღრღნის, იქნებ მართლაც დიდი პრობლემაა ქართული ფეხბურთისთვის სფფ-ს ყადაღადადებული ანგარიში. საგადასახადო ინსპექცია უკვე ირწმუნება, რომ სფფ-ს ურჩობა (ანუ ბიუჯეტის ვალის გადაუხდელობა) სასამართლოს კარამდე მიიყვანს, და ვეჭვობ, ყოველივე სასიკეთოდ მოუბრუნდეს ქართულ ფეხბურთს.

— კარგია, რომ მეხუთე გოდორში მოვხვდით (გოდრის ნაცვლად აქ სიტყვა კალათი უნდა იყოს, მაგრამ ამას წინათ ნანახი სიზმარი ისევ არ მასვენებს), ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ევროპული ფეხბურთის გრანდებს დავუპირისპირდებით — ეს ფრაზაც ბევრს ბევრჯერ უთქვამს ფედერაციაში (ცნობისთვის, მავანი ჩინოვნიკის თქმით, იგი დღედაღამ ლოცულობს, რომ გერმანია ან იტალია შეგვხვდეს ქვეჯგუფში). გერმანია-იტალიის შეხვედრა კი იმად არის კარგი ჩვენთვის, რომ მსუყე ტელეტრანსლაცია-რეკლამებით გვარიანი თანხა შემოგვივა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ფინალურ ეტაპზე მოხვედრაზე ლაპარაკიც არ არის, მაგრამ ფული ხომ დაგვრჩება. ერთ რამეზე კი მართლაც ღირს დაფიქრება, იქნებ განგებამ ისე ინება, რომ მეხუთე კალათში მყოფ ქართველებს ზედა ოთხეულიდან არცთუ სასურველი (ფედერაციისთვის) მოწინააღმდეგეები შეგვხვდნენ. ვთქვათ ჩეხეთი (პირველი კალათიდან), უკრაინა (დიახ, დიახ, მეორე კალათშია) და მესამე-მეოთხე კალათებიდან ლიტვა-კვიპროსი. რა გამოდის ამ შემთხვევაში? არც ფული და, ფუი, ეშმაკს, ალბათ, არც ჯგუფიდან გასვლა. ჯობს, ისევ მავანი ჩინოვნიკის ლოცვა ისმინოს ღმერთმა. ასეთ შემთხვევაში კი, გარწმუნებთ, მორიგი შესარჩევი ციკლისთვისაც ბოლო კალათისთვის ვიქნებით გახაზირებული, მაგრამ ფული ხომ შეგვრჩება.

შინაური ჩემპიონატის უახლესი ტურის მსაჯ-ინსპექტორთა ვინაობას ერთი დღით ადრე გვამცნობდნენ ფედერაციაში. მკითხველიც დროულად იღებდა ამ მხრივ სრულ ინფორმაციას მატჩის დღეს. ცოტა ხნის წინ ფედერაციამ სხვაგვარად ჩათვალა — ამიერიდან უშუალოდ მატჩის დღეს გამოცხადდებიან მსაჯები, რათა ჩაწყობა-ჩამოწყობა და შავოსნებზე ზემოქმედება აღმოიფხვრასო. მსგავსი გადაწყვეტილების მიღება ფედერაციის პრეროგატივაა და ამ შემთხვევაში ქართული ფეხბურთის მამებს ვერც შეკედავებით, მაგრამ როგორც ჩანს ეს გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ პრინციპულ ხასიათს ატარებს, რადგან რატომღაც ქართველმა ფეხბურთელებმა მატჩამდე კარგა ხნით ადრე იციან მათი განმსჯელის ვინაობა, ამ დროს ვისაც მატჩის ჩაწყობა-ჩამოწყობა უნდა, ისედაც მშვენივრად მიაღწევს საწადელს.

ეჭვი ავადმყოფობაა. ეჭვის ეჭვი ორჯერ ავადმყოფობა. ეჭვიანობის გამო ოტელომ დეზდემონა დაახრჩო. დავუშვათ ეჭვიანი ბიჭები ვართ (ოტელოსავით)... დავუშვათ სფფ უმწიკლოა (დეზდემონასავით)... ცხვირსახოცი? როგორ ფიქრობთ, ფეხბურთი ცხვირსახოცია?

არა. ფეხბურთით ცხვირს ვერ მიიწმენდ.

პაატა კვანტალიანი

ქომაგი კი ჯერაც სულგრძელია

ის, რაც მომბეზრდა

რომ შურნალისტის სახელი გერქვას

მართალი გითხრათ, მომწყინდა. ერთს დაწერ და ათი ჩასაფრებული და ოცი ჭკუის მასწავლებელი გყავს — არ გინდა გაძლება? დღემდე ასე მისწავლია, ჟურნალისტმა კრიტიკული უნდა წეროს. კი, მართალია, ტკბილ სიტყვას არაფერი სჯობს, მაგრამ... გაარნია სად და როგორ. ტკბილი სიტყვა მაშინაა კარგი და მისაღები, როცა საქმე მიდის კარგად და მისაღებად, თორემ სიტყვას რა ჭკუა აქვს.

ოთარაანთ ქვრივი ცნობილი პერსონაა საქართველოში. მართალია მან არც ფეხბურთი იცოდა და არც ციგურაობა, მაგრამ ერთში შეუმცდარი იყო — ტკბილი სიტყვა რას მიქვია, ტკბილი სიტყვა გულის მოსაფხანია, ფხანა კი ქეცმა იცისო (ქეცბაიაში არ აგერიოთ).

ჰოდა, გვინდა ჩვენ ქეციანი ხალხი ქართულ ფეხბურთში? ვისაც ქეცი სჭირს და ექექება, ფეხბურთში მოსვლის მაგიერ ადგეს და დერმატოლოგს მიაშუროს — იქ უწამლებენ, ჟურნალისტს კი ამეებისთვის არ სცალია. მას თავისი აქვს თავში საცემი და სატირალი.

და ერთიცაა, ქართული კლუბები რომ შინ და გარეთ აგებენ, ნაკრები რომ ჯგუფში ბოლოა, კალათაში მეხუთე და ევროპაში არც ვიცი სად, ამის მერე „ყოჩაღ და გაგიმარჯოთ“ რომ ვიძახოთ, ნორმალური ამბავი იქნება?

ცუდად მიდის საქმე, საწინაო არ ჩანს და ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, ერთი წელიწადიც გვაცალოს, მოვა ევროთამაშები და იქ გამოჩნდება მართალ-მტყუანი...

ჯერჯერობით კი დრო კრიტიკოსთა მხარესაა — „ბილბაოს“ მომგები „დინამო“ „ზიმბრუსთან“ აგებს, ის ნაკრები კი, რომელმაც ბულგარეთს მოუგო და ინგლის-იტალია შეაჯანჯღარა (ასე თუ ისე) დღეს ალბანეთთან მარცხდება და ჯგუფში ბოლო ადგილზე გადის.

არ არის კრიტიკა საჭირო და საფუძვლიანი?

ჩვენს აზრს ვერ მოგახვევთ და ბილარდო (კარლოსი, არგენტინას რომ მსოფლიოს ოქრო-ვერცხლი ჩაახუტა) ასე თვლის.

ვის დავუჯეროთ, ოქროცურვილ არგენტინელს თუ ქეციან ქართველს?

თქვენი არ ვიცი და ნამდვილად ვერ ავყვებით ცრუპატრიოტულ გრძნობებს.

ძველი ძვალი

ქართველები სიძველეთა დამფასებელი ხალხი ვართ. ვიცით, რომ კარგია ძველი ღვინო და კონიაკი, ძირძველი ტრადიციები, ძველი, კარგი დრო და...

ძველი ცუდიც არსებობს. მაგალითად, მსოფლმხედველობა, ჩექმა, ცოცხი და... სფფ.

ძველი სფფ ის ძვალია, რომელიც ყველას შეიძლება გადაუგდო და იმედი იქონიო, რომ ხრავენ მანამ, სანამ ქართული ფეხბურთი არ აღორძინდება (კაი, გამძლე ძვალი ჩანს, ხომ მართალია).

მაგრამ ძველის ლანძღვით და ყველა ცუდის მასზე გადაბრალებით რომ საქმე არ კეთდება, ეს ხომ ყველამ ვიცით.

ძველი სფფ-ს ლანძღვაც გვარიანად მომბეზრდა — ალალად ვიტყვი. ეს არ არის გამოსავალი. ჩვენი ქართველები ვართ, „ვაუკაცობა ძველთაგან მოვედგამს“ და ცოტა უხერხულია ლანძღო ის, ვის მხრებზეც დგახარ...

კონსტანტინე გამსახურდიას ერთი ნათქვამი მახსენდება — საოცარია, ქართველებმა ყველა კლასიკოსად შევრაცხეთ, ვინც კი მე-19 საუკუნეში სიკვდილი მოასწროო და ჩვენს დროსთან და ქართულ ფეხბურთთან მიმართებაში ამან შეიძლება შემდეგნაირად გაიჟღეროს — ვითომ ყველა მართალია, ვინც ძველ სფფ-ს ლანძღავს?

არა მგონია.

ისე ნუ გამიგებთ, ვითომ მაშინდელ დროს და სიტუაციას მივტიროდე, მაგრამ...

მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს. ყოველ შემთხვევაში, ასე იქცევიან ჯენტლმენები, გარდაცვლილთა ლანძღვა კი პატარა კაცების საქმეა.

ცოტა პატარა კაცებზეც

შექსპირს აქვს ასეთი ცნება — სასახლის კარის მასხარა. თავის ერთ-ერთ ქმნილებაში კი ზოგადი სახეც ჩამოტერწა ასეთი ჯურის ხალხისთვის — მალვოლიოა მისი სახელი.

შექსპირის ეპოქამ თავისი წაიღო. მერე ჩვენთვის ახლობელი, ტკბილმწარედ მოსაგონარი კომუნისტური ეპოქაც დადგა და — მალვოლიო — სასახლის კარის მასხარამ — იმიჯი იცვალა. იგი დაახლოებით იმ ხალხს დაემგვანა, აღლუმს (პარადი ერქვა მაშინ) რომ კუდში მისდევს და თავადაც არ იცის, რა უხარია.

ჩვენს ფეხბურთსაც ჰყავს მალვოლიოები. ხალხი, რომელიც მოვლენების უკან მიჩანჩალებს და უხარია. მაგრამ რა? არ ვიცი და ვერც გავიგებ, სანამ „სარბიელის“ მეათიათასე ნომერი არ გამოვა (ასეთი ფეხბურთის ცქერაში თუ გული არ გამისკდა მანამდე).

უხარიათ, კუდში მისდევენ და ისე იბრახუნებენ გულბოყვზე მჯიღს, გეგონება „მანჩესტერ იუნაიტედის“ (გუნდია ერთგვარი) სამოცდაათი პროცენტი სვანური ქუდებით დადიოდეს. რამეს იტყვი და ისე წამოყეყყეყავდებიან ქარქაშიდან ამოღებული ხანჯლებივით...

ესეც, მომბეზრდა ჯურხაის ფარის მადლმა.

კრიტიკა გვაფხიზლებს, კრიტიკა საჭიროა. საჭიროა მაშინაც კი, როცა მართლა უნდა გიხაროდეს. ახლა კი... ახლა ყველაზე მეტადაა კრიტიკა საჭირო.

რადგან ფეხბურთს უჭირს, რადგანაც ხალხის აზრით საფეხბურთო ქვეყანა იქცევა...

მალვოლიოთა გასაგონად კი იმას ვიტყვი — ქვეყანა თუ იქცევა, თქვენ რა გიხარიათ, თქვე... ფეხბურთაშენებულებო.

მომბეზრდა თქვენი სიხარულიც.

კონსტანტინე გოგიშვილი

TBC ბანკი 202 958 დოლარს დიღმის ბაზის გაყიდვით ვერ დაიბრუნებს

თბილისის „დინამოს“ ხუთ მეპატრონეს, მათ შორის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელ პრეზიდენტ მერაბ ჭორდანიას, შეიძლება პირადი ქონებიდან მოუხდეს სესხის დაფარვა

წინა კვირას დიდუბე-ჩუღურეთის მოსამართლე ნუნუ კვანტალიანმა მხოლოდ ნაწილობრივ დაასრულა გახმაურებული სასამართლო პროცესი, რომელიც „TBC ბანკი თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ“ სახელითაა ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ 1997 წლის 5 დეკემბერს თბილისის „დინამოს“ პარტნიორთა კრებამ თანხმობა მისცა კრებაში მონაწილე მერაბ რატიანსა და მერაბ ჟორდანიას, TBC ბანკიდან სესხის სახით 150 000 ამერიკული დოლარი აეღოთ, სანაცვლოდ კი დიღმის საფეხბურთო ბაზა დაეგირავებინათ.

სესხის დაბრუნების დრო რომ მოვიდა, „დინამომ“ ფული ვერ გადაიხადა. რადგან სესხი ძალიან მაღალი — 42-პროცენტიანი იყო, საჯარიმო დანარიცხებით „დინამოს“ ვალმა TBC-სადმი 202958 დოლარი შეადგინა.

TBC ბანკმა რომ დაინახა, „დინამო“ გადამხდელი არ იყო და მოლაპარაკებებით დრო გაჰყავდა, დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში თბილისური კლუბის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. TBC ბანკი დაგირავებული დიღმის ბაზის აუქციონზე გაყიდვას ითხოვდა.

სასამართლოში მოვლენები მოულოდნელად განვითარდა. თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წარმომადგენლებმა წარმოადგინეს დოკუმენტაცია, საიდანაც ირკვეოდა, რომ შპს თბილისის „დინამოს“ დაფუძნებისას დიღმის ბაზა კლუბის კაპიტალში სწორედ მათ შეიტანეს. სპორტსაზოგადოება „დინამო“ დიღმის ბაზის გაყიდვას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. საზოგადოებამ, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე უმაგრებს ზურგს, საპასუხო სარჩელი შეიტანა. სპორტსაზოგადოება შპს „დინამოსა“ და TBC ბანკის სესხის აღების შემდეგ ხელშეკრულების იმ პუნქტების გაუქმებას ითხოვდა, რომელიც დიღმის ბაზის დაგირავებას ეხებოდა.

გასულ ხუთშაბათს მოსამართლე ნუნუ კვანტალიანმა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სარჩელი დააკმაყოფილა, ანუ TBC ბანკს სესხის ამოსაღებად დიღმის ბაზის აუქციონის წესით გაყიდვაზე უარი უთხრა.

ჯერჯერობით უცნობია, გაასაჩივრებს თუ არა ამ განაჩენს TBC ბანკი საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში. ამის უფლება ბანკს აქვს.

თუ ასე არ მოხდა, მაშინ, როგორც დამკვირვებლები აცხადებენ, TBC ბანკს უფლება აქვს, სესხის დაფარვა იმ პირებს დააკისროს, რომლებმაც იგი აიღეს. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ შპს საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ არ განიხილება, როგორც იურიდიული პირი, რადგან მეწარმეთა კანონის მიხედვით ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია. აქედან გამომდინარე, TBC ბანკს შეუძლია, „დინამოს“ პარტნიორთა კრების მონაწილე ხუთ პიროვნებას (მერაბ რატიანს, მერაბ ჟორდანიას, ნუკრი კაკილაშვილს, რომან შოთაძეს და ვალერი შალიკაშვილს), რომლებმაც TBC ბანკიდან აიღეს სესხი, 202598 დოლარი პირადი ქონებიდან გაასტუმრებინოს. ამასვე სთავაზობს TBC ბანკს სპორტსაზოგადოება „დინამო“, რომელიც დარწმუნებულია, რომ სესხი სწორედ ამ პირებმა უნდა დაფარონ. მოვლენათა განვითარება იმაზეა დამოკიდებული, თუ ვალის დაბრუნების რა გზას აირჩევს TBC ბანკი.

სიმონ მენაგაძე

თბილისი. ქუთაისი, თოვლი, გაზაფხული

სათაური რომ ბნელ გამოცანად არ მოგეჩვენოთ, პასუხს ამთავითვე გაგანდობთ. თბილისი, ქუთაისი, თოვლი, გაზაფხული საქართველოს სუპერთასს ნიშნავს.

გეხსომებათ, სფფ-მ სუპერთასის გათამაშების ლამაზი ტრადიციის შენარჩუნება რომ მოინდომა და თავდაპირველად ჩემპიონის და თასის მფლობელის შეკრების ალაგად თბილისის ეროვნული სტადიონი დაასახელა. მატჩი 2 დეკემბერს უნდა გამართულიყო, მოგვიანებით საუკუნის ბოლო პაექრობის მასპინძლობის პატივი ქუთაისს და მის ახალაღორძინებულ „ტორპედოს“ სტადიონს მიანიჭეს ქართული ფეხბურთის მამებმა და თარიღად კვლავაც 2 დეკემბერი დათქვეს, მაგრამ ხვალ სუპერდაპირისპირება ქუთაისში არ შედგება. სფფ-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით მატჩის ჩატარება დიდთოვლობას შეუფერხებია და სუპერთასისთვის „დინამო“ და „ტორპედო“ გაზაფხულზე ითამაშებენ.

სუპერთასის მასპინძელი ქალაქი და ზუსტი თარიღი ალბათ თოვლის გადნობის შემდეგ გამოცხადდება.

პაატა კვანტალიანი

დინამო სალაპარაკოდ არ გამოცხადდა

როგორც „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, უეფამ „დინამო“ — „მრეტების“ გახმაურებული და გაჭიანურებული საქმის მოსაგვარებლად მოდავე მხარეებს ერთმანეთში მოსალაპარაკებლად დასხდომა შესთავაზა...

გუშინ, 30 ნოემბერს, „მრეტები“ — „დინამოს“ გახმაურებული სკანდალის მორიგი შეხვედრა უნდა შემდგარიყო. მოგეხსენებათ, „მრეტების“ მესვეურები უკვე კარგა ხანია გვარიან თანხას ედავებიან „დინამოს“ და ორ გუნდს შორის დავამ არამარტო ქართული სასამართლოების თუ სფფ-ს, არამედ უეფას ყურამდეც მიაღწია.

ევროპელი ჩინოვნიკები პერმანენტულად გადაუვადებენ ხოლმე „დინამოს“ ქონქლაძის ტრანსფერიდან „მრეტების“ კუთვნილი თანხის გასასტუმრებელ ვადას, სფფ-ც დიპლომატიურად ერევა მოდავე მხარეების კონფლიქტში და მაინც ეს საქმე აგერ უკვე რა ხანია, ქართული ფეხბურთის ტკივილად იქცა.

30 ნოემბრის შეხვედრა იგივე პროცესის ერთ-ერთ რაუნდად იქცა, ამჯერად საქმის გაგრძელების და მორიგი რაუნდის უშედეგოდ დამთავრების მიზეზი მეტად პროზაული იყო — „დინამოს“ მხარე შეხვედრაზე არ გამოცხადდა.

როგორც „მრეტების“ ვიცე-პრეზიდენტმა აკა ქავთარაძემ „სარბიელს“ უთხრა, „დინამოს“ არგამოცხადებამ დიდი გავლენა არ იქონია მათ პოზიციაზე. ჩვენ ყველა მასალა და საბუთი (ამ დროისთვის რაც ხელთ აქვთ) შევაგროვეთ და ფედერაციის შესაბამის უწყებას გადავეცით. სფფ-მ კიდევ ერთი დღის ვადა მისცა „დინამოს“ მხარეს, რათა ზემოხსენებული შეხვედრა შედგეს.

თუ „დინამოს“ მხარე არც დღევანდელ შეხვედრაზე გამოცხადდება, სფფ-ს შესაბამისი სამსახური „მრეტების“ მიერ მიწოდებულ მასალას არ დააყოვნებს და ორიოდ დღეში სფფ-ს ხელთ ექნება უეფას მიერ მითითებული სამოქმედო გეგმა.

ჩვენ დაველოდებით სფფ-ს დელეგაციის ტოკიოდან დაბრუნებას, მერე კი კვლავ შევეცდებით ამ გახმაურებული საქმის ჩვენთვის სასურველი შედეგით დამთავრებას — უთხრა „სარბიელს“ აკა ქავთარაძემ.

პროცესი გრძელდება.

ლუკა თალაკვაძე

პროკურატურაში ლოკომოტივი მეორედ მიიტანეს

ცოცხალს კი მესამედაც დაელოდებიან და...

თბილისის რეგიონალური პროკურატურის მესამე სართულზე, პროკურორ თემურ ნამიჭეიშვილის კაბინეტში მეორედ შეიკრიბა სფფ-ს სააპელაციო კომიტეტი. პირველი უშედეგო სხდომის დარად, კვლავ ამაოდ ელოდნენ თბილისის „ლოკომოტივის“ ცოცხალ წარმომადგენლებს. „ლოკომოტივი“ ამჯერადაც მხოლოდ „დინამოსთან“ სკანდალური მატჩის ვიდეოფირზე აღბეჭდილი მიიტანეს დანიშნულების ადგილას, იმ იმედით, რომ მომჩივანი კლუბის მესვეურებიც გამოჩნდებოდნენ, მაგრამ...

მაშ ასე. 30 ნოემბერი. სააპელაციო კომიტეტის მეორე შეკრება, დანიშნული „ლოკომოტივის“ სააპელაციო საჩივრის განსახილველად, არ შედგა. 15 საათსა და 30 წუთზე ნახევარსაათიანი ლოდინის შემდეგ, თავმჯდომარემ, თემურ ნამიჭეიშვილმა, რკინიგზელებს ბოლო ვადა დაუთქვა. მაქსიმუმ სამ დღეში კომიტეტი კვლავ შეიკრიბება და არგამოცხადების შემთხვევაში „ლოკომოტივის“ სააპელაციო საჩივარი განუხილველ საქმეთა დავთარში სამუდამოდ დაბინდდება.

ხვიჩა სანიკიძე

საქართველოს ჩემპიონატი 14 ტური

ნულთაცვენა

აფერუმ, ჯანი კარნეკალეს! იმდენი ქნა, გამოაბუბლიკა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. გადახედეთ 30 ნოემბრის „სარბიელის“ პირველ გვერდს და ყველაფერს მიხვდებით — სულ 97 ნული წერია ქართული ფეხბურთის ორ უმთავრეს ცხრილში. აქედან ექვს-ექვსი ნული თხუთმეტ გუნდზეა გადანაწილებული და მეთექვსმეტე „დილა“ „შვიდნულიანია“.

ასე და ამგვარად, ყველაფერი თავიდან იწყება. იწყება გაზაფხულზე, მანამდე კი მეთერთმეტე ეროვნულის დებულებისამებრ მონაგარი გაუნახევრდათ და გუნდებიც იმგვარად ჩაეხუტნენ ერთმანეთს (ქულების მიხედვით), გეგონება, მეტროთი მგზავრობენო.

ახლა, როცა მკითხველმა დაახლოებითი წარმოდგენა შეიქმნა ქართული საკლუბო ფეხბურთის ანზე და ჰაეზე, აღარ ვისროლოთ სიტყვები ჰაერზე და მიდამოვიხილოთ მეთერთმეტე ეროვნულის პირველი სტადიის გედის სიმღერა — მეთოთხმეტე ტური.

ტური, რომელმაც მეორე სტადიას უპატაკა, რომ რვა საუკეთესოში მოხვდნენ — „ტორპედო“, „დინამო“, „კოლხეთი“, „ბათუმი“, „ვიტ ჯორჯია“, „სიონი“, „დილა“, „იბერია“, რვა უარესი კი — „ლოკომოტივმა“, „გორდამ“, თსუ-მ, „მერანმა“, „თბილისმა“, „სამგურალმა“, „ხობმა“ და „არსენალმა“ შეადგინეს.

სასიხარულოა, რომ მოვლენათაგან უმრავლესი ბოლო ტურში მოხდა, სამწუხაროა, რომ მოვლენათა უმრავლესობა დაახლოებით ისე წარიმართა, როგორც „მერანის“ აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ იწინასწარმეტყველა.

უკეთესთა შორის მერვე ადგილზე გასასვლელად ერთმანეთს ერთბაშად ხუთი გუნდი ეცილებოდა. გაარკვა, როგორ წარიმართებოდა სიტუაცია, თორემ „დილა“ — „იბერიას“ ადგილი თავისუფლად შეეძლოთ დაეკავებინათ — „მერანს“, თსუ-ს და „გორდას“.

ახლა კი მატჩებზე ამ გუნდების მონაწილეობით.

„ხობში“ „იბერიას“ აუცილებელ გამარჯვებაზე ბევრი საუბრობდა ქართველთა შორის. თუმცა კი უეჭველი პროგნოზის საფუძველს ამ გუნდების თანაბარი სიძლიერე არ იძლეოდა. და მაინც „იბერიამ“ გაიმარჯვა. იმერლებმა რვა საუკეთესოში ადგილი დაიჯავშნეს, შეხვედრის არბიტრი მეშკოვი კი ხობელი გულშემატკივრის ემოციებს ლამის ემსხვერპლა. რაღას არ ედავებოდნენ მსაჯს — ჯერ დაუნიშნავ, მერე დანიშნულ პენალტს, ფეხბურთელის არგაძევებას... ასეა თუ ისე, „იბერია“ ზევითაა, მისი კონკურენტები ქვევით და უკვე წყალს ვეღარავინ აუმღვრევს.

არხეინმა „დილამ“ თავი დაიზღვია აუცილებლად მოსალოდნელი უსიამოვნებებიდან და „მერანი“ დაამარცხა. არადა, იბრძოლა ბოლო მოვლენების ქმირმა „მერანმა“ — წინაც იყო ანგარიშში, მერე ჩამორჩენილმა მეორე ტაიმის საწყის წუთებში გაათანაბრა კიდეც, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე გამოცდილმა გორელმა ციცქიშვილმა წითელი ბურთითა და ზუსტი დარტყმით წერტილი დაუსვა ყველაფერს.

არანაკლებ დიდი ბრძოლა გამართეს რუსთაველში „გორდამ“ და თსუ-მ. იქაც მასპინძლებმა იძალეს, იქაც იგებდნენ სტუმრები და მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს დამხვდურებმა გამარჯვების სათავისოდ გაფორმება. ტყუილად ჩაუარა ვარლამ კილასონიას ლამაზმა თავგამოდებამ — მისი ორი ბურთი სუსტი ნუგეშიღა იყო გორდელთათვის.

„ბ“ ზონის ლიდერები კი მშვიდობიანად დაშორდნენ ფოთში, სტუმრად პირველი დაკარგული ქულებით დაამთავრა „ტორპედომ“ მეთერთმეტე ეროვნულის პირველი სტადია და ახლა მონაგარის განახევრების შემდეგ ერთი ქულითღა უსწრებს მარად ჩემპიონ თბილისის „დინამოს“.

თავის მხრივ, არც „დინამოს“ გაუსეირნებია ბოლნისში. მეტიც, ქვეშო ქართველები 79-ე წუთამდე იგებდნენ თამაშს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მზემ ბოლნისურ ღრუბლებს და დინამოელმა სიჭინავამ ბოლნისელ მცველებს ერთდროულად დააღწიეს თავი, ანგარიში გათანაბრდა, დარჩენილ დროში ორჯერაც გაუტანეს „სიონს“ ჩემპიონებმა, ამათგან ბოლო, ანჩაბაძის გატანილზე კი ბარე ორი ვარსკვლავი მოაწერდა ხელს.

აუტსაიდერები — „სამგურალი“ და „თბილისი“ წყალტუბოში დაეჯახნენ ერთმანეთს. მასპინძელი ირაკლი ხაჭაპურიძის მიერ საწყის ნახევარ საათში გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა იმერულ შეხვედრაში და მან იასონ ბზიკაძის შეგირდებს საშუალება მისცა, ქულიანი ჰანდიკაპით დაიწყოს მეორე სტადია უშუალო კონკურენტებთან.

„ბათუმის“ დაცვამ დაამტკიცა თავისი შეუვალობის რეპუტაცია და 1:0 დაამარცხა „არსენალი“. აჭარელთა უპირატესობა აშკარა იყო — აფხაზავას გოლის გარდა, ბათუმლებს სამი მაინც უნდა გაეტანათ, მაგრამ არმიელი მეკარე კუპატაძე ბათუმის დაცვასავით მაგრად იდგა და სწორედ მისი დამსახურებაა, კარნეკალემ და კომპანიამ მეტი რომ ვერ იხეირეს.

და ბოლოს, ტურის უპრინციპულესი შეხვედრა. მატჩი, რომელმაც რკინიგზელთა საუკეთესოთა შორის მოხვედრას გადაუსვა ხაზი. გვარიანად ჯიჯგნეს და ბურჯგნეს ლოკომოტიველებმა „ვიტ ჯორჯიას“ სავარიმოს მისადგომები, მაგრამ ერთი გოლის მეტი ვერაფერი გაახერხეს და ერთი გოლი კი გამარჯვებისთვის არ ეყოთ, რადგან ვიტჯორჯიელმა ქორიძემ პირველ ტაიმშივე აღადგინა წონასწორობა.

ასეთი იყო მეთოთხმეტე ტური. დამხვდურებმა სამი მოიგეს, სამიც წააგეს, ორი შეხვედრა ფრედ დამთავრდა და საკლუბო ფეხბურთმაც გაზაფხულამდე თავი დაუკრა საქართველოს.

წინ კი ცივი, თოვლჭყაპიანი ზამთარი, აუარება პრობლემა და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრაა.

უამრავი რამ ელის ქართულ ფეხბურთს — მათგან უმთავრესი კი, რა თქმა უნდა, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიშვნაა.

ვნახოთ ვისზე შეჩერდება ქართული ფეხბურთის მესვეურების არჩევანი.

ეს ყველაფერი დეკემბრის თვეში, მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის შემდეგ გახდება ცნობილი.

მანამდე კი...

დროებით და ნახვამდის ძვირფასო მკითხველო.

კონსტანტინე გოგიშვილი

ბომბარდირები

12 - აუვეთია	*დინამო*
ალექსიძე	*დინამო*
11 - იონანიძე	*ტორპედო*
9 - ქებაძე	*ლოკომოტივი*
8 - გ. ქორიძე	*ვიტ ჯორჯია*
7 - მეგრელაძე	*ტორპედო*

სიმბოლური ნაკრები

გუნდი: დინამო

- *დილა* — ზვიად ხორგუაშვილი
- *ვიტ ჯორჯია* — გიორგი ქორიძე
- *გორდა* — დავით ინასარიძე
- *გორდა* — ვარლამ კილასონია
- *დინამო* — გიორგი ანჩაბაძე
- *სამგურალი* — ირაკლი ხაჭაპურიძე
- *დილა* — ლევან გოჩაშვილი
- *სიონი* — არჩილ შაქიაშვილი
- *ვიტ ჯორჯია* — გიორგი ქანკოტაძე
- *დინამო* — ოთარ ხიზანეიშვილი
- *არსენალი* — ზვიად კუპატაძე

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე *დინამო*

«ა» ზონა

თბილისი
28 ნოემბერი
15 საათი
ერთვნული
2 000 (ტევადობა 75 000)

ლოკომოტივი 1:1 ვიტ ჯორჯია

1:0 ქებაძე (9), 1:1 ქორიძე (36)
ლოკომოტივი: ასლანაძე, მ. ქობულაძე, გ. ჩიხრაძე, ბარნოვი, ნემსაძე, კაციაშვილი (ივარდავა 88), ბაქრაძე, ჩომახიძე, ქებაძე, რუსია, შავგულიძე (იაგორაშვილი 46)
სათადარიგონი: მორჩილაძე, გიგაური, ვ. გველესიანი, კ. მელქაძე, ჩაჩუა
ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ჯ. მუჯირი (ხართიშვილი 71), ჭანკოტაძე, ბარქაია, საჯაია, ნოხვაძე, ყიფიანი, დ. დოლიძე, თოდუა, მაზიაშვილი (ზ. გვაზავა 74), გ. ქორიძე
სათადარიგონი: ჭურაძე; დიღმელაშვილი, გოცირიძე, ვ. გოჩაშვილი, ა. ბოკერია
გაფრთხილება: ქებაძე (3), დოლიძე (22), ქორიძე (45), ასლანაძე (53), ყიფიანი (85)
გაძევება: ასლანაძე (88), დოლიძე (89)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. მენთეშაშვილი, ლ. სილაგავა; ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო
სფფ-ის კომისარი: გ. ისიანი

ბოლნისი
28 ნოემბერი
15 საათი
თბილისი სტადიონი
2 500 (ტევადობა 3 000)

სიონი 1:3 დინამო

1:0 გოგოლაძე (64), 1:1 სიჭინავა (79), 1:2 ნიტაიშვილი (83), 1:3 ანჩაბაძე (89)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ზაკიაშვილი, სიდამონიძე, ნ. მინდიაშვილი, მოსეშვილი, სოლოლაშვილი, თ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, დათუაძე, დ. გოდერძიშვილი
სათადარიგონი: დალაქიშვილი; დ. სვანიძე, დ. ჯაფარიძე, მ. სამხარაძე, ლ. გაგუა
დინამო: გრიშიკაშვილი, ხიზანეიშვილი, დიდავა, შაშიაშვილი (ი. გიგიაძე 75), ვ. შაკიძე, ა. სახვაძე (ნიტაიშვილი 60), სიჭინავა, ალექსიძე, ანჩაბაძე, აშვეთია, გ. შენგელია (ვ. გიგიაძე 70)
სათადარიგონი: ლომაია; პ. ჯინჭარაძე, ღლონტი
გაფრთხილება: შაკიაშვილი (62), ალექსიძე (67), თ. სამხარაძე (76)
მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. მარღიშვილი (ქარელი); ნ. კილაძე (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: კ. ყრუაშვილი



წყალტუბო
28 ნოემბერი
15 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 1:0 თბილისი

1:0 ხაჭაპურიძე (30)
სამგურალი: ო. ბობოხიძე, სადილიანი, ფრანგიშვილი, ჭელიძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე (ზ. ქუთათელაძე 81), სუხიაშვილი, ჭყონია (ფხაკაძე 80), ძოძუაშვილი, ი. ხაჭაპურიძე, ღონღლაძე
სათადარიგონი: ბოდოკია; ნებიერიძე, გაბლაია, ზურაბიანი, კოპალიანი
თბილისი: ბათიაშვილი, ზამთარაძე, ზ. ხიზანიშვილი, აბრამიძე, ქემოკლიძე, კვარაცხელია, ბურდული (ახალაია 72), ი. შენგელია, ვალერი გაგუა, გ. მიქაძე, ისიანი
სათადარიგონი: ბედიაშვილი; ნორაკიძე, დ. ტყებუჩავა, აფციაური, ჩივაძე, ლაბაძე
გაფრთხილება: აბრამიძე (2), გაგუა (6), ჭელიძე (21), ისიანი (80)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); ზ. ერქვანია (ზუგდიდი)
სფფ-ის დელეგატი: ნ. კაკულია

თბილისი
28 ნოემბერი
15 საათი
ისანი
150 (ტევადობა 3 000)

არსენალი 0:1 ბათუმი

აფხაზავა (62)
არსენალი: კუპატაძე, ვახტანგ გაგუა, აბაზაძე, ღუდუშაური, ცოტაძე, კვირკველია (წონკოლაური 71), ხოსროშვილი, თარგამაძე, რობაქიძე (არქანია 89), გონჩაროვი, სულაძე (კაკაშვილი 64)
სათადარიგონი: ჩლაიძე; ყუფარაძე
ბათუმი: ტოგონიძე, არჩვაძე, მინდაძე, მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე (ი. მახარაძე 46), კობიძე, ქაცარავა (რომანაძე 89), გულა ქორიძე, გადელია (ტულუში 65), ა. მუჯირი, აფხაზავა
სათადარიგონი: ვარშანიძე; თედორაძე, პაპიძე, ფირცხალაიშვილი
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

«ბ» ზონა

ფოთი
28 ნოემბერი
15 საათი
ფაზისი
500 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 0:0 ტორპედო

კოლხეთი: ქვაჩახია, კვედელაშვილი, ტორჩინავა, დავითნიძე, გოროზია, შალამბერიძე, კიკლიაშვილი, ტრაპაიძე, ლაღანიძე, ხუჭუა, ე. გვასალია
სათადარიგონი: მ. გვასალია; ჯღარკავა, პაპავა, მელაძე, ჭოხონელიძე, ანჯაფარიძე, ბულუხია
ტორპედო: ჭანტურია, შეყრილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, კვეტენაძე, ჩხეტიანი, გოგიაშვილი, იონანიძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (იმედაძე 77)
სათადარიგონი: სომხიშვილი; მახვილაძე, ვაჩიბერაძე, მ. ბობოხიძე, ახელედიანი, ამისულაშვილი
გაფრთხილება: ხვადაგიანი (9), მეგრელაძე (25), გვასალია (37), კვეტენაძე (73)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის დელეგატი: ა. ბაჩუკაშვილი

ხობი
28 ნოემბერი
15 საათი
კოლხეთი
500 (ტევადობა 12 000)

ხობი 0:1 იბერია

0:1 გეგეშიძე (86ჯ)
ხობი: ბაბუაძე, გედენიძე, ზ. კვეკვესკორი, ვ. ალანია, ზურაბ აიანადი, ვ. ჩიტაია, გოგიტიძე (ჯღამბურია 20), ლ. გვაზავა, თორია, ზაზა აიანადი, ჭიჭინაძე
სათადარიგონი: ვართაგავა, ტყეებუჩავა, აბაკელია, მ. ბუკია
იბერია: ვარდანიძე, კ. მეტრეველი (ოდიკაძე 89), ჭვანია, გეგეშიძე, მიქელთაძე (ბურციძე 65), მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე, ხმალაძე, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ბინაძე
სათადარიგონი: ჩომახიძე, ცომაია, ნ. გოგრგაძე, დარსაძე
გაფრთხილება: ჭიჭინაძე (15), ლურსმანაშვილი (15), ზურაბ აიანადი (27), მუმლაძე (86)
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); გ. კოკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში
სფფ-ის კომისარი: მ. ლაცაბიძე



რუსთავი
28 ნოემბერი
15 საათი
ფოლადი
500 (ტევადობა 10 750)

გორდა 3:1 თსუ

0:1 გვაზავა (51), 1:1 ინასარიძე (56), 2:1, 3:1 კილასონია (62, 90)
გორდა: მ. ქორიძე, ბექაური, გაბელია, ბერიძე, თელიაშვილი, ინასარიძე, ა. ბუკია (მ. სახვაძე 52), ვ. კილასონია, ბაჩილავა, კიტეიშვილი, ლ. ალადაშვილი
სათადარიგონი: გონგაძე; მიშველიძე, ჩიტაური
თსუ: მერლანი, სვანაძე, ნინუა, ინწკირველი (წუწუნავა 71), დეკანოსიძე, მესხი, ადამია, კვიციანი, ერაძე, დ. არჩვაძე (გ. გოცირიძე 26, თ. ბოკერია 85), გ. გვაზავა
სათადარიგონი: გუგუნავა; ჯობაძე, გ. მიქაძე, ფარქოსაძე
გაფრთხილება: ინწკირველი (6), არჩვაძე (10), ალადაშვილი (34), თელიაშვილი (50), ერაძე (62), მესხი (72)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. დოლიძე, ზ. ჯვარიძე; მ. ურუშაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი
სფფ-ის კომისარი: შ. ხინჩაგაშვილი

გორი
28 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 8 230)

დილა 3:2 მერანი

0:1 ლურსმანაშვილი (20) 1:1, 2:1 ხორგუაშვილი (37,41) 2:2 ბ. ამბიძე (49ჯ) 3:2 ციცქიშვილი (84)
დილა: მდივანი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, არუთინიანი, ციცქიშვილი, მარღიშვილი (მარეხაშვილი 88), ხორგუაშვილი (სულთანიშვილი 59), ვ. მაისურაძე
სათადარიგონი: ილურიძე; ოლგესაშვილი, კარელიძე, საყვარელიძე, ვ. სამხარაძე
მერანი: ნაჭყეპია, ლ. ამბიძე, ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი, კარიაული, (თოლორდავა 46), ბაჯელიძე, დავითაშვილი, ვ. ალადაშვილი, ბ. ამბიძე, დვევიძე, ჭინჭარაული
სათადარიგონი: კოროშინაძე; კოშკაძე, ჩხაიძე, ხარებავა, ჩანადირი
გაფრთხილება: ბაჯელიძე (32) ხაჭაპურიძე (38), აკოფიანი (74) ლ. ამბიძე (80)
მსაჯები: ო. გუნდაძე (ლანჩხუთი); მ. ელიკაშვილი, ვ. ჩოჩიშვილი; ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი
სფფ-ის კომისარი: მ. ანჯაფარიძე

«ა» ზონა		სულ							შინ							სტუმრად						
№	გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	დინამო	14	11	1	2	38:12	26	34	7	6	1	0	24:6	18	19	7	5	0	2	14:6	8	15
2	ბათუმი	14	6	7	1	15:4	11	25	7	5	2	0	12:1	11	17	7	1	5	1	3:3	0	8
3	ვიტ ჯორჯია	14	6	5	3	20:12	8	23	7	4	2	1	14:4	10	14	7	2	3	2	6:8	-2	9
4	სიონი	14	6	3	5	13:19	-6	21	7	3	3	1	7:7	0	12	7	3	0	4	6:14	-8	9
5	ლოკომოტივი	14	5	3	6	21:19	2	18	7	2	3	2	8:7	1	9	7	3	0	4	13:12	1	9
6	თბილისი	14	3	4	7	21:31	-10	13	7	3	1	3	14:19	-5	10	7	0	3	4	7:12	-5	3
7	სამგურალი	14	3	2	9	9:27	-18	11	7	3	1	3	4:6	-2	10	7	0	1	6	5:21	-16	1
8	არსენალი	14	2	3	9	10:23	-13	9	7	2	1	4	6:10	-4	7	7	0	2	5	4:13	-9	2

«ბ» ზონა		სულ							შინ							სტუმრად						
№	გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ტორპედო	14	11	3	0	33:5	28	36	7	5	2	0	18:4	14	17	7	6	1	0	15:1	14	19
2	კოლხეთი	14	8	1	5	19:15	4	25	7	5	1	1	10:3	7	16	7	3	0	4	9:12	-3	9
3	დილა	14	6	2	6	19:24	-5	20	7	4	1	2	11:10	1	13	7	2	1	4	8:14	-6	7
4	იბერია	14	5	3	6	9:20	-11	18	7	4	1	2	7:7	0	13	7	1	2	4	2:13	-11	5
5	გორდა	14	5	1	8	17:18	-1	16	7	4	1	2	13:5	8	13	7	1	0	6	4:13	-9	3
6	თსუ	14	4	4	6	13:18	-5	16	7	3	1	3	9:9	0	10	7	1	3	3	4:9	-5	6
7	მერანი	14	3	6	5	14:15	-1	15	7	2	3	2	7:6	1	9	7	1	3	3	7:9	-2	6
8	ხობი	14	2	4	8	15:24	-9	10	7	1	2	4	9:11	-2	5	7	1	2	4	6:13	-7	5

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ ქეცბაია მისებურად დაბრუნდა

საბჭოელის არქივიდან

„მირორმა“ „8“-ით შეაფასა თემურ ქეცბაიას თამაში ლონდონის „ტოტენჰემთან“. ასე კარგად ქართველი ვეტერანი დიდი ხანია, არ გარჯილა. იგი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე რომის „ოლიმპიურზე“ „რომას“ წინააღმდეგ. არადა, ქეცბაია რომშიც საუკეთესო გახლდათ.

ქართველი თავიდანვე დიდებული იყო და უკვე მე-5 წუთზე გატანილ გოლში წვლილი შეიტანა. „ნიუკასლისთვის“, რა თქმა უნდა, სულერთია, ვინ გაიტანა ეს გოლი — გლასმა თუ ქეცბაიმ, თუმცა ამან აზრთა სხვადასხვაობა მაინც გამოიწვია. ორმა პოპულარულმა გაზეთმა დაწერა, რომ გოლი ქეცბაიამ გაიტანა, სამმა კი იგი გლასს მიაკუთვნა. ასე მოიქცა პრემიერლიგის ოფიციალური საინტერნეტო გვერდიც, თუმცა ამან ერთი წუთითაც ვერ დაჩრდილა ქეცბაია. გასულ კვირაში „სარბიელის“ რჩეული ლეგიონერი სწორედ „ჯორდების“ მე-14 ნომერია.

საკადრისად დაუბრუნდა ინგლისს გიორგი ქინქლაძეც. „მირორმა“ მას „ჰაიბერიზე“ 30-წუთიანი „ცეკვისთვის“ „7“ დაუწერა, „გარდიანმა“ — „8“. თუმცა ქინქლაძეს, რა თქმა უნდა, ჩვეულ ფორმამდე ძალიან ბევრი უკლია. ისიც სათქმელია, რომ ქართველი ძალიან სუსტ გუნდში გამოდის, რაც მას, უეჭველია, გამუდმებული ყურადღების ქვეშ ამყოფებს. აღსანიშნავია, ისიც, რომ არსენ ვენგერმა „დერბის“ წინააღმდეგ თითქმის მეორე შემადგენლობა ათამაშა.

„გრასჰოპერიდან“ „ციურიხში“ გადაბარგების შემდეგ პირველად გაიტანა მიხეილ ყაველაშვილმა. მან „არაუსთან“ ივარგა და მასპინძლებს სასწაულად გამოგლიჯა ქულა. ამ შედეგმა ყაველაშვილისა და ჯამარაულის გუნდს ფინალურ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი მისცა.

ისრაელში ლიდერობა დაკარგა გოგა გახოკიძის „მაკაბიმ“. ჰაიფელებმა სტუმრად „ბეითარს“ ვერ მოუგეს და პირველი ადგილი გიორგი დარასელიას ყოფილ კლუბს, თელ ავივის „ჰაპოელს“ გადააბარეს. დარასელიას ახლანდელმა კლუბმა კი კვლავ წაგო და უიმედო აუტსაიდერია.

მიხეილ ფოცხვერიას „შახტარმა“ დონეცკში კახი კალაძის კიევის „დინამოს“ 12-მატჩიანი მოგების სერია შეუწყვიტა. არც ერთ ქართველს უთამაშია. მატჩი 0:0 დასრულდა, თუმცა კიევი პოტენციურ პრეტენდენტს კვლავ 10 ქულით უსწრებს.

ბუნდესლიგაში ზედიზედ მეორედ წაგო „ფრაიბურგმა“ ამჯერად შინ. ფინკეს გუნდს კვლავ ერთი ქართველი — ლევან კობიაშვილი ჰყავდა. „კიკერმა“ მასპინძლთაგან სწორედ ლევანი და მეკარე გოლცი გამოარჩია. ორივემ 3,5 بალი მიიღო.

ბელგიის „ლიერსის“ ძირითადს დაუბრუნდა გელა შეყილაძე, თუმცა კლუბმა კვლავ წაიფორხილა და პოტენციურად მეოთხე ადგილზე დაქვეითდა.

ჰოლანდიის მეორე დივიზიონში კი „ბრედა“ ლიდერად იქცა. არჩილ არველაძის გუნდმა საგარეო მატჩი მოიგო. თავად არჩილს ამჯერად არ გაუტანია.

ჩვენს ცხრილს გასულ კვირას კიდევ ორი ჩემპიონატი გამოაკლდა. მოლდოვასა და პოლონეთში პირველი წრე დასრულდა. ორივეგან ქართველების გუნდები — „შერიფი“ და „რუხი“ ლიდერობენ.

სიმონ მენაგდე

სახელი	გვარი	კლუბი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა
ინგლისი						
პრემიერლიგა						
თემურ	ქეცბაია	ნიუკასლი	შ	ტოტენჰემი 2:1	74	შეცვალეს
გიორგი	ქინქლაძე	დერბი	ს	არსენალი 1:2	30	შეცვლაზე ითამაშა
პირველი დივიზიონი						
კახი	ცხადაძე	მანჩესტერ სიტი	შ	ჰადერსფილ. 0:1	0	ტრამვა
გერმანია						
ბუნდესლიგა						
ალექსანდრე	იაშვილი	ფრაიბურგი	შ	შტუტგარტი 0:2	0	ტრამვა
ლევან	კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	შტუტგარტი 0:2	90	
ლევან	ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	შტუტგარტი 0:2	0	ტრამვა
მეორე ბუნდესლიგა						
რევაზ	არველაძე	ობერჰაუზენი	შ	ქემნიცი 1:0	0	შემადგენლობაში ვერ ხვდება
ჰოლანდია						
უმაღლესი დივიზიონი						
შოთა	არველაძე	აიაქსი	ს	აზ-67 2:1	0	ტრამვა
პირველი დივიზიონი						
არჩილ	არველაძე	ბრედა	ს	ჰელმონდ 3:0	90	
ბელგია						
უმაღლესი დივიზიონი						
გელა	შეყილაძე	ლიერსი	ს	ბრიუგე 0:1	90	
ლაშა	ჯაკობია	სტანდარდი	ს	აალსტი 2:1	0	შემადგენლობაში ვერ ხვდება
შვეიცარია						
უმაღლესი დივიზიონი						
მიხეილ	ყაველაშვილი	ციურიხი	ს	არაუ 1:1	76	გოლი, შეცვალეს
გოჩა	ჯამარაული	ციურიხი	ს	არაუ 1:1	90	
უკრაინა						
უმაღლესი დივიზიონი						
კახა	კალაძე	დინამო	ს	შახტარი 0:0	0	
ტარიელ	კაპანაძე	ნივა				ტური გამოტოვა
ავთანდილ	კაპანაძე	ნივა				ტური გამოტოვა
ავთანდილ	სიხარულიძე	ნივა				ტური გამოტოვა
ალექსანდრე	კაიდარაშვილი	ნივა				ტური გამოტოვა
კახა	დგებუაძე	ნივა				ტური გამოტოვა
ალექსანდრე	გვიანიძე	ნივა				ტური გამოტოვა
ვიტალი	დარასელია	ცსკა				ტური გამოტოვა
მიხეილ	ფოცხვერია	შახტარი	შ	დინამო 0:0	0	შემადგენლობაში ვერ ხვდება
თურქეთი						
უმაღლესი დივიზიონი						
გიორგი	კიკნაძე	სამსუნსფორი	ს	ალთაი 1:2	0	შემადგენლობაში ვერ ხვდება
ვალტერ	გუჩუა	ისტანბულსფორი	შ	ქოჯაელი 4:1	0	ახალწვეულია
საბერძნეთი						
უმაღლესი დივიზიონი						
გოდერძი	ნატროშვილი	პანაჰაიკი	ს	კავალა 0:0	90	
ისრაელი						
უმაღლესი დივიზიონი						
გიორგი	დარასელია	ჰაპოელი (ქვარ სავა)	ს	ნეთანია 1:4	90	
გიორგი	გახოკიძე	მაკაბი (ჰაიფა)	ს	ბეითარი 1:1	90	

დემეტრაძეს მოცდა მოუნევს

სურკისი და ბითაროვი თანხაზე ვერ შეთანხმდნენ

კიევის „დინამოსა“ და ვლადიკავკაზის „ალანიას“ შორის გიორგი დემეტრაძის შესახებ გამართული მოლაპარაკების პირველი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა. კიეველთა პრეზიდენტი გრიგორი სურკისი და „ალანიის“ გენერალური დირექტორი ბათრაზ ბითაროვი ფულზე ვერ მორიგდნენ. ბითაროვიც ვლადიკავკაზში დაბრუნდა. „დინამო“ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელში იმ თანხის ნახევარს იხდის, რასაც „ალანია“ ითხოვს. ორივე კლუბის ხელმძღვანელობა ფინანსურ მხარეზე არაფერს ამბობს, თუმცა, ბოლო არაოფიციალური ინფორმაციით, ოსები დემეტრაძეს 5 მილიონ დოლარად აფასებენ.

„უკრაინელები თანახმა არიან, თანხის ნახევარი გადაიხადონ. ახლა კლუბის პრეზიდენტ სერგეი ტაკოევს შევხვდები და მათ პირობებს გავაცნობ. ყველაფერი ამის შემდეგ გადაწყდება“ — განაცხადა ბიტაროვმა ვლადიკავკაზში დაბრუნების შემდეგ. მისივე თქმით, „ალანია“ დემეტრაძეში რეალურ ფასს ითხოვს. „დემეტრაძე სწორედ იმდენი ღირს, რასაც ჩვენ ვაფასებთ, თანაც ეს თანხა არცთუ ბევრია“ — მიაჩნია ვლადიკავკაზური კლუბის უფროსობას.

მიუხედავად იმისა, რომ კლუბებს შორის პირველი მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდა, მხარეები უახლოეს მომავალში კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს და ვაჭრობას გააგრძელებენ. „დინამოც“ და „ალანიაც“ იმედს არ ჰკარგავენ, რომ საბოლოოდ შეთანხმებას მიაღწევენ და კმაყოფილნი დარჩებიან.

„თავად ფეხბურთელს ძალიან უნდა კიევის „დინამოში“ გადასვლა. ჩვენც ვეცდებით, ხელი შეეუწყოთ“ — ეს სიტყვებიც ბითაროვს ეკუთვნის.

სპეციალისტთა ვარაუდით, ყველაფერი დემეტრაძისთვის სასიკეთოდ გადაწყდება. ამ აზრს, უპირველეს ყოფლისა, ის ფაქტი ამყარებს, რომ მოლაპარაკებისას კლუბებს შორის ძალიან თბილი და საქმიანი ურთიერთობა დამყარდა. სურკისმა და ბითაროვმა ხელშეკრულებაც კი გააფორმეს თანამშრომლობის შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად, მომავალი წლის იანვარში კიევის „დინამო“ კონჩა ზასპეში მდებარე თავის ბაზას ორი კვირით „ალანიას“ დაუთმობს. გუნდის ახალდანიშნული მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევიც იქ მოამზადებს ფეხბურთელებს მომავალი სეზონისთვის. უკრაინაში მზადებისას „ალანია“ და „დინამო“ ორჯერ ამხანაგურად შეხვდებიან ერთმანეთს.

„ვფიქრობ, ასეთი ურთიერთობა ორივე გუნდს სასიკეთოდ წაგვადგება“ — განაცხადა ბითაროვმა მასმედიასთან საუბრისას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა ჩვენც ვივარაუდოთ, რომ „დინამოს“ და „ალანიას“ გიორგი დემეტრაძის თაობაზე შეთანხმების მიღწევა არ გაუჭირდებათ.

ვანო ოძროპირიძე

პრილიას წიკლაური სჭირდება

სამარის „კრილია სოვეტოვმა“ წლეულს რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში ადგილის შენარჩუნება შეძლო. სამარელთა წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა ფეხბურთელებმაც. ბოლო ტურებში „კრილია სოვეტოვი“ სწორედ ზურაბ წიკლაურის გოლებმა და კარის ბაზზე დავით გვარამაძის კარგმა თამაშმა იხსნა გავარდნისგან. გუნდის კაპიტანი ზურაბ ფოფხაძე კი მთელი ჩემპიონატის განმავლობაში სამარელთა სული და გული გახლდათ.

სეზონის დასრულების შემდეგ ჩვენებურთა გადაბირება რამდენიმე რუსულ კლუბს სურდა, მაგრამ სამარელთა ხელმძღვანელობამ ყველა უარით გაისტუმრა.

ორი დღის წინ კი კლუბის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა. „კრილია სოვეტოვმა“ ზურაბ წიკლაურის მოსურნე მოსკოვის ცსკა-ს უარი უთხრა. აქამდე სამარელებს მოსკოვური კლუბებისთვის უარი არასდროს უთქვამთ.

„მომავალი სეზონისთვის საკმაოდ სერიოზულ მიზნებს ვისახავთ. მათი მიღწევა ძალიან გაგვიჭირდება, თუ გუნდიდან წიკლაურის დარ ფეხბურთელებს გავუშვებთ“ — ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება კლუბის პრეზიდენტმა გერმან ტკაჩენკომ.

მიუხედავად ამისა, ცსკა, როგორც ჩანს, სამარელ ქომაგთა საყვარელი ფეხბურთელის გადაბირებას მაინც ეცდება, თუმცა „კრილია სოვეტოვს“ იმედი აქვს, რომ წიკლაურს შეინარჩუნებს.

ვანო ოძროპირიძე

ინგლისის პირველი მსოფლიო

საკონტინენტთაშორისო თასი

ტოკიო
30 ნოემბერი
14.15 საათი
ეროვნული
53 372 მაყურებელი

მანჩესტერი 1:0 პალმეირასი

1:0 კინი (35)

მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი (შერინგემი 75), ბათი, სოლსკიაერი (იორკი 46), გიგზი

პალმეირასი: მარკოსი, არსე, ჟუნიორი, ჟუნიორ ბაიანო, როკე ჟუნიორი, ალექსი, სეზარ სამპაიო, გალეანო (ევაირი 54), ზინიო, პაულო ნუნეში (ეულერი 77), ასპრილია (ოსეასი 56)

მსაჯი: ჰ. კრუგი (გერმანია)

REUTERS ტოკიოდან

„მანჩესტერ იუნაიტედი“ საკონტინენტთაშორისო თასის მოგებას ზეიმობს

იაპონელი ქომაგები ტოკიოს „ეროვნულზე“ დევიდ ბექემის სანახავად მივიდნენ, მაგრამ გოლი, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედს“ ტოიოტას თასი მოაპოვებინა, ინგლისური გუნდის მეორე გარემარბმა, რაიან გიგზმა შექმნა.

35-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც უელსელმა მარცხენა ფრთიდან კლასიკურად ჩააწოდა ბურთი. „პალმეირასის“ მეკარემ, მარკოსმა, ამ პასს ალღო ვერ აუღო და შედეგად როი კინმა ახლოდან გოლი შეაგდო.

კინის საგოლე დარტყმამ სერ ალექს ფერგიუსონის ჯილდოთმფლობელებს კლუბის ისტორიის ახალი ფურცელი ჩააწერინა — „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახდა პირველი ინგლისური გუნდი, რომელმაც პლანეტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ანუ ევროპის ჩემპიონთა თასისა და სამხრეთ ამერიკის „კოპა ლიბერტადორესის“ მფლობელთა ტრადიციულ დავაში გაიმარჯვა.

დღეს ცინიკოსებს სალაპარაკო მიეცათ. „იუნაიტედს“ შეუძლია იანვარში, ბრაზილიაში წასვლითა და კლუბთა პირველ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობით თავი აღარ შეიწუხოსო.

როგორც გაირკვა, „იუნაიტედის“ გამარჯვებას ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე შეკრებილნი ერთობ მიესალმებოდნენ. იაპონიის დედაქალაქში მანჩესტერის გუნდი ფრიად პოპულარული ყოფილა, რაც ბექემის მაისურებში გამოწყობილ ქომაქთა სიმრავლემ გამოაჩინა.

ორგანიზატორთა შოუმენურმა ნიჭმა კი შეხვედრა სანახაობად აქცია. თამაშის წინ სტადიონი ნაირგვარმა ეფექტებმა გაახალისა.

ასეთი ფერადოვნების ფონზე პირველმა ტაიმმა არ გამართლა.

...ფერგიუსონმა მოედანზე საუკეთესო შემადგენლობა გაიყვანა. თავდასხმაში ადგილი ოლე გუნარ სოლსკიაერს ერგო. ფრთებიდან მას ბექემი და გიგზი ამარაგებდნენ, ხოლო შუიდან პოლ სქოულზი.

„იუნაიტედმა“ პირველი ხელსაყრელი მომენტი მეორე წუთზე შექმნა, როდესაც მოშუშებულმა ნიკი ბათმა მეტოქის საჯარიმოდან დაახლოებით 25 იარდში საჯარიმო დარტყმის უფლება მოინადირა, ხოლო მისი შესრულება დევიდ ბექემმა ითავა, მაგრამ ოდნავ ააცილა.

ამ დროს „პალმეირასის“ ყველაზე სახიფათო კაცად ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედის“ ყოფილი ფორვარდი ფაუსტინო ასპრილია ჩანდა. მას ასაკის მატების მიუხედავად, უნარი არ დაქვეითებია. ერთ ეპიზოდში მან მიკაელ სილვესტრი ჩამოიტოვა და დაარტყა, მაგრამ ბურთს იაპ სტამი გადაეფარა.

შემდეგ, როდესაც იმავე სილვესტრთან ორთაბრძოლისას ალექსი წაიქცა, „პალმეირასის“ გულშემატკივრებმა პენალტი მოითხოვეს, მაგრამ მსაჯმა ჰელმუტ კრუგმა თამაშის გაგრძელება ბრძანა.

ალექსს, ერთი ხნის შემდეგ „იუნაიტედის“ მეკარე მარკ ბოსნიჩმა აუღო დარტყმა. იმავე ბოსნიჩმა ჟუნიორის თავურსაც გადაუკეტა კარისკენ მიმავალი გზა. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ მანჩესტერელთა ავსტრალიელმა გოლკიპერმა საუცხოოდ ითამაშა და ინგლისური გუნდიდან შეხვედრის საუკეთესოობასაც კი იმსახურებდა.

და მაინც, პირველ ტაიმში, როგორც მოგახსენეთ, თამაში დუნედ მიმდინარეობდა. ერთფეროვნება 35-ე წუთზე გიგზისა და კინის საგოლე კომბინაციამ დაარღვია.

სამი წუთის შემდეგ ბათმა დაარტყა დაახლოებით 30 მეტრიდან — ბურთი მარკოსისგან მარცხენა ძელს მოხვდა.

მერე, „იუნაიტედის“ უპირატესობა სილვესტრმა შეინარჩუნა. მან ალექსის მიერ თავით დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანა.

როგორც ზევით მოგახსენეთ, მანჩესტერელებს თავდასხმაში სოლსკიაერი ჰყავდათ გამწესებული. ნორვეგიელმა, ბუნებრივია, ბრძოლას თავი არ აარიდა და ამიტომაც გახლდათ ერთობ გასაკვირი შესვენებისას მისი დუაიტ იორკით შეცვლა.

მეორე ტაიმში გაცილებით ღია ფეხბურთი გაჩაღდა და ამიტომაც იყვნენ მიზანთან ახლოს როგორც იორკი, ასევე ასპრილია. ასე ნელ-ნელა თამაშმა მიიღო საკონტინენტთაშორისო თასის ღირსი ფორმა და სიმწვავე. მომენტები ჰქონდათ სქოულზს, ბათსა და გიგზს, მწვავე მომენტების სიხშირე ერთიორად გაიზარდა, ბოსნიჩს, თავის მხრივ, შეცვლაზე შესული ოსეასის დარტყმულის მოგერიება მოუხდა, ხოლო შემდეგ ინგლისელები იორკის წაქცევისთვის ამაოდ ითხოვდნენ თერთმეტმეტრიან დარტყმას.

„იუნაიტედის“ კარის მტრად კვლავ ალექსი რჩებოდა. მან ჯერ გარღვევის შემდეგ ააცილა, ხოლო ერთი ხნის მერე, თავით ოდნავ დააკლდა მიზნის მიღწევას.

„პალმეირასი“ მეტად და მეტად ამჭიდროვებდა მარწუხებს. ბოსნიჩს კვლავ მოუხდა ოსტატობის ჩვენება — ეულერის დარტყმულის მოგერიებამდე ისევ ოსეასს აუღო დიდებულად, ხოლო სულ ბოლოს ისევ ალექსს გადაუწურა ანგარიშის გათანაბრების იმედი.

დევიდ ანდერსონი,
PA Sports

მატჩის შემდეგ

„მე თუ მკითხავთ, მარკ ბოსნიჩმა დიდი მეკარის რეპუტაცია დაიმკვიდრა“ — თქვა მატჩის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა — „იგი ბოლო შეხვედრებში ძალიან, ძალიან ყოჩაღობდა, მაგრამ დღეს განსაკუთრებულად ითამაშა, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და ხალხს ადგილიდან ნამოახტუნებდა ხოლმე. ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, რომ მას ეს შეეძლო და ველოდით ამას. ბოსნიჩმა სამჯერ საუცხოოდ მოიგერია ბურთი. ვგონებ, ამ შეხვედრით მან არა მხოლოდ საკუთარ, არამედ მთელი ჩვენი გუნდის წარმატებულ სეზონს ჩაუყარა საფუძველი“.

შემდეგ „იუნაიტედის“ მწვრთნელმა საკუთრივ შეხვედრაზეც ისაუბრა:

„მეტოქის თამაშის სტილიდან გამომდინარე, გარკვეულ რისკზე წასვლა გადავწყვიტეთ და გაგვიმართლა კიდეც. ამ შეხვედრას ძალიან სერიოზულად მივუდექით, ძალიან გვინდოდა გამარჯვება ჩვენ დაგვრჩენოდა. რადგან ჯერ ერთი საქმე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონის ტიტულს ეხებოდა და მეორეც, ეს ტიტული აქამდე ინგლისურ გუნდს არ რგებია. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მიღწეულით ძალიან ამაყობს“.

ლუის ფელიპე სკოლარი, „პალმეირასის“ მწვრთნელი: „დღეს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაამტკიცა, რომ დიდი გუნდია. ჩვენ გოლის გატანის მრავალი შანსი შევქმენით, მაგრამ მონინააღმდეგემ საუცხოოდ ითამაშა, ხოლო მისმა გოლკიპერმა სამი დარტყმა საუცხოოდ მოიგერია“.

REUTERS ტოკიოდან

ბრაზილიელი ჟუნიორ ბაიანოს (№3) ამ საჯარიმო დარტყმას გოლი არ მოჰყოლია

REUTERS ტოკიოდან

მანჩესტერელთა მცველი გარი ნევილი (მარცხნივ) პალმეირასელ ნახევარმცველ ზინიოს ეჭიდავება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის რუკასთან

იტალიურმა კლუბმა „ვენეციამ“ მთავარი მწვრთნელი ჯუზეპე მატერაცი დაითხოვა და მის ნაცვლად ერთი თვის წინ გათავისუფლებული ლუჩანო სპალეტი დააბრუნა. მატერაციმ სპალეტი თვის დასაწყისში შეცვალა, თუმცა ამით „ვენეციას“ ვერ ეშველა, მისი ხელმძღვანელობით გუნდმა სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ფრე გაახერხა. უკანასკნელ ტურში ვენეციელები „ლეჩესთან“ დამარცხდნენ ანგარიშით 1:2 და ახლა სატურნირო ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზე არიან.

ესპანური „რაიო ვალეკანოს“ გერმანელმა მცველმა გერარდ პოშნერმა პრიმერადივიზიონის უკანასკნელ მატჩში ბილბაოელ კარლოს გარსიასთან შეჯახების შემდეგ მძიმე ტრავმა მიიღო და ექიმების განცხადებით, დაახლოებით ექვსი თვე დააკლდება თავის გუნდს. პოშნერი მადრიდულ კლუბს წლეულს იტალიური „ვენეციიდან“ შეუერთდა. ფეხბურთელი სამშობლოში დაბრუნდება და სარეაბილიტაციო პერიოდს ქალაქ შტუტგარტში გაატარებს.

ფრანგული „მეცის“ იტალიელი ფორვარდი მიკელე პადოვანო ჩემპიონატის მორიგ ტურში, „ტრუას“ წინააღმდეგ მატჩში სერიოზულად დაშავდა. ექიმების თქმით, მან კოჭის ტრავმა მიიღო. გაზეთები იმასაც წერენ, რომ 33 წლის პადოვანომ შესაძლოა საერთოდ დატოვოს დიდი ფეხბურთი.

ინგლისის ნაკრების და „ლივერპულის“ ნახევარმცველი ჯეიმი რედნაპი მუხლის ტრავმის გამო ახალ წლამდე გამოეთიშა თავის გუნდს. ბოლო ტურის მატჩში, რომელიც „ლივერპულმა“ „ვესტ ჰემთან“ დათმო ანგარიშით 0:1, რედნაპი არ მონაწილეობდა. ამის მიზეზი ტრავმა გახლდათ. ახალი ინფორმაციით, „ლივერპულს“ შესაძლოა კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი, ჩეხი ნახევარმცველი პატრიკ ბერგერი დააკლდეს. იმავე „ვესტ ჰემთან“ მატჩში ბერგერი დაშავდა და დებიუტშივე შესაცვლელი შეიქნა. უკვე რამდენიმე ტურია, გუნდს კიდევ ერთი ჩეხი ფეხბურთელი, ვლადიმერ შმიცერი აკლია, მიზეზი იგივეა — მას ტრავმა აქვს. მომდევნო ტურის მატჩი „ლივერპულს“ კვირას, 5 დეკემბერს, აუტსაიდერ „შეფილდ უენსდის“ წინააღმდეგ ელის.

საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერის, „მონპელიეს“ ხელმძღვანელობამ წარუმატებლობის გამო მთავარი მწვრთნელი ჟან-ლუი გასეტი თანამდებობიდან დაითხოვა და მის ადგილზე მიშელ მეზი დააბრუნა. მეზი უკვე მეოთხედ დაინიშნა „მონპელიეს“ თავკაცად. პირველად 1986 წელს, მეორედ 1990-ში, როცა მან სეზონის მიწურულს ემე ჟაკე შეცვალა და „მონპელიე“ უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნას გადაარჩინა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ იმავე პოსტზე ჟერარ ჟელის ნაცვლად დაბრუნდა. „მონპელიეს“ ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ გასეტი გუნდს აშკარა კრიზისიდან გამოიყვანს.

შვედეთის ჩემპიონ „ჰელსინბორგის“ ხელმძღვანელობამ ორშაბათს განაცხადა, რომ თითქმის დაასრულა მოლაპარაკებები კლუბ „ტრომსოსთან“ ნორვეგიელი ნახევარმცველის, ბიორნ იოჰანსენის თაობაზე. ოფიციალური ინფორმაციით, სატრანსფერო ღირებულებამ 3,5 მილიონი შვედური კრონა (დაახლოებით 410 ათასი დოლარი) შეადგინა.

იტალიურმა „პერუჯამ“ ტურინულ კლუბ „ტორინოს“ მეკარე ლუკა ბუჩი უმსგავსო ქმედებაში დაადანაშაულა. მათი განცხადებით, ბუჩი სერია A-ს მორიგი ტურის მატჩის შემდეგ, „პერუჯას“ ერთ-ერთ ოფიციალურ წარმომადგენელ ერმანო პიერონის გასასვლელ გვირაბში უმსგავსოდ მოექცა და სახეში სიგარეტი ესროლა. ამის შემდეგ უკვე მანქანების სადგომ პარკში მიეჭრა და საქმის გარჩევა დაუწყო. „ტორინოსა“ და „პერუჯას“ შორის უთანხმოება 1997-98 წლების სეზონში დაიწყო, როდესაც „პერუჯამ“ „ტორინო“ პენალტების სერიით დაჯაბნა პლეი ოფში და სერია A-დან გაავდო. თუმცა არ არის ცნობილი, რას ერჩოდა უშუალოდ პიერონის ბუჩი.

ინგლისურმა „არსენალმა“ ესპანეთის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ლევანტეს“ 18 წლის ფორვარდ ვისენტე როდრიგესში 2 მილიონი გირვანქა (დაახლოებით 3,2 მილიონი დოლარი) შესთავაზა. თუმც ესპანური კლუბის განცხადებით, ეს ფული არ გახლავთ საკმარისი იმისათვის, რომ ვუნდერკინდად წოდებულმა ვისენტემ კარიერა ინგლისში გააგრძელოს. „ლევანტე“ ფეხბურთელში მინიმუმ 6 მილიონ დოლარს ითხოვს. ესპანურმა კლუბმა ვისენტე 16 წლის ასაკში 30 მილიონ პესეტად შეიძინა. იგი საკმაოდ წარმატებულად თამაშობს და ტურის უკანასკნელ შეხვედრაში „ატლეტიკო B“-ს წინააღმდეგ დუბლის მესრულებაც შეძლო.

სომხეთის ეროვნულ ჩემპიონატში ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. გასულ ტურში ერთმანეთს ქალაქ გიუმრის ორი გუნდი, ჩემპიონატის ლიდერი „შირაქი“ და აუტსაიდერი „გიუმრი“ ხვდებოდნენ. დაფიქსირდა არასფეხბურთო ანგარიში — 15:5. ჩემპიონატის ბომბარდირებმა — ნიკოლაი იეპრანოსიანმა და არტიომ ბერნესიანმა შესაბამისად 8 და 6 ბურთი გაუტანეს „გიუმრის“. თუმცა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ვიდეოჩანაწერის ხილვის შემდეგ ეჭვი შეიტანა, რომ შეხვედრა ჩაწყობილი იყო, რის გამოც მათ „შირაქი“ დასაჯეს, ხოლო აუტსაიდერებს ტექნიკური მოგება 0:3 ჩაუთვალეს. შესაბამისად დაფიქსირებული შედეგი გააუქმეს და ბომბარდირებს გატანილი ბურთები არ მიეთვალათ. „შირაქის“ ხელმძღვანელი წლის ბოლომდე დისკვალიფიკაციით დაისაჯა და გარდა ამისა მას 500-დოლარიანი ჯარიმის გადახდაც დაეკისრა.

იტალიური „ინტერის“ სუპერვარსკვლავს, რონალდოს, ფორმის აღდგენის შესაძლებლობა არა და არ მეიცა. სეზონის დასაწყისში ტრავმებმოშუშებული ფეხბურთელი კვლავ საოპერაციო შეიქნა, მას მარჯვენა მუხლი აწუხებს. ვარაუდობენ, რომ ფეხბურთელს ოპერაციას სავარაუდოდ, ვინმე ჟერარ საილანტი გაუკეთებს. ეს ქირურგი მსოფლიოში განთქმული სპეციალისტია და პარიზში მუშაობს. რონალდო საფრანგეთში „ინტერის“ ექიმთან და თავის მენეჯერთან ერთად გაემგზავრა. გასინჯვის შემდეგ საილანტს უთქვამს, სარეაბილიტაციო პერიოდი ხუთ თვეს გასტანს. მან ისიც დაუმატა, მეტად გადატვირთული სამუშაო გრაფიკი მაქვს და შესაძლოა, ოპერაციის გაკეთება ვინმე სხვას მოუხდესო.

იტალიურ სუპერგრანდ „მილანს“ მთავარ მწვრთნელად ესპანეთის ნაკრების თავკაცი ხოსე ანტონიო კამაჩო სურს. ხმები ამის შესახებ მას შემდეგ დაირხა, რაც ახლანდელი თავკაცის — ალბერტო ძაკერონის ხელმძღვანელობით „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშა. ხოსე კამაჩოს ესპანეთის ნაკრებთან მიმდინარე კონტრაქტი აკავშირებს. მისი მეთაურობით გუნდმა ევრო 2000-ზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ნაკრების მწვრთნელობამდე, მადრიდის „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი ერთი პერიოდი ბარსელონის „ესპანიოლის“ თავკაცადაც მუშაობდა.

ერთი წუთით დამალაპარაკეთ



სვენ გორან ერიკსონი

„ლაციოს“ მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი ფეხბურთის წესთა გამრიგეებს კალათბურთის ანალოგიური წუთშესვენებების შემოღებას სთავაზობს. იგი დარწმუნებულია, რომ ახალი წესის შემოღება სპორტის ამ სახეობას დიდად განავითარებს.

„ჩემი აზრით, ადრე თუ გვიან, წუთშესვენებათა შემოღება მოგვიწევს და ეს ძალიან კარგი იქნება. ამ გზით თამაშის განმავლობაში მოთამაშეებთან ურთიერთობებას გავიუმჯობესებთ“ — განაცხადა შვედმა სპეციალისტმა უეფას ბიულეტენისთვის მიცემულ ინტერვიუში.

შემდეგ ერიკსონი თავის ვარიანტებს გვთავაზობს: „მე ყოველი 22 წუთის შემდეგ ერთწუთიანი ტაიმ-აუტს შემოვიღებდი“.

გარდა ამისა ერიკსონს მსაჯობაზეც აქვს თავისი შეხედულება. იგი ამბობს, რომ დღეს მოქმედ არბიტრებს უნდა დავამატოთ კარების ახლოს განთავსებული ხაზის დამკვირვებლები.

„უმაღლეს დონეზე ხშირია მატჩები, რომელთა ბედს ერთადერთი გოლი წყვეტს და ამ გოლის შეფასება მსაჯებისგან განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ითხოვს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეპიზოდები, რომლებიც საჯარიმოში ხდება. მოედნის შუაში დაშვებული შეცდომა იმდენად საბედისწერო არ გახლავთ, საჯარიმოში კი შედეგზე ახდენს გავლენას. ჩემი ვარიანტი ერთი მსაჯის და ორი თანამსაჯის შენარჩუნება და კარის ხაზების არბიტრთა დამატება გახლავთ. ისინი, ვინც ხაზებს მიაქცევენ ყურადღებას, ორი ამოცანის წინაშე იდგებიან: „მათ მსაჯს უნდა უთხრან, დასანიშნია თუ არა პენალტი და შევიდა თუ არა ბურთი კარში“.

ინტერვიუში ერიკსონი შეეხო გადატვირთული კალენდრის პრობლემასაც. დღევანდელ მდგომარეობას მან გიჟური უწოდა.

„ჩემს განკარგულებაში 25 კაციანი გუნდია, მაგრამ არის ხოლმე კვირა, როდესაც მხოლოდ ცხრასთან ვახერხებ მუშაობას. ეს სერიოზული პრობლემაა, რომლის გადაჭრას მე ვერ შემოგთავაზებთ. იქნებ საკლუბო და სანაკრებო სეზონები დავაცალკევოთ.

სანაკრებო ტურების დროს ჩემი გუნდის სამი ფეხბურთელი სამხრეთ ამერიკას მიემგზავრება და შემდგომ თამაშამდე მხოლოდ 24, ან 48 საათით ადრე მობრუნდება. ამით ჩემი სამუშაო გეგმა იშლება. ამ საკითხზე ფიფამ უნდა იზრუნოს და რამენაირად მოაგვაროს. ევროპაში ხომ ძალიან ბევრი სამხრეთ ამერიკელი თამაშობს“.

სიწმინდეებს ვერავინ ხელყოფს

ფიფასა და უეფას კი ძალიან უნდათ, კანონები შეიცვალოს, მაგრამ ევროკავშირმა სხვა რამ შემოთვალა: მალე ოფიციალურად გამოცხადდება, რომ კონტინენტის საფეხბურთო ლიგებში უცხოელთა შეუზღუდავ რაოდენობას შეეძლება თამაში.

ევროკავშირის კომისია თავის განცხადებას 10 დეკემბერს გამოაქვეყნებს, სადაც უკვე ცნობილია, რომ მკაფიოდ ეწერება გადაადგილების თავისუფლების, ანუ ბოსმანის წეს-კანონთა პროგრესულობის და შეუცვლელობის ამბავი.

გამოდის, რომ პატარა კლუბებიც კვლავ თავსატეხის წინაშე იდგებიან. დღევანდელი წესებით, ხომ მათ გამოზრდილ ფეხბურთელს კონტრაქტის ვადის ამოწურვასთან ერთად შეუძლიათ ქუდი დაიხურონ და ძველი პატრონის ყოველგვარი კომპენსირების გარეშე მიაშურონ უცხოელს, ახალსა და მდიდარს.

სწორედ ამის გამო სთხოვეს ფიფას პრეზიდენტმა, ზეკ ბლატერმა და უეფას თავკაცმა, ლენარტ იუჰანსონმა კულტურისა და განათლების ევროკომისიას ეროვნულ ლიგებში უცხოელთა რაოდენობის შეზღუდვა, მაგრამ პასუხად კომისიის პრესმდივანმა განაცხადა:

„გადაადგილების თავისუფლება ჩვენთვის წმინდა პრინციპთაგანია. მართალია ფიფა და უეფა უცხოელთა რაოდენობაზე ლიმიტის შემოღებას ცდილობდნენ, მაგრამ ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება“.

ევროკავშირის ასეთი პოზიცია ისეთი კლუბებისთვის, „ჩელსი“ და „ლაციო“ რომ არიან, შვება იქნება. ისინი ხომ უცხოელ ვარსკვლავთა ყიდვაზე აგებენ თავიანთ ძლიერებას.

პრესმდივანმა განმარტა, რომ ფეხბურთისთვის გამონაკლისის დაშვება არაფრით შეიძლება, რადგან გამონაკლისი აუცილებლად გავრცელდება და საზოგადო პრინციპს დაარღვევს.

„ფიფასა და უეფასთვის გზის მითითება ჩვენი საქმე არ არის. მათ თუ თავიანთი წესების შემოღება სურთ, ჩინებულია, ისინი თითოეულ გუნდში უცხოელთა რაოდენობის ექვსამდე შეზღუდვას აპირებენ, მაგრამ ჩვენ ამ პროექტში არ ვმონაწილეობთ. ასეთი რამ სასამართლოში გაირჩევა“.

ისევ ცუდი მსაჯობის შესახებ

ინგლისელ არბიტრს რობ ჰარისს (მარცხნივ) ხშირად ედავებიან

ხშირად გვსმენია, მსაჯები თანამედროვე ფეხბურთის თავბრუდამხვევ ტემპს ვერ აჰყვნენ და ამიტომაც შეცდომების დაშვება მოუხშირესო.

ინგლისში ცუდი მსაჯობით გამოწვეული უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო იზრდება. შავფორმიანების ლანდვის სეზონი „ასტონ ვილას“ მენეჯერმა ჯონ გრეგორიმ პრემიერლიგაში სეზონის გახსნას დაამთხვია. მისი პირველი მსხვერპლი ვინმე ჯეფ უინტერი აღმოჩნდა. გრეგორიმ ამ კაცს ისეთი სიტყვები უთხრა, ნიუკასლში, „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ შეკრებილ გულშემატკივრებს იქამდე რომ არ გაეგოთ. უინტერის შეცდომის შედეგად „კაჭკაჭებმა“ „ვილა“ დაამარცხეს. გრეგორიმ შემდეგ უინტერის კოლეგა ენდი დურსო ამოიღო მიზანში. დურსო „ასტონ ვილას“ და „ლესტერის“ თამაშს სჯიდა. აქ მსხვილი კონფლიქტები ვახსენეთ, თორემ პატარ-პატარა შელაპარაკებებს სათვალავი არა აქვს. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მსაჯების მხარე დაიჭირა. ჩინოვნიკებმა თქვეს, არბიტრები ხშირად ცდებიან, მაგრამ მათი გინების უფლებას არავის მივცემთო. მათ გრეგორის ბილწსიტყვაობაზე რამდენჯერმე იმსჯელეს და მწვრთნელი საერთო ჯამში 5 ათასი გირვანქით დაჯარიმეს. წინა კვირაში გრეგორის ახალი სასჯელი დაეკისრა, მას ოცდარვა დღის განმავლობაში, მატჩის ცქერა ტრიბუნიდან მოუწევს.

გრეგორისგან ესტაფეტა „საუთჰემპტონის“ მენეჯერმა დეივ ჯონსმა აიღო. მისი გუნდი „ლიდსს“ ხვდებოდა. მატჩის 88-ე წუთზე მსაჯმა რობ ჰარისმა საუთჰემპტონელი პატრიკ კოლეტერი გააძევა. „ლიდსმა“ კაცნაკლულ მოწინააღმდეგეს ბოლო წუთზე გოლი გაუტანა და თამაში 1:0 მოიგო. ჯონსმა წაგება მთლიანად არბიტრს დააბრალა: „ლიდსი“ ძალიან კარგი გუნდია. მისი დამარცხება ძნელია, მით უმეტეს, თუ სამივე მსაჯი შენს წინააღმდეგაა. დღევანდელ შეხვედრაში მე მათ მინუს ათ ქულას დავუწერდი. უმსგავსო მსაჯობა მხოლოდ პრემიერლიგის პრობლემა არ არის, სხვა დივიზიონებშიც იგივე ხდება. ამ მოსაზრებას პრემიერლიგის გუნდების მწვრთნელთა უმრავლესობა იზიარებს.“ ამასობაში ფეხბურთის ასოციაცია ჯონსის გამონათქვამების რევიზიას შეუდგა და შესაძლოა, გრეგორის მსგავსად ისიც დაჯარიმოს.

აღსანიშნავია, რომ წინა სეზონში მსაჯებმა სულ 79-ჯერ ამოიღეს წითელი ბარათი. მიმდინარე სეზონის თექვსმეტ ტურში, უკვე ასზე მეტი ფეხბურთელია გაძევებული. ბუნებრივია, მწვრთნელები და ფეხბურთელები ასეთი სიმკაცრით უკმაყოფილონი არიან. თუმცა მათ შორის გამონაკლისებიც გვხვდებიან. ერთ-ერთ მათგანს წინა კვირაში უთქვამს, მსაჯებისადმი ამგვარ დამოკიდებულებას წინასწარ განზრახული ხასიათი აქვს და ობიექტური კრიტიკისგან შორს არისო.

რუსული ყინვა სპარტაკის წინააღმდეგ

ერთი კვირის წინ უეფას კომისიამ მეტეოროლოგიური პირობების გამო მოსკოვის „დინამოს“ სტადიონი დაიწუნა

ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა, ხუთშაბათს შვედი მსაჯი მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გავიდა, მინდორი შეამოწმა და მატჩის გადადება ბრძანა. თითქოს საკამათო არაფერია, მინუს თვრამეტ გრადუსში, გაყინულ გრუნტზე თამაში უაღრესად საშიშია. მაგრამ არა, რუსეთში უმალ გაჩნდა ინფორმაცია, დასავლეთმა მოსკოვის „სპარტაკს“ ცივი ომი გამოუცხადაო.

ვნებათაღელვა დღემდე გრძელდება და ალბათ კიდევ დიდხანს არ დაცხრება. მატჩის ჩაშლაში, კლუბები ერთმანეთს ადანაშაულებენ.

ახლახან რუსულ პრესაში კიდევ ერთი ცნობა გაჩნდა, თითქოს „ლიდსს“ „სპარტაკისთვის“ ფული შეეძლიოს და სანაცვლოდ პირველი შეხვედრის ინგლისში გადატანა მოეთხოვოს. ბრიტანული კლუბის პრეზიდენტმა, პიტერ რიდსდალმა აღნიშნული ინფორმაცია უარყო და უეფაში ჩივილით დაიმუქრა: „ის აჟიოტაჟი, რაც რუსულ პრესაში შეიქმნა, ჩვენზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მცდელობას ჰგავს. გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, საპასუხო ნაბიჯისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებთ. ახლა მთელ ყურადღებას თამაშს ვუთმობთ. მათ გამონათქვამებს კი მოგვიანებით მივუბრუნდებით. შესაძლოა, საქმეში გარკვევა უეფას ვთხოვოთ“.

რუსულმა პრესამ აღნიშნული ინფორმაცია ოლეგ რომანცევის სიტყვებზე დაყრდნობით გაავრცელა. რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ მწვრთნელს უთქვამს, დევიდ ოლირიმ მეტად მომხიბვლელი ფინანსური გარიგება შემომთავაზა, თუ პირველ მატჩს ლიდსში ვითამაშებდითო. რა მოტივი უნდა ჰქონოდა ოლირის, გაუგებარია. რომანცევი კი „ლიდსის“ ირლანდიელ მენეჯერთან პირისპირ შეხვედრას გაურბის და, ამთავითვე განაცხადა, ოლირისთან ერთობლივ პრესკონფერენციაში მონაწილეობას არ მივიღებო. რომანცევმა „სპარტაკის“ შანსიც შეაფასა: „ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ მოწინააღმდეგე უეფას თასის გათამაშებიდან გამოვიშოთ. „ლიდსი“ ევროპული ფეხბურთის გრანდებს არ მიეკუთვნება“.

იმას, რომ კლუბებს შორის გარკვეული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, არც ინგლისელები უარყოფდნენ. თუმც ისინი სიტუაციას სხვანაირად აღწერდნენ. პიტერ რიდსდალი: „მას შემდეგ, რაც მატჩი ჩაიშალა, ჩვენთან „სპარტაკის“ წარმომადგენლები მოვიდნენ. მათ გადადებული თამაშის ინგლისის რომელიმე ქალაქში გამართვა შემოგვთავაზეს. ჩვენი შეხვედრა ძალიან მეგობრული იყო, ორიოდ ჭიქაც დავლიეთ. რამდენიმე საათის შემდეგ ისევ უნდა შევხვედროდით. მე ამასობაში ინგლისში დავრეკე და თავისუფალი სტადიონების ძებნას შევუდექი. როდესაც კვლავ შევიკრიბეთ, რუსებმა გვითხრეს, ჩვენ გადაწყვეტილება უკვე მივიღეთ და მატჩი სოფიაში ჩატარდებაო ეხლა ისინი აცხადებდნენ, თითქოს ფული შევთავაზეთ“.

როგორც ჩანს, საქმის გარჩევა უფრო მაღალ ინსტანციაში, ანუ უეფაში გაგრძელდება. ჩვენ კი ვიტყვით, მოსკოველებს დიდად რეკლამირებული „ლუჟნიკების“ რეკონსტრუქციის პროექტი ბოლომდე რომ მიეყვანათ, საქმე სადავო არ გახდებოდა. კითხვაზე, მატჩი თავიდანვე რუსეთის რომელიმე სამხრეთულ ქალაქში რატომ არ დაინიშნა, რომანცევმა უპასუხა, მოსკოველ გულშემატკივრებს იქ ჩასვლა გაუძნელდებოდათო. ვითომ სოფია უფრო ახლოა?

გიორგი დარჯანია

იუვენტუსი კარეუთი დაინტერესდა

ტურინის „იუვენტუსს“ ნორვეგიული „რუსენბორგის“ 20 წლის ფორვარდის, იონ კარეუს შეძენა სურს. ნორვეგიულმა კლუბმა და მის რიგებში მოსასპარეზე კარეუმ, მთელი ევროპის ყურადღება მას შემდეგ მიიპყრო, რაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირიდან დორტმუნდის „ბორუსია“ გამოთიშა და თავად მომდევნო ეტაპზე გავიდა, იქ კი შარშანდელ ფინალისტ, მიუნხენის „ბაიერნთან“ პირველივე ტურში ფრე გაახერხა.

კარეუს, რომელიც „რუსენბორგში“ მიმდინარე წლის ზაფხულში „ვალერენგადან“ გადავიდა, კლუბთან კონტრაქტის ვადა 2000 წელს გასდის, თუმც ნაკლებად სავარაუდოა, იქ ამ დრომდე დარჩეს. მით უმეტეს, რომ გარდა „იუვენტუსისა“, მისდამი ინტერესს კიდევ ერთი იტალიური გრანდი, „მილანი“ და პრემიერლიგელი „უიმბლდონიც“ იჩენენ. ახალი კონტრაქტის თაობაზე საუბარი იანვრიდან იქნება შესაძლებელი. წამყვან ევროპულ ქვეყნებში სწორედ ამ დროს იხსნება ახალი სატრანსფერი სეზონი.

მოსტოვოი ნაკრებზე უარს ამბობს

რუსეთის ნაკრებისა და ვიგოს „სელტას“ ნახევარმცველი ალექსანდრ მოსტოვოი ქვეყნის ეროვნულ გუნდში თამაშს აღარ აპირებს. ამის მიზეზი ფეხბურთელსა და მთავარ მწვრთნელს — ოლეგ რომანცევს შორის მომხდარი უთანხმოებაა. როგორც გახსოვთ, რომანცევმა მოსტოვოი ევრო 2000-ის შესარჩევი ქვეჯგუფის უკანასკნელ, უკრინიკულეს მატჩში, უკრაინელების წინააღმდეგ არ მიიწვია. ამან საშინლად აღაშფოთა ფეხბურთელი, რომელმაც ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „შეგვეძლო, უკრაინისთვის მოგვეგო, რადგან მათზე გაცილებით ძლიერები ვიყავით, თუმცა...“

მოსტოვოიმ ამის თაობაზე აშკარა უკმაყოფილება გამოთქვა და განაცხადა, რომ რომანცევის ნაკრებში აღარასოდეს ითამაშებს. უკან არც რომანცევი იხევს: „მას შემდეგ, რაც მოსტოვოიმ ნაკრებში თამაშზე უარი თქვა, დავივიწყე, რომ ასეთი ფეხბურთელი საერთოდ არსებობს“.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ინგლისი

შპრაინა

გამოტოვებული მატჩი: შატარი — დინამო 0:0

დინამო	14	12	2	0	31:6	38
კრივბასი	15	9	4	2	26:14	31
ვორსკლა	15	8	3	4	31:18	27
შახტარი	15	8	2	5	20:9	26
კარპატი	15	8	0	7	27:21	24
მეტალისტი	15	7	3	5	21:19	24
ზაპოროჟიე	15	6	5	4	19:16	23
მეტალურგი	15	5	5	5	20:18	20
მარიუპოლი	15	6	1	8	26:24	19
ცსკა	15	4	6	5	17:16	18
ტავრია	15	4	4	7	19:24	16
დნიპრო	15	4	4	7	13:29	16
ჩორნომორეცი	15	4	3	8	8:26	15
პრიკარპატია	14	2	6	6	11:17	12
ნივა	15	2	5	8	20:32	11
ზირკა	15	0	7	8	8:28	7

პორტუგალია

XII ტური

ბენფიკა 2:0 კამპომაიორენსე

1:0 მადეირა (8), 2:0 რიბეირო (70)

ფარენსე 0:2 ბოავიშტა

0:1 ესტევანი (20), 0:2 ბრაგა (89)

ბენფიკა	12	8	2	2	19:8	26
პორტუ	12	7	4	1	23:7	25
სპორტინგი	12	7	3	2	18:10	24
ბოავიშტა	12	7	3	2	12:7	24
ჟილ ვისენტე	12	7	2	3	18:8	23
მარიტიმუ	12	6	3	3	16:9	21
გიმარაეში	12	6	3	3	20:14	21
ალვერკა	12	5	2	5	13:14	17
ბელენენსეში	12	4	4	4	14:12	16
ამადორა	12	3	6	3	12:13	15
სანტა კლარა	12	3	4	5	15:17	13
კამპომაიორ.	12	4	1	7	10:18	13
რიუ ავე	12	2	5	5	12:19	11
ლეირია	12	2	4	6	9:14	10
ბრაგა	12	3	1	8	14:21	10
სალგეირუში	12	3	1	8	8:19	10
სეტუბალი	12	2	3	7	11:19	9
ფარენსე	12	1	5	6	7:22	8

იტალია

სერია B

XIII ტური

პისტოიეზე 1:1 ალძანო

1:0 ფერარეზე (6), 1:1 სალვატო (9)

ბრეშა	13	7	6	0	19:6	27
ვიჩენცა	13	8	2	3	26:13	26
ატალანტა	13	8	2	3	21:13	26
ალძანო	13	6	4	3	17:14	22
სამპდორია	13	5	6	2	13:9	21
ნაპოლი	13	5	5	3	17:15	20
ტრევიზო	13	5	3	5	20:16	18
ჩეზენა	13	4	6	3	15:11	18
რავენა	13	3	7	3	13:11	16
პესკარა	13	3	7	3	18:18	16
მონცა	13	3	7	3	11:12	16
კიევო	13	4	3	6	15:17	15
კოზენცა	13	3	6	4	10:12	15
ტერნანა	13	3	6	4	13:18	15
ემპოლი	13	4	3	6	8:19	15
სალერნიტანა	13	3	5	5	16:20	14
ჯენოა	13	3	3	7	14:15	12
სავოია	13	2	6	5	12:20	12
პისტოიეზე	13	4	3	6	12:17	11
ფერმანა	13	1	2	10	9:23	5

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XIII ტური

ფიურტი 1:1 ნიურნბერგი

1:0 კლეე (20), 2:0 ჰობში (55)

კიოლნი	13	9	3	1	29:10	30
კოტბუსი	13	9	1	3	30:14	28
ბერლინი	13	5	6	2	22:16	21
მაინცი	13	5	6	2	18:16	21
ნიურნბერგი	13	6	3	4	21:23	21
ალემანია	13	5	4	4	22:25	19
ფიურტი	13	4	6	3	10:9	18
ქემნიცი	13	5	3	5	17:17	18
ბოხუმი	13	5	2	6	22:21	17
ჰანოვერი	13	5	2	6	20:19	17
კიკერსი	13	4	4	5	19:24	16
გლადბახი	13	4	3	6	18:20	15
ზტ. პაული	13	3	6	4	14:16	15
ობერჰაუზენი	13	3	4	6	12:17	13
ვალდჰოფი	13	3	4	6	15:21	13
ფორტუნა	13	3	4	6	11:19	13
კარლსრუე	13	2	5	6	20:24	11
ოფენბახი	13	2	4	7	9:18	10

ალბანეთი

მე-10 ტური. შკიპონია — ბილისი 2:0; დინამო — ელბასანი 2:1; ტირანა — აპოლონია 7:0; ფლამურტარი — ლუშნია 0:3; ვლაჟნია — შკუმბინი 2:1; შკენდერბო — პარტიზანი 1:0; ტეუტა — ტომორი 2:0

ტეუტა	10	7	1	2	15:4	22
ტირანა	10	5	3	2	15:4	18
ტომორი	10	5	3	2	11:7	18
ლუშნია	10	5	2	3	14:9	17
შკიპონია	10	4	4	2	8:4	16
დინამო	10	4	3	3	12:10	15
ვლაჟნია	10	4	2	4	11:12	14
ელბასანი	10	4	2	4	10:11	14
ბილისი	10	3	4	3	14:16	13
შკუმბინი	10	2	5	3	10:12	11
შკენდერბო	10	3	2	5	8:11	11
პარტიზანი	10	2	4	4	11:12	10
ფლამურტარი	10	2	1	7	10:19	7
აპოლონია	10	0	4	6	3:21	4

საბერძნეთი

მე-9 ტური. აეკ — ოფი 1:2; არისი — პაოკ 0:0; კალამატა — პანიონიოსი 1:3; პანლიკოსი — ქერკირა 1:3; აპოლონი — პრუდეფტიკი 0:2; კავალა — პანაჰაიკი 0:0; ტრიკალა — ქსანტი 2:1; იონიკოსი — პანათინაიკოსი 2:2; ოლიმპიაკოსი — ეთნიკოსი 5:0

ოლიმპიაკოსი	9	8	0	1	28:4	24
პანათინაიკოსი	9	7	2	0	20:5	23
ოფი	9	7	1	1	17:9	22
არისი	9	5	3	1	13:6	18
ირაკლისი	9	5	0	4	18:16	15
აეკ	9	4	2	3	16:14	14
პანილიაკოსი	9	4	2	3	11:10	14
ქსანტი	9	3	4	2	9:4	13
ეთნიკოსი	9	4	0	5	10:16	12
პაოკ	9	3	3	3	16:15	12
იონიკოსი	9	2	5	2	9:11	11
პანაჰაიკი	9	2	3	4	9:10	9
პანიონიოსი	9	3	0	6	10:24	9
პრუდეფტიკი	9	2	1	6	6:14	7
აპოლონი	9	1	3	5	5:10	6
კალამატა	9	1	3	5	7:17	6
კავალა	9	1	2	6	3:12	5
ტრიკალა	9	1	2	6	8:18	5

დანია

მე-18 ტური. ესბიერგი — ლიუნგბიუ 2:3; ჰერფიოლგე — ვაილე 3:1; კოპენჰაგენი — ვიბორგი 2:1; სილკებორგი — ორჰუსი 4:1; ოდენსე — ბრონდბიუ 1:1; აკადემისკი — ოლბორგი 1:1

ჰერფიოლგე	18	11	4	3	32:23	37
ბრონდბიუ	18	9	4	5	31:19	31
სილკებორგი	18	8	5	5	34:17	29
ლიუნგბიუ	18	9	2	7	30:27	29
ოლბორგი	18	7	7	4	30:22	28
ვიბორგი	18	8	4	6	25:25	28
აკადემისკი	18	7	6	5	28:22	27
კოპენჰაგენი	18	7	3	8	19:17	24
ორჰუსი	18	4	6	8	18:29	18
ოდენსე	18	3	8	7	15:25	17
ესბიერგი	18	4	2	12	18:35	14
ვაილე	18	1	9	8	17:36	12

ჩეხეთი

მე-15 ტური. დრნოვიცე — სპარტა 0:1; ვიკტორია — ტეპლიცე 3:1; ბლშანი — ბოჰემიანსი 1:1; ოპავა — იაბლონეცი 2:0; ჰ. კრალოვე — დუკლა 1:1; ლიბერეცი — ბანიკი 1:0; სიგმა — ბუდეიოვიცე 1:1; სლავია — ბრნო 3:1

სლავია	15	11	4	0	25:7	37
სპარტა	15	9	4	2	36:13	31
ბოჰემიანსი	15	6	7	2	16:9	25
დრნოვიცე	15	7	3	5	18:14	24
ბანიკი	15	5	6	4	22:18	21
ბუდეიოვიცე	15	6	3	6	20:20	21
ტეპლიცე	15	5	5	5	20:22	20
ბრნო	15	5	3	7	17:19	18
ლიბერეცი	15	4	6	5	11:13	18
დუკლა	15	4	5	6	14:21	17
ოპავა	15	4	4	7	20:18	16
იაბლონეცი	15	4	4	7	14:23	16
ვიკტორია	15	3	6	6	22:30	15
ბლშანი	15	4	3	8	15:29	15
ჰ. კრალოვე	15	3	5	7	16:22	14
სიგმა	15	2	8	5	15:23	14

სლოვენია

მე-16 ტური. მარიბორი — ბელტინჩი 5:1; მურსკა სობოტა — ველენიე 0:3; დომზალე — პრევალიე 1:1; აიდოვშინა — რუსე 1:0; დრავოგრადი — ნოვა გორიცა 2:4; ცელიე — ოლიმპია 3:0

მარიბორი	15	11	3	1	47:19	36
ნოვა გორიცა	16	9	3	4	28:19	30
ოლიმპია	15	9	0	6	34:24	27
ველენიე	16	8	3	5	24:18	27
აიდოვშინა	16	6	5	5	27:25	23
მურსკა სობოტა	15	6	4	5	22:18	22
ცელიე	16	5	7	4	19:19	22
პრევალიე	15	5	6	4	30:21	21
დრავოგრადი	16	5	4	7	21:28	19
დომზალე	16	5	3	8	24:31	18
რუსე	16	2	3	11	10:35	9
ბელტინჩი	16	0	5	11	7:36	5

ავსტრია

22-ე ტური. აუსტრია — ლინცერი 3:1; რიდი — გრაცერი 3:1; ზალცბურგი — ბრეგენცი 4:1

ტიროლი	21	13	3	5	32:18	42
რაპიდი	21	12	4	5	34:16	40
შტურმი	21	10	6	5	35:17	36
რიდი	22	10	5	7	34:22	35
აუსტრია	21	9	5	7	29:26	32
ზალცბურგი	22	8	8	6	23:20	32
გრაცერი	22	9	4	9	27:27	31
ლინცერი	22	5	5	12	23:34	20
ლუსტენაუ	21	4	4	13	15:38	16
ბრეგენცი	21	3	4	14	14:48	13

ბოშკოვი ახალგაზრდებს უხმობს

იუგოსლავიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. როგორც ცნობილი გახდა, მწვრთნელი ვუიადინ ბოშკოვი მნიშვნელოვან ცვლილებებს აპირებს. მისი განცხადებით, დრაგან სტოიკოვიჩი და დეიან სავიჩევიჩი გუნდში აღარ ითამაშებენ, რადგან ამჟამად ისეთ ფორმაში არიან, ნაკრებს სარგებლობას ვერ მოუტანენ. მათ ადგილს მატეა კეჟმანი და გორან დრულიჩი დაიკავებენ, იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების წევრები, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობენ. კეჟმანი ბელგრადის „პარტიზანის" რიგებს იცავს, დრულიჩი კი „ცრვენა ზვეზდას" წევრია.

ვუიადინ ბოშკოვი

თავის დროზე სავიჩევიჩიც „ცრვენა ზვეზდაში" თამაშობდა. 33 წლის ფეხბურთელი იუგოსლავიელთაგან ყველაზე ტიტულიანია. ბელგრადულ კლუბთან ერთად, 1991 წელს მან ჩემპიონთა თასი მოიგო. იგივე შედეგი მან მოგვიანებით „მილანის" რიგებშიც გაიმეორა. ორი წლის წინ სავიჩევიჩმა სერია A დატოვა და მშობლიურ გუნდში დაბრუნდა. ამჟამად იგი ვენის „რაპიდშია", თუმცა, ასაკს თავისი მიაქვს და სავიჩევიჩი ძველებურად ვერ თამაშობს.

სტოიკოვიჩიც იშვიათად ავლენს სრულად თავის შესაძლებლობებს. ის იაპონიის ჯეი-ლიგაში თამაშობს.

ბოშკოვის ამ გადაწყვეტილებას ბევრი გულშემატკივარი მიესალმა, თუმცა აღმოჩნდნენ ისეთებიც, სავიჩევიჩის და სტოიკოვიჩის ჩამონერა ნაადრევად რომ მიიჩნიეს. მოწინააღმდეგეთა რიგებში იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციაა. ბრანკო ბულატოვიჩმა, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, თქვა: „მე იმ აზრს ვიზიარებ, რომ ეს ფეხბურთელები კიდევ ბევრ სამსახურს გაგვიწევენ. ევროპის ჩემპიონატის წინ ამგვარი რადიკალური ცვლილებების გაკეთება არასწორად მიმაჩნია".

თავისი კომენტარი სავიჩევიჩმაც გააკეთა: „ევროპის ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ საკმარისი დრო არის დარჩენილი. ვნახოთ, იქამდე რა მოხდება. ჩემი შესაძლებლობების ჩვენებას მინდორზე ვაპირებ. ინტერვიუებით რაიმეს მტკიცებას აზრი არა აქვს".

სტივ ჰოუი (მარჯვნივ)

გულიტს მილანური დერბი უფრო დიდი ეგონა

ჯერ ერთი, პრემიერლიგა თავისთავად საინტერესოა. მეორეც, მასში უკვე ორი ქართველი ფეხბურთელი გამოდის. მესამეც, ერთ-ერთი მათგანის, თემურ ქეცბაიას კლუბი ის „ნიუკასლ იუნაიტედია", რომლის თავს ცოტა ხნის წინ ერთობ საინტერესო ამბები ტრიალებდა და რომლის მწვრთნელის თანამდებობაზეც ცნობილი რუუდ გულიტი ცნობილმავე ბობი რობსონმა შეცვალა. სწორედ ამის შესახებ საუბრობს ნიუკასლელთა ტრავმირებული მცველი სტივ ჰოუი.

— სტივ, თქვენ აპრილის შემდეგ აქილევსის მყესს მკურნალობთ, ამ ხნის განმავლობაში კი გუნდში გარკვეული ცვლილებები მოხდა. გარედან როგორ ჩანს ყველაფერი?

— რუუდ გულიტის მწვრთნელობის ბოლო პერიოდში საქმეები ცოტა გართულდა, თუმცა როდესაც გუნდს საქმეები ცუდად მიუდის, მდგომარეობა ყოველთვის იძაბება ხოლმე. ბობი რობსონი რომ მოვიდა, ბევრი რამ შეიცვალა. მთავარი ის იყო, რომ ბიჭებმა კვლავ გაიღიმეს და თავს უკვე ბედნიერად გრძნობენ. ახლა რომ ვიგონებ, გულიტის დროს მგონი ფეხბურთელებს ვარჯიშზე წასვლა არ ეხალისებოდათ.

— გულიტზე, მისი თანამდებობიდან წასვლის შემდეგ უამრავი რამ ითქვა...

— მე თუ მკითხავთ, ფეხბურთელიცა და მწვრთნელიც ვალდებულია გაერკვეს, რა ამოცანის წინაშე დგას. „ნიუკასლი" ის კლუბია, რომელსაც ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ლონდონში, მაგალითად, ადამიანი შეიძლება დაიკარგოს. ლონდონი კოსმოპოლიტური ქალაქია, სადაც ცნობილ ფეხბურთელებსაც კი ვერ ცნობენ ხოლმე, ნიუკასლში კი დღე და ღამე კვირაში შვიდი დღის განმავლობაში, აუცილებლად გამოჩნდება ვინმე, ვინც იცის, ვინ ხარ და რა მოგეთხოვება.

— როგორ ფიქრობთ, გულიტმა იცოდა, რაშიც ყოფდა თავს?

— მგონი, მას არ ჰქონდა წარმოდგენა, რა სიმძიმის ტვირთს ეჭიდებოდა. მაგალითად, რას ნიშნავს „ნიუკასლ" — „სანდერლენდის" შეხვედრა გულიტისთვის აშკარად უცნობი იყო. ის გვეუბნებოდა, რომ მილანური დერბი უფრო დიდია, რადგან ორივე გუნდი ერთ ქალაქში ბინდრობს და მასში, ფაქტობრივად, მთელი მოსახლეობაა ჩართული. მოკლედ, გულიტმა ვერ გაიგო, რა ემოციები უძღვის ხოლმე ჩვენს და სანდერლენდელთა დაპირისპირებას.

— და, ბუნებრივია, მისი და ალან შირერის კონფლიქტმა ითამაშა დიდი როლი.

— იცით, ალან შირერს პირდაპირ რომ არ ელაპარაკა, ამაში შეცდა, ალანი დღეს ინგლისის საუკეთესო და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. ხოლო ასეთების სათადარიგოთა სკამზე დატოვება არ შეიძლება. შირერს შესაძლოა, მეტოქე გუნდების ფანები უსტვენდნენ, მაგრამ, მერწმუნეთ, გულში ყველას სურს, რომ იგი მათ გუნდში თამაშობდეს.

— რობსონმა რა შეცვალა?

— მან გუნდში დიდი ენთუზიაზმი შემოიტანა. ამ მხრივ იგი ძალიან ჰგავს კევინ კიგანს. რობსონმა საუცხოოდ იცის, რას ნიშნავს წარმატება გულშემატკივართათვის. გულიტისა და კენი დალგლიშის დროს, „ნიუკასლში" უამრავი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. ეჭვი არ მეპარება, ვიღაც-ვიღაცეებს რობსონიც მოიყვანს, მაგრამ დღეს იგი იმ მასალაზე მუშაობს, რაც დახვდა.

— თქვენ დიდი ხანი გაგიცდათ და, ალბათ, საკლუბო ფეხბურთის გარდა სანაკრებო მიწვევები და, ვინ იცის, მატჩებიც კი გამოტოვეთ. ჯერ „ნიუკასლშიც" არ დაბრუნებულხართ მოედანს, შესაბამისად, საინტერესოა, ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე რას ფიქრობთ?

— ბედნიერი გახლავართ, ინგლისმა ბელგია-ჰოლანდიის საგზური რომ მოიპოვა. მერე რა, რომ გამარჯვება ტრიუმფალური არ გახლდათ. კიგანის ამოცანა ხომ ჯგუფიდან გასვლა იყო და მან ეს შეძლო. როგორც პროფესიონალს, საკუთარი თავისა მწამს და მომავალს იმედით ვუყურებ. დღეიდან მრავალი რამ შეიძლება მოხდეს. ასე რომ, ფინალურ ეტაპზე ჩემს თამაშს სულაც არ გამოვრიცხავ შეხედეთ სტიუარტ პირსს. ჩვენთან რომ იყო, აღარავინ გახლდათ, მერე „ვესტ ჰემს" უკაპიტნა, ხოლო ბოლოს ინგლისის ნაკრებშიც დაბრუნდა. განა ეს იმის მაგალითი არ არის, რომ ფეხბურთში მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება?

365-დან თარგმნა
პაპუნა კედია

სამხრეთ ამერიკა



ხოსე ლუის ჩილავერტი — ერთადერთი მეკარე ფეხბურთის ისტორიაში, რომელმაც ოფიციალურად ჰეთ-თრიქი შეასრულა

არგენტინა

მე-16 ტური. რივერ პლეიტი — რასინგი 1:0; არგენტინოს ხუნიორსი — სან ლორენსო 0:0; ველეს სარსფილდი — ფერო კარილი 6:1; ხიმნასია ხუხუი — ჩაკარიტა 4:3; ნიუელს ოლდ ბოიზი — ტალერესი 3:1; უნიონი — ხიმნასია ლა პლატა 3:3; ლანუსი — ინსტიტუტო 3:1; ესტუდიანტესი — ბოკა ხუნიორსი 2:2; ინდეპენდიენტე — როსარიო სენტრალი 0:1

ფეხბურთში ამგვარი რამ არ მოხდარა. მეკარემ ჰეთ-თრიქი გააკეთა. საქმეში ჩაზედული გულშემატკივარი მიხვდება, რომ ამის შემსრულებელი მხოლოდ ხოსე ლუის ჩილავერტი შეიძლება იყოს.

პარაგვაელის „ველეს სარსფილდმა" 6:1 მოუგო „ფერო კარილს". ჩილავერტმა სამჯერვე პენალტით შეაგდო. მთლიანად თავის კარიერაში ჩილავერტს 46 გოლი გაუტანია. ამათგან უმეტესი ნაწილი პენალტით, დანარჩენები — საჯარიმო დარტყმებით. ამასთანავე, ჩილავერტი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ლაპარაკის მოყვარულ ფეხბურთელად ითვლება. ის აკრიტიკებს ყველას — ფეხბურთელებით და მწვრთნელებით დაწყებული, პოლიტიკოსებით დამთავრებული. „კოპა ამერიკას" წლევანდელ გათამაშებაში პარაგვაელმა მეკარემ პროტესტის ნიშნად არ ითამაშა. ამით მან საკუთარი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია სპორტის ამ სახეობისადმი უყურადღებობაში დაადანაშაულა.

ამ ტურში განსაკუთრებულ ყურადღებას ორი მატჩი იწვევდა. 21-ე წუთზე მარსელო ესკუდეს ერთადერთი გოლით „რივერ პლეიტმა" „რასინგი" დაამარცხა. „რივერის" ქომაგებმა „ბოკა ხუნიორსის" წარუმატებლობითაც არანაკლებ გაიხარეს. „ბოკა", „ესტუდიანტესთან" შეხვედრაში მხოლოდ ფრეს დასჯერდა.

არგენტინის ჩემპიონატის პირველი ეტაპის — „აპერტურას" დასრულებამდე სამი ტურიღა დარჩა. „რივერ პლეიტი" „ბოკა ხუნიორსს" ხუთი ქულით უსწრებს და საეჭვოა, ჩემპიონობა დათმოს.

რივერ პლეიტი	16	12	3	1	35:14	39
ბოკა	16	10	4	2	30:14	34
სან ლორენსო	16	9	4	3	26:13	31
როსარიო	15	10	1	4	27:15	31
ველესი	15	8	5	2	26:11	29
ტალერესი	16	8	3	5	31:24	27
რასინგი	16	6	7	3	20:17	25
ლანუსი	16	7	2	7	20:24	23
ჩაკარიტა	15	6	4	5	30:22	22
ლა პლატა	16	4	9	3	23:19	21
ინდეპენდიენტე	16	4	6	6	14:18	18
არგ. ხუნიორსი	16	3	8	5	17:19	17
ბელგრანო	15	4	5	6	18:24	17
კოლონი	15	4	4	7	17:22	16
უნიონი	16	4	4	8	17:24	16
ესტუდიანტესი	16	4	4	8	21:29	16
ინსტიტუტო	15	3	6	6	18:27	15
ოლდ ბოიზი	16	3	5	8	18:23	14
ფერო კარილი	16	1	5	10	9:34	8
ხუხუი	16	2	1	13	14:38	7

ბრაზილია

ნახევარფინალი
I ტური

სან პაულუ 2:3 კორინთიანსი
ატლეტიკო მინეირო 3:0 ვიტორია

ბრაზილიის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. ჩემპიონობისთვის ბრძოლას ოთხი გუნდიღა შემორჩა. ისინი ნახევარფინალებში ხვდებიან ერთმანეთს. მეოთხედფინალების მსგავსად, ნახევარფინალიც სამი მატჩისგან შედგება. თუ რომელიმე გუნდი ზედიზედ ორ თამაშს მოიგებს, მესამე შეხვედრის გამართვა საჭირო აღარ არის.

პირველ ნახევარფინალურ მატჩში, ამჟამინდელმა ჩემპიონმა, „კორინთიანსმა" „სან პაულუს" 3:2 მოუგო. თამაში მეტად დრამატული გამოდგა და თავისი გმირი და ანტიგმირი ჰყავდა. ისინი „კორინთიანსის" მეკარე დიდა და „სან პაულუს" კაპიტანი რაი აღმოჩნდნენ.

რაიმ „კორინთიანსის" კარში ორჯერ პენალტი დაარტყა და დიდამ ორჯერვე აიღო. ამგვარი ფაქტები ფეხბურთში იშვიათად ხდება. ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მოთამაშეს იმითღა შეუძლია თავი ინუგეშოს, რომ კოპა ამერიკაზე მარტინ პალერმომ კოლუმბიასთან მატჩში სამი პენალტი გააფუჭა. დიდას კი მეორე პენალტის მოგერიების შემდეგ, მოედნის დატოვება მოუხდა.

იმავე რაისთან ბურთისთვის ბრძოლაში მეკარემ მუხლი იტკინა. შეცვლაზე შემოსულმა მაურისიომ დიდას ნაღვაწი წყალში არ ჩაყარა და „კორინთიანსმაც" 3:2 მოიგო.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრა ნაკლებ დრამატული იყო. „ატლეტიკო მინეირომ" 3:0 მოუგო „ვიტორიას". გამარჯვებულთაგან ორი გოლი გილერმომ შეაგდო და 22 ბურთით კრუზეიროელ ალექს ალვესთან ერთად ჩემპიონატის ბომბარდირია.

პარაგვაი

პარაგვაის ჩემპიონის გამოსავლენად ერთი შეხვედრა დარჩა. საგაზაფხულო და საშემოდგომო ჩემპიონატები „ოლიმპიამ" და „კერო პორტენომ" მოიგეს. ფინალის პირველ მატჩში, „ოლიმპიამ" ხორხე ვალდესის შორი მანძილიდან გატანილი ერთადერთი გოლით მოიგო. ახლა გუნდები განმეორებითი თამაშისთვის ემზადებიან.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

	უეფას თასი (ბულგარეთში)			
	1 დეკემბერი			
502	სპარტაკი — ლიდსი	2,6	2,9	2,4
	გერმანია. გადადებული მატჩი			
	1 დეკემბერი			
001	უნტერჰახინგი — დორტმუნდი	3,0	2,9	2,2
	საფრანგეთი			
	1 დეკემბერი			
004	მონაკო — ოსერი	1,6	3,0	5,6
	ჰოლანდია			
	1 დეკემბერი			
006	კამბური — უტრეხტი	2,5	2,9	2,5
007	დენ ბოსხი — ჰერენვენი	5,6	3,4	1,5
008	გრააფსხაპი — ალკმარი	2,5	2,9	2,5
009	ფეიენოორდი — ტილბურგი	1,8	3,0	4,0
010	ტვენტე — სიტარდი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
011	ვიტესი — ვალვაიკი	1,5	3,4	5,6
	შვეიცარია. გადადებული მატჩი			
	1 დეკემბერი			
013	სენტ გალენი — გრასჰოპერი	2,0	2,9	3,4
	გერმანია. თასი. მერვედფინალი			
	1 დეკემბერი			
018	ვერდერი — ულმი	1,4	3,5	7,0
019	ბოხუმი — ვოლფსბურგი	3,4	2,9	2,0
020	კიკერსი — არმინია	2,8	2,9	2,3
021	ვალდჰოფი — ბაიერნი	8,0	4,4	1,25
	ინგლისი. ლიგის თასი. მერვედფინალი			
	1 დეკემბერი			
033	ფულემი — ტოტენჰემი	3,0	2,9	2,2
034	ასტონ ვილა — საუთჰემპტონი	1,5	3,3	6,0
	იტალია. თასი. მერვედფინალი. I წრე			
	1 დეკემბერი			
036	რომა — პიაჩენცა	1,25	4,4	8,0
037	კალიარი — პარმა	2,8	2,9	2,3
038	პერუჯა — ფიორენტინა	2,6	2,8	2,5
039	ვენეცია — უდინეზე	2,2	2,8	3,1
040	ნაპოლი — იუვენტუსი	4,2	2,9	1,8
041	რავენა — ლაციო	5,6	3,4	1,5
	2 დეკემბერი			
042	ატალანტა — მილანი	4,2	2,9	1,8
	ესპანეთი. თასი. II ეტაპი. II წრე			
	1 დეკემბერი			
043	სევილია — ოსასუნა	1,4	3,5	7,0
044	ესპანიოლი — კორდობა	1,15	5,6	10,0
045	რაიო ვალეკანო — სალამანკა	1,5	3,3	6,0
046	სარაგოსა — უელვა	1,1	6,0	12,0
047	სოსიედადი — ლოგრონიესი	1,15	5,6	10,0
048	ალავესი — ესტრემადურა	1,5	3,3	6,0
049	ნუმანსია — კომპოსტელა	1,5	3,4	5,6
050	ლეგანესი — ვილიარეალი	2,2	2,9	3,0
051	ლას პალმასი — ბადახოსი	1,5	3,1	7,0
052	ტოლედო — ეიბარი	2,5	2,9	2,5
	შოტლანდია. ლიგის თასი. მეოთხედფინალი			
	1 დეკემბერი			
054	სელტიკი — დანდი	1,15	5,6	10,0
055	დანდი იუნაიტედი — მოზერუელი	1,8	3,1	3,8
056	აბერდინი — რეინჯერსი	7,5	4,0	1,3
	კალათბურთი. NBA			
	1 დეკემბერი			
810	ვაშინგტონი — კლივლენდი	1,7	12,0	1,7
811	მაიამი — ფილადელფია	1,1	12,0	5,0
812	დენვერი — დეტროიტი	1,5	12,0	2,0
813	ფინიქსი — ჰიუსტონი	1,25	12,0	3,1
814	ლეიკერსი — გოლდენ სტეიტი	1,05	12,0	7,5
815	პორტლენდი — შარლოტი	1,1	12,0	5,0
816	ვანკუვერი — ინდიანა	2,3	12,0	1,4
	2 დეკემბერი			
817	ნიუ ჯერსი — სან ანტონიო	3,5	12,0	1,2
818	ატლანტა — საკრამენტო	2,0	12,0	1,5
819	ჩიკაგო — დალასი	1,7	12,0	1,7
820	მილუოკი — ნიუ იორკი	1,7	12,0	1,7
821	მინესოტა — ორლანდო	1,5	12,0	2,0
822	კლიპერსი — ჰიუსტონი	1,8	12,0	1,6
823	გოლდენ სტეიტი — სიეტლი	2,8	12,0	1,3
	კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის შეხარჩევი მატჩები			
	1 დეკემბერი			
824	უნგრეთი — სლოვაკეთი	1,3	12,0	2,8
825	ლატვია — ინგლისი	1,35	12,0	2,5
826	ხორვატია — შვეიცარია	1,05	12,0	7,5
827	საბერძნეთი — ბელარუსი	1,02	12,0	10,0
828	ესტონეთი — პოლონეთი	1,6	12,0	1,8
829	ჩეხეთი — ავსტრია	1,05	12,0	7,5
830	ბოსნია — ჰოლანდია	1,15	12,0	4,0
831	ბულგარეთი — შვედეთი	1,6	12,0	1,8
832	ისრაელი — ფინეთი	1,05	12,0	7,5
833	მაკედონია — პორტუგალია	1,1	12,0	5,0
834	ბელგია — უკრაინა	1,7	12,0	1,7
835	სლოვენია — ისლანდია	1,02	12,0	10,0
	ჰოკეი. NHL			
	1 დეკემბერი			
842	მონრეალი — დალასი	2,0	4,4	2,0
843	ნიუ ჯერსი — რეინჯერსი	1,4	4,4	3,4
844	დეტროიტი — სან ხოსე	1,4	4,4	3,4
845	ედმონტონი — კოლორადო	2,0	4,4	2,0
846	ანაჰაიმი — ტამპა ბეი	1,4	4,4	3,4
	2 დეკემბერი			
847	ბუფალო — ფილადელფია	2,0	4,4	2,0
848	ვაშინგტონი — ბოსტონი	2,0	4,4	2,0
849	აილენდერსი — კალგარი	1,8	4,4	2,2
850	პიტსბურგი — სან ხოსე	1,8	4,4	2,2
851	კაროლინა — ტორონტო	2,0	4,4	2,0
852	სენტ ლუისი — ნეშვილი	1,3	4,4	4,0
853	ფინიქსი — ტამპა ბეი	1,3	4,4	4,0
854	ვანკუვერი — ედმონტონი	1,5	4,4	3,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ელექტრონული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოცნობის ტირაჟში მიცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, ანუ ტოტალიზატორ-თამაშებში სპორტული მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ქარაბაკის მოგზაურობა

ბასკო მისთვის მეათე გუნდია

ᲡᲣᲚ თავიდან „მართვე“, შემდეგ თბილისის „თბილისი“, „დინამო“, „ვიტა“, ფინური „ლინკი“ და „ვოიკოტი“, უკრაინული „ნეფტოხიმვალი“, მერე თსუ და ბოლოს ესტონური „იური ბასკეტი“ — ეს იმ კლუბთა სრული ჩამონთვალია, სადაც საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების 22 წლის თავდამსხმელ ლევან ქარაბაკს დღემდე უთამაშია.

ამას წინათ ესტონურ კალათბურთსა და იქაურ პირობებზე გულაყრილი ქარაბაკი სამშობლოში დაბრუნდა და ახალი გუნდის ძიებას შეუდგა. განაცხადა კიდეც „სარბიელთან“ საუბრისას, ყველაფერს ორ კვირაში მოეფინება ნათელიო. იმაშიც გამოგვიტყდა, რომ კარიერის კვლავ უცხოეთში გაგრძელება სურდა და თუ აქედან არაფერი გამოვიდოდა, საქართველოში განაგრძობდა თამაშს.

რაკი ლევან ქარაბაკი ჯერაც უნივერსიტეტის სტუდენტია, ვარჯიშს თსუ-ში შეუდგა, რაიმე ვარიანტი რომ გამოჩნდეს, არ მინდა, მოუმზადებელი ვიყო. აქედან წარმოქმნილი ეჭვი, რომ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში ქარაბაკი სწორედ ამ საუნივერსიტეტო გუნდის ღირსებას დაიცავდა, არც ლევანმა უარყო. თუმცა დასძინა, იქნებ სხვა ქართულმა კლუბებმა უკეთესი პირობები შემომთავაზონ და სხვაგან ამოვყო თავიო.

საბოლოოდ ასეც მოხდა. მისით დაინტერესებულ კლუბებთაგან ყველაზე მეტად მეცხრე ეროვნულის დებიუტანტმა და გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა, აჭარულმა „ბასკომ“ იაქტიურა და როგორც შევიტყვეთ, ორშაბათს ქარაბაკი ბათუმშიც ჩავიდა.

ლევანი თავდაპირველად, ალბათ, გუნდის ხელმძღვანელობას მოეთათბირა და „ბასკოში“ დარჩენაზეც რომ შეუთანხმდა, იმანაც ცხადყო, რომ ორშაბათსვე პირველად ივარჯიშა ახალ კლუბთან ერთად.

მართალია, კალათბურთის ფედერაცია ამ ცნობას ჯერ ვერ ადასტურებს, რადგან ქარაბაკის სახელზე დღემდე არ არის გაცემული კალათბურთელის ჩემპიონატში სამონაწილეო ლიცენზია, მაგრამ ეს ინფორმაცია ჩვენ სანდო წყაროს მოვაწოდა და მის უტყუარობას ოფიციალური პირებიც გვარწმუნებენ.



ლევან ქარაბაკი

ᲐᲡᲔᲐ თუ ისე, უკვე თამამად შეგვიძლია, ლევან ქარაბაკი „ბასკოს“ კალათბურთელად ჩავთვალოთ. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ აჭარულ კლუბს სერიოზულად ამოჭრა გულში ჩემპიონობა და უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონშივე მხოლოდ პირველობისთვის იბრძოლებს. ეს შენაძენიც, ცხადია, საამისოდ ყველანაირ წინაპირობას შეუქმნის „ბასკოს“. ბათუმელთა წინა ხაზი ხომ ერთ-ერთი მძლავრი და კარგად დაკომპლექტებული იქნა ჩვენში.

ახლა ყველაფერი დროის ამბავია. ფორმალური მხარეებიც მოწესრიგდება და, ალბათ, ქარაბაკსაც ვიხილავთ მოედანზე.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲙᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲪᲣᲠᲐᲕᲡ

ᲣᲙᲕᲔ სამი თვე შესრულდა, რაც კალათბურთს ველარ თამაშობს საქართველოს ნაკრებისა და სლოვაკური „ლევიცეს“ ცენტრი დავით ბერძენიშვილი. ზაფხულის ბოლოს დათო მძიმედ დაშავდა, მხარსა და იდაყვს შუა ორივე ძვალი გაიტეხა და შემოდგომა ხომ გაუცდა, დღემდე ვერ მოშუშებულა ბოლომდე.

მალე სლოვაკურ ჩემპიონატში სამკვირიანი შესვენების შემდეგ მეორე წრე დაიწყება და ჩვენც ამბის შესატყობად ბერძენიშვილს დავუკავშირდით, ვინძლო მომჯობინდა და ამიერიდან „ლევიცეს“ ჩვენებური ლეგიონერიც შეეშველოსო...

— ჯერ რა დროს თამაშია, ამას სულ ცოტა ერთი თვე ვერ შევძლებ. — რატომ, ტრავმა ხომ არ გაგიმიზდა?

— პირიქით, აღდგენითი პროცესი კარგად მიდის. უბრალოდ, ძალიან ძმიმე მოტეხილობაა. გამოჯანმრთელებას დრო სჭირდება.

— თუ ასეა, თაბაშირს მალევე შეგხსნიდნენ ექიმები...

— ეგ კი არა, უკვე მკლავიდან მეტალიც ამომიღეს. ახლა გაცილებით უკეთ ვარ, ტკივილსაც საერთოდ აღარ ვგრძნობ, მხარსაც ვამძიერავებ, მაგრამ ვარჯიშის უფლებას მაინც არ მაძლევენ მანამ, სანამ ძვლები ბოლომდე არ გამრთელდება. საშიშიაო, ექიმები მეუბნებიან.

— სრული დატვირთვით ვარჯიში როდიდან შეგეძლებაო, რას ამბობენ?

— ასე, ახალი წლის შერე. იანვრის ბოლოს ჩემპიონატში ექვსეულის მატჩები დაიწყება და, ვფიქრობ, მანამდე აუცილებლად მოვმჯობინდები.

— მოხვდება ექვსეულში „ლევიცე“?

— წესით, არ უნდა გაგვიჭირდეს. სადღეისოდ სწორედ მეექვსე ადგილზე ვართ, მაგრამ მომავალში, ჩემი აზრით, უკეთესობისკენ წავა საქმე. ახლა „ლევიცეს“ ზედიზედ სამი უძნელესი თამაში ელის. ორი მაინც უნდა მოვიგოთ, რომ ასე თუ ისე არხეინად ვიყოთ. სლოვაკეთის ჩემპიონატში ისეთი სისტემაა, რომ ექვსეულში გასული გუნდი შეიძლება ფინალშიც მოხვდეს. ვნახოთ, ჯერ ყველაფერი წინაა.

— თავად ესწრები ხოლმე გუნდის ვარჯიშებს?

— რა თქმა უნდა. ნელ-ნელა თავს დატვირთვებსაც ვაჩვევ გუნდთან ერთად დავრბივარ კიდეც, ფეხებსაც ძველებურად ვავარჯიშებ ტრენაჟორებით, ეგ არის, ხელს ვერ ვატან ძალას, უბურთოდ კი უკვე თითქმის ყველაფერს ვაკეთებ. გარდა ამისა, ყოველდღე დავდივარ აუზში წყლის პროცედურებზე, ერთი-ორჯერ გაცურვაც გავბედე და მოვახერხე კიდეც.

— დათო, ტრავმა შენს ბიუჯეტს თუ დაეტყო?

— ოდნავ, თუმცა ამას ვინღა ჩივის, ფულის დარდი მაქვს? მთავარია, კარგად ვიყო.

ისე, არ მეგონა, თუ აქაურები ასე მომიეღიდნენ. გუნდისგანაც ყოველ წუთს მხარდაჭერას ვგრძნობ.

— სამობაოდ თბილისში ჩამოსვლას არ აპირებ?

— არა მგონია, ალბათ, ზაფხულამდე აქ დავრჩები.

— ნაკრებში თუ გამოგიძახეს?..

— თუ მიმიწვევენ, უსათუოდ ჩამოვალ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲙᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲠᲬᲛᲘᲡᲘ ᲓᲘᲓᲘᲚᲘᲡᲛᲔᲠᲘ ᲤᲝᲢᲝ

რეგულარული ჩემპიონატი

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲚᲘ

29 ნოემბერი

ᲛᲐᲘᲐᲛᲘ 98:88 ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ

მაიამი: მაშბურნი (22)

საკრამენტო: ვებერი (18 ქულა, 10 მოხსნა)

ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ 91:93 ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ

პორტლენდი: ვოლესი (20 ქულა, 11 მოხსნა), პიპენი (20 ქულა, 10 მოხსნა)

ინდიანა: როუზი (22)

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ 110:118 ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ

(ძირითადი დრო 100:100)

ვანკუვერი: ბიბი (25), აბდურ-რაჰიმი (23)

ჰიუსტონი: ფრენსისი (24 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა), ბარკლი (22)

ᲘᲣᲢᲐ 115:99 ᲒᲝᲚᲓᲔᲜ ᲡᲢᲔᲘᲢᲘ

იუტა: მელოუნი (27 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: ჯონსი (17)

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ 107:82 ᲓᲐᲚᲐᲡᲘ

ნიუ იორკი: ვორდი (25), ტომასი (20)

დალასი: ფინლი (20)

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ „საკრამენტოსთან“ შეხვედრაში „მაიამი ჰითის“ თავისი ერთ-ერთი ლიდერი, გამთამაშებელი ტიმ ჰარდეევი აკლდა, თუმც ამით პატ რაილის ბიჭებს ხელი არ შეშლიათ. მათ მორიგი გამარჯვება მოიპოვეს და აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველობა გაიმყარეს. „მაიამის“ თავდამსხმელი ჯამალ მაშბურნი დღეს 27 წლისა გახდა, რამაც საბაბი მისცა, შეხვედრა განსაკუთრებული შემართებით ჩაეტარებინა. მინდოდა, 27 ქულა გამეკეთებინაო, ამობდა ჯამალი მატჩის შემდეგ, თუმც ამდენს ვერარ გასწვდა და ოცდაორს დასჯერდა. „მაიამის“ ამ გამარჯვებას ერთიორად მეტი ფასი იმანაც შესძინა, რომ „საკრამენტოს“ სეზონის დასაწყისში ტოკიოში გამართულ „მინესოტასთან“ შეხვედრის შემდეგ არ წაეგო.

წინა დღით პორტლენდის მეზობელ სიეატლში „სუპერსონიქსთან“ უიმედოდ დამარცხებულ „ინდიანას“ თავს კრიტიკის ქარიშხალი დაატყდა. მართალია, გუნდის მწვრთნელი ლარი ბერდი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს შტატებში და არა მარტო იქ, მაგრამ პრესა ამ ლეგენდარულ მოთამაშესაც გადასწვდა — გვიჭირს აღიარება, მაგრამ „ინდიანა“ იმის ნახევარიც არ არის, რაც შარშან და შარშანწინ იყო — წერდნენ გაზეთები. ძნელი სათქმელია, კრიტიკამ იმოქმედა, თუ სხვა რამემ, მაგრამ „ინდიანამ“ იმ დღეს მოლოდინს გადაჭარბა. ბერდიაგან საგულდაგულოდ დარიგებულმა „მარდებმა“ საჩემპიონოდ გამზადებული „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი“ პირველად დასცეს შინაურ სარბიელზე. არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, უბრალოდ, ბიჭებმა მოინდომეს და დიდი სპორტული ჟინი გამოამჟღავნესო, ამბობდა ბერდი.

სხვა მოედნებზე გამართული დაძაბული შეხვედრების გამო „ჰიუტონ“ — „ვანკუვერის“ მატჩმა ნაკლები ყურადღება მიიპყრო, მაგრამ იგი არანაკლებ საინტერესო გამოდგა. ორივე ეს ნდი შუა დასავლეთის დივიზიონის მაჩანჩალები არიან და ერთმანეთს ბილოსწინა ადგილს ეცილებიან.

„ჰიუსტონ როკეტსი“ კარგა ხანია, ალრავის ინტერესებს. 1994 და 1995 წლების ჩემპიონმა თავისი დრო მოჭამა, იტყვიან და დანანებით ჩაიქნევენ-ხოლმე ხელს „რაკეტების“ მორიგ მარცხზე. გუნდმა სოლიდური შევსება მიიღო პერსპექტიული ახალბედას, სტივ ფრენსისის სახით და ახლა მთელი იმედებიც მასზეა. ფრენსისი ნაწილად ამართლებს. ამ ყმაწვილმა გუნდის ლიდერობაც ხელში იგდო, რადგან ბერდები — ჩარლზ ბარკლი და ჰაკიმ ოლაჯუონი ძველებურად ვერარ პირველობენ. ჰოდა, აგებს და აგებს ერთ დროს მბლავრი ჩემპიონი გუნდი. ახლა „ვანკუვერთანაც“ რომ წაეგო, ძნელი სათქმელია, ამას რა შედეგი მოჰყვებოდა. წაგების დიდი შანსიც იყო, მაგრამ ისევ სტივ ფრენსისმა იყოჩალა, ძირითადი დროის დამთავრებამდე 2,6 წამით ადრე 100:100 გათანაბრა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა, რითაც უეჭველად მთელი ვანკუვერის ლანძღვა-გინება დიტეხდა თავს, რადგან წლევანდელ დრაფტში ფრენსისი სწორედ „ვანკუვერმა“ აირჩია, მაგრამ მოთავალმა ბარსკლავამ კანადაში დარჩენა ყირულებში დამარხვის ტოლფასად მიიჩნია და იმდენი ქნა, „ჰიუსტონში“ გადასვლას მიაღწია.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲛᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲚᲝᲣᲜᲛᲐ ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲡ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲝ

ᲡᲝᲚᲢ ᲚᲔᲘᲙ ᲡᲘᲢᲘᲡᲘ გუშინწინ გამართულ „იუტა“-„ვანკუვერის“ შეხვედრაში ღირსსახსოვარი რამ მოხდა. „იუტა ჯაზის“ თავდამსხმელმა კარლ მელოუნმა მეტოქეს 27 ქულა ჩაუგდო, სულ კარიერაში 29 299 მოაგროვა და ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მანამდე მესამე ადგილზე მყოფ მაიკლ ჯორდანს 22 ქულით გაუსწრო.

მატჩის დაწყებამდე, ცხადია, ყველამ იცოდა, რომ მელოუნს დიდი ჯორდანის საკარიერო მონაგრამდე სულ ხუთი ქულა უკლდა. ამიტომ მთელი დარბაზი მხურვალედ ქომაგობდა თავის ჯილას. ფრთაშესხმულმა მელოუნმაც პირველი მეოთხედის ბოლო წუთებზე მესამე ბურთი ჩააგდო და ჯორდანი მეოთხე ადგილზე ჩაანაცვლა. იუტაში მეილმენს, როგორც მას უწოდებენ, დიდ პატივს სცემენ, ახლა კი ერთიორად დაფასდა ქომაგთა თვალში „ის დღეს მშვენიერ ფორმაში იყო. მის მიერ ჩაგდებული ყველა ბურთი ახლაც თვალწინ მიდგას“ — თქვა მატჩის შემდეგ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე მელოუნის ყველაზე სასურველმა პარტნიორმა ჯონ სტოქტონმა, რომლის პასების გარეშეც მეილმენს ნამდვილად გაუჭირდებოდა ამდენი ქულის დაგროვება. თავად გმირი კი თავმდაბლობდა: „სანამ კარიერას დავიწყებდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ამხელა მწვერვალებს შევწვდებოდი. ამასთან, არ მინდა, ხალხმა მხოლოდ ქულების კეთების მანქანად დამიმახსოვროს. ისე, დაცვაში და გუნდურ თამაშშიც არა მიშავს“.

REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ამ ჩატენვით კარლ მელოუნმა კარიერაში 29 278-ე ქულა გაიკეთა და ლიგის მესამე ბომბარდირი გახდა

მერე რა, რომ ახლა მესამე ადგილზე დამკვიდრებული მელოუნი არაფერს ამბობს. იგი, ალბათ, უეჭველად უმიზნებს მეორე ადგილს, რომელიც აწ განსვენებულ დიად ცენტრს, უილტ ჩემბერლენს ეკუთვნის 31 419 ქულით. ამ სხვაობის დაძლევას მელოუნი აუცილებლად შეძლებს, თუ მომდევნო სეზონში კვლავ უმაღლეს დონეზე ითამაშებს. პირველ ადგილზე კი ქარიმ აბდულ-ჯაბარი იწონებს თავს. მას თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში 38 387 ქულა მოუგროვებია, რასაც ალბათ კარგა ხანს ვერავინ მიაღწევს.

ᲐᲦᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ	Მ	Წ	%
მაიამი	11	3	78,6
ნიუ იორკი	8	7	53,3
ბოსტონი	7	7	50,0
ორლანდო	7	7	50,0
ფილადელფია	7	8	46,7
ვაშინგტონი	4	10	28,6
ნიუ ჯერსი	2	12	14,3
ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ			
ტორონტო	9	5	64,3
მილუოკი	8	6	57,1
შარლოტი	8	6	57,1
ინდიანა	8	7	53,3
დეტროიტი	7	7	50,0
კლივლენდი	6	6	50,0
ატლანტა	5	9	35,7
ჩიკაგო	1	12	7,7

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲨᲣᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ			
სან ანტონიო	12	3	80,0
იუტა	8	6	57,1
მინესოტა	6	5	54,5
დენვერი	6	6	50,0
დალასი	5	10	33,3
ჰიუსტონი	4	10	26,7
ვანკუვერი	3	11	21,4
ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲠᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ			
საკრამენტო	9	2	81,8
პორტლენდი	13	3	81,3
სიეტლი	11	3	78,6
ლეიკერსი	10	4	71,4
ფინიქსი	9	4	69,2
კლიპერსი	4	9	30,8
გოლდენ სტეიტი	2	11	15,4

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

XIII ტური

ხიხონი — კასერესი 66:64, კანტაბრია — ლეონი 78:72, ბრეოგანი — უნიკახა 84:73, ესტუდიანტესი — პამესა 88:74, ტდკ — ხირონა 59:76, ფორუმი — რეალი 85:74, კანარიასი — ფუენლაბრადა 83:82, ბარსელონა — ბადალონა 76:66, ტაუ — კახა სან ფერნანდო 63:68

პამესა	13	12	1	1057:901	25
სან ფერნანდო	13	9	4	947:871	22
ტაუ	13	8	5	1037:958	21
რეალი	13	8	5	979:907	21
ბარსელონა	13	8	5	959:895	21
ესტუდიანტესი	13	8	5	952:936	21
ხირონა	13	7	6	960:921	20
უნიკახა	13	7	6	897:874	20
ფორუმი	13	7	6	921:908	20
კანარიასი	13	7	6	957:970	20
კასერესი	13	7	6	930:948	20
ფუენლაბრადა	13	6	7	962:954	19
ბადალონა	13	6	7	1013:1009	19
ტდკ	13	4	9	904:954	17
ხიხონი	13	4	9	890:1014	17
კანტაბრია	13	4	9	914:1050	17
ბრეოგანი	13	3	10	948:1056	16
ლეონი	13	2	11	842:943	15

კვირის მოთამაშე

ტიმ დანკანი • სან ანტონიო •



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ „სან ანტონიო სფურზის“ თავდამსხმელი ტიმ დანკანი დაასახელეს. „სან ანტონიომ“ აღნიშნულ კვირაში გამართული ოთხივე შეხვედრა მოიგო, რისი მთავარი შემოქმედიც ყმაწვილი დანკანი გახლდათ. „სფურზს“ ყველაზე უფრო „ფილადელფიასთან“ გაუჭირდა, ალენ აივერსონის გუნდს მხოლოდ 94:91 მოუგო. იმ შეხვედრაში დანკანმა 28 ქულა, 17 მოხსნა და 5 დაფარება გააკეთა. ყოფილ დიდ ჩემპიონ „ჩიკაგოს“ ახლანდელმა ჩემპიონმა „სან ანტონიომ“ 101:78 რომ მოუგო, ტიმმა 23 ქულას და 10 მოხსნას, 8 დაფარებაც დაუმატა და კარიერის რეკორდი გაიმეორა. სულ ამ ოთხ მატჩში სანანტონიელს საშუალოდ 24,3 ქულა, 14,8 მოხსნა და 4,3 დაფარება მოუგროვდა.

გაუმარჯოს!

სეზონი დასრულდა და ჩოგბურთელებსაც წიწილების თუ არა, საკლასიფიკაციო ქულებისა და არანაკლებ სასურველი მწვანე ათასების დათვლის დრო დაუდგათ.

როდესაც 1999 წლის გახსენებაზე მიდგება საქმე, თვალწინ თავზოტორა და თვალზე ცრემლმომდგარი ადამიანი დაგიდგებათ. ჯერ კიდევ ორი სეზონის წინ 141-ე ჩოგანმა ანდრე აგასიმ წლეულს როლან გაროსისა და აშშ-ის ღია პირველობის ტიტულები დაისაკუთრა, უიმბლდონსა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალებში გააღწია და კლასიფიკაციის სათავეშიც მოექცა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გაზაფხულზე დაკარგული მეუღლე ბრუქ შილდსი ორიოდ თვეში ანდრემ არანაკლები ტან-ფეხისა და კიდევ უფრო დიდი ცხვირსახელის პატრონი შტეფი გრაფით აინაზღაურა, იოლად მიხვდებით, ყოველ ინტერვიუში რად იმეორებს ამერიკელი, ასე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარო.

აგასის გარდა საუკუნის მიწურული ტკბილ მოგონებებში ჩაეწერებათ ევგენი კაფელნიკოვს (წინა სეზონის ბოლოს მე-11), ნიკოლას კიფერს (35-ე), ტომი ჰაასს (34-ე), მაგნუს ნორმანს (65-ე), ლეიტონ ჰიუიტს (96-ე), და, რა თქმა უნდა, სეზონის აღმოჩენას, 23 წლის ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტის, რომელიც შარშან ამ დროს კლასიფიკაციაში 92-ე იყო, წლეულს კი საუკეთესოთა ათეულში შეაღწია და საპრიზოებით სამი იმდენი დოლარი მოიხვეჭა, რამდენიც მანამდე მთელს კარიერაში ერთად აღებული.

ყველა გაჭირვებული კაცის ხსენებაზე როცა მიდგება საქმე, სიის სათავეში შარშანდელი მსოფლიოს მეორე, მესამე და მეოთხე ჩოგნები — შესაბამისად პატრიკ რაფტერი, ალექს კორეტხა და კარლოს მოია მოხვდებიან. იმას, რომ ზემოხსენებული ჩოგბურთელები წლეულს ბევრით არაფრით გამორჩეულან და კლასიფიკაციაშიც ქვევითკენ აიღეს გეზი, საპატიო მიზეზები მოეძებნება.

კორეტხას გაზაფხულ-ზაფხული უცნობმა, ენერგიისგან დამცლელმა ვირუსმა ჩააშხამა, მოიას სეზონის მეორე ნახევარი ხელის მძიმე ტრავმის გამო გაუცდა, რაფტერს კი



ანდრე აგასი

სექტემბერში მკლავი სულ დასაშლელი და თავიდან ასაწყობი გაუხდა.

ბლომად მოიძებნებოდნენ საჩოგბურთო სამყაროში უდროოდ წასულებიც: დიდ სპორტს საბოლოოდ გამოეთხოვნენ ლეგენდარული გერმანელები — შტეფი გრაფი და ბორის ბეკერი, ჯერ კიდევ შარშან დიდი სლემის ტურნირის მომგები ჩეხები — პეტერ კორდა და იანა ნოვოტნა, ჩუმად გაიპარა (დაუზუსტებელი ინფორმაციით) მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ტომას მუსტერიც.

სიცოცხლესა და პატარებს რაც შეეხებათ, აქ ძირითადად შავ ფერებზე მოგვიხდება საუბარი. რიჩარდ უილიამსის გამოზრდილმა დაკუნთულმა კაცისმკვლელებმა — ვინუსმა და სერენამ წლეულს ყველას დაანახეს, მომავალი ათასწლეულის დასაწყისში მზე საიდან ამოვა. სერენას კი ალბათ სწავლაზე მეტისმეტად გადაგებაღა თუ შეუშლის ხელს, გაისადვე კლასიფიკაციის სათავეში მოკალათდეს (უმცროსი უილიამსი კოლეჯში დარჩენის საბაბით ავსტრალიის ღია პირველობის გაცდენას აპირებს).

ავთანდილ სვანიძე

კლასიფიკაცია

კაცები			ქალები		
1.1	ანდრე აგასი (აშშ)	5048	1.1.	მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	6074
2.2	ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	3465	2.2.	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	4841
3.5	პიტ სამპრასი (აშშ)	3024	3.3.	ვინუს უილიამსი (აშშ)	4378
4.4	ტომას ენკვისტი (შვედეთი)	2606	4.4.	სერენა უილიამსი (აშშ)	3021
5.3	გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	2601	5.5.	მარი პირსი (საფრანგეთი)	2658
6.6	ნიკოლას კიფერი (გერმანია)	2447	6.6.	მონიკა სელეში (აშშ)	2310
7.7	ტოდ მარტინი (აშშ)	2408	7.7.	ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	2213
8.8	ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი)	2284	8.8.	ბარბარა შეტი (ავსტრია)	2188
9.9	მარსელო რიოსი (ჩილე)	2245	9.9.	ჟული ალარი (საფრანგეთი)	1977
10.10	რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)	2095	10.10.	ამელი მორესმო (საფრანგეთი)	1906
11.11	ტომი ჰაასი (გერმანია)	1921	11.11.	ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა)	1846
12.12	ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	1920	12.12.	ანა კურნიკოვა (რუსეთი)	1641
13.14	სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი)	1814	13.13.	სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1635
14.15	გრეგ რუზეცკი (ინგლისი)	1802	14.15.	დომინიკ ვან რუსტი (ბელგია)	1621
15.16	მაგნუს ნორმანი (შვედეთი)	1748	15.14.	კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	1564
16.18	პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	1731	16.17.	ანკე ჰუბერი (გერმანია)	1548
17.19	კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი)	1633	17.16.	არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	1435
18.20	ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	1572	18.19.	ელენა ლიხოვცევა (რუსეთი)	1393
19.21	მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	1570	19.20.	ემი ფრეზერი (აშშ)	1299
20.22	ვინსენტ სპედეა (აშშ)	1542	20.21.	რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი)	1291
21.23	დომინიკ ხრბატი (სლოვაკეთი)	1499	21.22.	პატი შნიდერი (შვეიცარია)	1189
22.24	ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	1458	22.23.	ჩანდა რუბინი (აშშ)	1188
23.25	ფელიქს მანტია (ესპანეთი)	1457	23.24.	ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	1140
24.16	კარლოს მოია (ესპანეთი)	1445	24.25.	აი სუგიამა (იაპონია)	1122
25.26	მარატ საფინი (რუსეთი)	1437	25.26.	ნატალი დეში (საფრანგეთი)	1055
26.13	ალექს კორეტხა (ესპანეთი)	1319	26.27.	სილვია ფარინა (იტალია)	976
27.27	სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი)	1298	27.28.	ნატაშა ზვერევა (ბელარუსი)	972
28.28	მარიანო ზაბალეტა (არგენტინა)	1258	28.29.	ლაიზა რეიმონდი (აშშ)	960
29.29	ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია)	1247	29.30.	სილვია ტალაია (ხორვატია)	865
30.30	ქარიმ ალამი (მაროკო)	1196	30.31.	საბინე აპელმანსი (ბელგია)	836
31.31	ანდრეი მედვედევი (უკრაინა)	1168	43.45.	ელენა დოკიჩი (ავსტრალია)	698
32.32	ჯიმ კურიე (აშშ)	1071	46.47.	ალექსანდრა სტივენსონი (აშშ)	669
43.43	ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	956	47.48.	კიმ კლაისტერსი (ბელგია)	668
50.51	მაიკლ ჩანგი (აშშ)	874	50.50.	მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია)	640
62.62	გორან ივანიშევიჩი (ხორვატია)	772	62.64.	ელენა დემენტიევა (რუსეთმ)	508
64.66	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	749	69.72.	ჟუსტინ ენენი (ბელგია)	451
305.309	ირაკლი ლაბაძე (საქართველო)	123	367.372.	ნინო ლუარსაბიშვილი (საქართველო)	39

ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 1999-ში

1.	ანდრე აგასი	4 269 265	1.	მარტინა ჰინგისი	3291780
2.	პიტ სამპრასი	2 816 406	2.	ლინდსი დევენპორტი	2734205
3.	ევგენი კაფელნიკოვი	2 360 498	3.	სერენა უილიამსი	2605102
4.	გრეგ რუზეცკი	2 122 535	4.	ვინუს უილიამსი	2316005
5.	მარსელო რიოსი	1 794 244	5.	შტეფი გრაფი (გერმანია)	1248867
6.	გუსტავო კუერტენი	1 762 269	6.	მარი პირსი	996442
7.	ტომას ენკვისტი	1 729 056	7.	ნატალი ტოზია	864507
8.	ტიმ ჰენმანი	1 537 594	8.	მონიკა სელეში	822218
9.	ტომი ჰაასი	1 447 308	9.	არანჩა სანჩეს-ვიკარიო	807921
10.	რიჩარდ კრაიჩეკი	1 348 977	10.	ანა კურნიკოვა	748424
11.	კარლოს მოია	1 281 337	11.	იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)	741454
12.	პატრიკ რაფტერი	1 254 574	12.	ბარბარა შეტი	725685
13.	ნიკოლას ლაპენტი	1 234 278	13.	ამელი მორესმო	582468
14.	ნიკოლას კიფერი	1 232 268	14.	ელენა ლიხოვცევა	525307
15.	ტოდ მარტინი	1 185 394	15.	ჟული ალარი	514070
16.	ალექს კორეტხა	1 072 288	16.	სანდრინ ტესტიუ	488496
17.	მარკ ფილიპუსისი	1 019 856	17.	კონჩიტა მარტინესი	486392
18.	ანდრეი მედვედევი	930 731	18.	ამანდა კუტცერი	486120
19.	კაროლ კუჩერა	870 957	19.	ლაიზა რეიმონდი	465664
20.	იონას ბიორკმანი (შვედეთი)	852 415	20.	დომინიკ ვან რუსტი	450401

სარეიტინგო ველოდრომები

ფრანგული გუნდი „კრედი აგრიკოლი“, რომლის შემადგენლობაშიც საკმაოდ ძლიერი მრბოლები (ამერიკელი ბობი ჯულიჩი, ავსტრალიელი სტიუარტ ოგრედი, ბრიტანელი კრის ბორდმანი და სხვა) არიან, გაისად მეორე დივიზიონში გამოვა. ასეთია ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის გამოთვლების შედეგი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიდ ტურნირებში (მაგალითად მსოფლიოს თასის ეტაპები) მონაწილეობისთვის „კრედი აგრიკოლი“ ორგანიზატორთა მიწვევების იმედზეღა რჩება.

„შემადგენლობის შერჩევისას უპირატესობა სპორტულ მხარეს მივანიჭე და არა ქულების დარიცხვის სისტემას. ბობი ჯულიჩი და ჯონათან ვოუტერსი იმიტომ მოვიწვიე, რომ ისინი მთებში ძალიან ძლიერები არიან. ყურადღება არ მიმიქცევია, თითოეულს რამდენი ქულა ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, მეორე დივიზიონის გუნდი არ ვართ და ამას შეჯიბრებებისას დავამტკიცებთ კიდეც“ — თქვა აღშფოთებულმა როჟე ლეჟეიმ, „კრედი აგრიკოლის“ სპორტულმა დირექტორმა.

შეგახსენებთ, რომ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი გუნდებს რეიტინგების მიხედვით ანაწილებს დივიზიონში. პირველ დივიზიონებში მოხვედრილებს უფლება აქვთ, ნებისმიერ ტურნირში მიიღონ მონაწილეობა, დანარჩენების ბედი კი ორგანიზატორების კეთილგანწყობაზე ჰკიდია. საკმაოდ ძლიერი „კრედი აგრიკოლის“ ვერმოხვედრა 22 რჩეულს შორის კი მეტად რთული და კომპლექსური გამოთვლების „ბრალი“ ყოფილა. პირველ დივიზიონში 1999 წლის თექვსმეტი საუკეთესო გუნდი რჩება. მათ ემატება მეორე დივიზიონის უძლიერესი. დარჩენილ ხუთ ვაკანტურ ადგილს კი ის გუნდები იკავებენ, რომელთა რვა უპირველეს მრბოლს საუკეთესო პირადი რეიტინგები აქვთ, ანუ აწ გასრულებულ სეზონში სხვებზე მეტი ქულები დაუგროვებიათ. ამ ქულების დარიცხვა კი იმდენად რთული სისტემით ხდება, მის აქ განხილვას აზრი არა აქვს უბრალოდ გეტყვით, რომ მხედველობაში მიიღება თითოეული რბოლის სიძლიერე, მრბოლის მიერ დაკავებული ადგილი, მის მიერ გამოჩენილი აქტიურობა, მთლიანად გუნდის გამოსვლა და სხვა მრავალი პარამეტრი.

„კრედი აგრიკოლმა“ ეს სეზონი მე-20 ადგილზე დაასრულა. პირველ დივიზიონში მოსახვედრად მას 2000 წლისთვის თავისი შემადგენლობის იმედიღა ჰქონდა. თუმცა წინასწარი მონაცემებით, მას სხვა გუნდებმა აჯობეს. 22-ე ადგილი მეორე ფრანგულ გუნდ „ლა ფრანსეზ დე ჟოს“ დაუკავებია, რომელმაც უკანასკნელ წამს აჯობა ლეჟეის გუნდს იტალიური „პოლტიდან“ ფაბრიციო გიდის გადაბირებაში. არადა, სწორედ გიდიმ მოუტანა თავის ახალ გუნდს ის ქულები, რომელიც პირველ დივიზიონში შესასვლელად იყო საჭირო.

თუ როჟე ლეჟეიმ კლასიფიკაციის არსებული სისტემა დიდად არ აკრიტიკა, სამაგიეროდ, „ლა ფრანსეზ დე ჟოს“ სპორტულმა დირექტორმა მარკ მადიომ გამოიჩინა ამ საქმეში თავი. „ავიღოთ იმ მრბოლის მაგალითი, რომელიც სეზონის ბოლოს სხვებზე უკეთეს ფორმაშია, მაგრამ საერთოდ დიდი ვერაფერიშვილია. ამ დროს მთელი გუნდი აქცენტს მის გამარჯვებებზე აკეთებს და ისიც ქულებს ბლომად იხვეჭს. სეზონის გასრულების შემდეგ თუ გუნდი საუკეთესო თექვსმეტეულში ვერ მოხვდება და აღნიშნული მრბოლიც თავის ქულებიანად რომელიმე კონკურენტთან გადავა, მაშინ ეს გუნდი პირველი დივიზიონიდან შეიძლება გავარდეს კიდეც. ეს კი ნამდვილად დიდი უსამართლობაა. აუცილებელია ახალი სარეიტინგო სისტემის მოფიქრება და დანერგვა“ — თქვა მადიომ და ისიც დაიწუწუნა, ესპანურ ტურნირებზე ფრანგულებთან შედარებით მეტი ქულები რატომ ერიცხებათ სპორტსმენებსო.

ეს სიტუაცია, რომელიც ფრანგულ გუნდებს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს, „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორებსაც არ მოსწონთ. მათ სურთ, თავიანთ ტურნირში რაც შეიძლება მეტი თანამემამულე ასპარეზობდეს, მაგრამ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის რეიტინგსაც ვერ გადადებენ გვერდზე.

ერთი სიტყვით, ველოსპორტში ახალი, სარეიტინგო დავიდარაბაა მოსალოდნელი, რითი დამთავრდება, ჯერ გაურკვეველია.

გაგი გურული

წლევანდელი „ტურ დე ფრანსი“ ბობი ჯულიჩისა და მისი გუნდის „კრედი აგრიკოლისთვის“ ერთნაირად უიღბლო გამოდგა

ვაქირავებ ან ვყიდი
გარემონტებულ 1-ოთახიან
იზოლირებულ ბინას
ტელეფონით და ბუნებრივი
აირით
სარაჯიშვილის მეტროსთან
☎ 60 21 23

ვყიდი
„ფიშერის“ უხმარ
თხილამურებს
და „იუვექსის“
სათვალეს
☎ 69 19 39

რეფერენდუმი

საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

XX საუკუნის საქართველოს სპორტსმენები

სამი კითხვა ლაურეატს

1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.

2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?

3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?

ვაშა კაჭარავა

ზრენბურთი

დაიბადა 1937 წლის 2 იანვარს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს (1965), სსრკ ხალხთა სპარტაკიადების ვერცხლისა (1967, 71) და ბრინჯაოს (1963) პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (1967), მსოფლიოსა (1966) და ევროპის (1963) ჩემპიონატების ბრინჯაოსმედალოსანი, მსოფლიოს უნივერსიადების ჩემპიონი (1963, 65), მსოფლიოს თასის მფლობელი (1965), ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული

1. გამორჩეული და დასამახსოვრებელი იყო ოლიმპიადის მოგება, სხვა წარმატებებიც, მაგრამ მე მაინც 1961 წელს თბილისში გამართულ შეხვედრას გავიხსენებ. ჩვენ ვმასპინძლობდით ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს, რომელიც იმ დროს ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი იყო. თუმცა მაინც მოვიგეთ, პრაქტიკულად უშეცდომოდ ვითამაშეთ. იმ დღეს უძლეველნი ვიყავით, მსოფლიოს ჩემპიონსაც რომ შევჭიდებოდით, მაინც გავიმარჯვებდით. სპორტის სტაჟიან გულშემატკივრებს ის თამაში იქნებ ახსოვთ კიდეც, რადგან ეს იყო, სამწუხაროდ, პირველი და უკანასკნელი საფრენბურთო მატჩი, რომელიც საქართველოს ტელევიზიამ სრულად, ორსაათნახევრის განმავლობაში აჩვენა.

ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის იყო, 1964 წელს სამსოფლიოსჩემპიონატო ნაკრებში რომ არ შემიყვანეს. ის პირველობა მოსკოვში ჩატარდა. უნდა ვთქვა, რომ ჩემი კონკურენტები ჩემზე უკეთ სულაც არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ რატომღაც მაინც ისინი მამჯობინეს. ამისთვის ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, 25 წლის მერე ბოდიშიც მომიხადეს, რამაც გამიძლიერა ეჭვი (თუ საბოლოოდ არ დამარწმუნა), რომ ჩემი ნაკრებს მიღმა დატოვება კულუარებში გადაწყდა.

2. მე ვიტყოდი, რომ ესაა დროებითი ჩავარდნა და არა კრიზისი. როცა სახელმწიფოში პოლიტიკური სისტემა იცვლება, ეს ყველა სფეროს ეტყობა. ქვეყანა რომ დალაგდება, ამას თავისთავად მოევლება, მანამდე კი სწორი სასელექციო მუშაობა უნდა წარვმართოთ. ცურვის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი ფეხბურთზე არ უნდა ხვდებოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხბურთი უფრო პოპულარულია ან პირიქით. როცა ყოფილ გდრ-ში სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამა შეიქმნა, სწორედ ამაზე გაკეთდა აქცენტი. შედეგმაც არ დააყოვნა — ტერიტორიით პატარა ქვეყანა აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის დარ გიგანტებს ტოლს არაფერში უდებდა.

3. ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია, ლევან თედიაშვილი
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნინო დუმბაძე



მილიონერები მკვლელობის საზღაურად

ყველაზე მდიდარი მკვლელი შულცის ქვრივს საკომპენსაციოდ 35 მილიონს ჰპირდება

დევიდ შულცი და მისი მეუღლე ნენსი

ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონის დევიდ შულცის ქვრივის ნენსი შულცის მიერ ექსცენტრული მილიონერის ჯონ დიუპონის წინააღმდეგ დაწყებულმა სასამართლო პროცესმა კულისებში გადაინაცვლა.

საქმე ისაა, რომ ერთ-ერთ წყაროზე დაყრდნობით „ფილადელფია ინქვაირერი“ აცხადებს, დიუპონი მზადაა ნენსი შულცს კომპენსაციის სახით 35 მილიონი დოლარი გადაუხადოსო. ჟურნალის ცნობით, ეს იქნება ყველაზე დიდი კომპენსაცია, რომელიც ერთ პიროვნებას დაზარალებული ოჯახისთვის ოდესმე გადაუხდია.

ყველაფერი 1996 წლის იანვარში მოხდა, როდესაც 36 წლის შულცი თავის მეგობარ დიუპონის მამულთან ახლოს მდებარე სპორტულ ბაზაზე ვარჯიშობდა: მაშინ შიზოფრენიით დაავადებულმა მილიონერმა მაგნუმის 44-კალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან სამი გასროლით მოჰკლა შულცი, რასაც მოჭიდავის თავზარდაცემული მეუღლე ნენსიც შეესწრო.

პოლიციამ ორი დღის ყოყმანის შემდეგ დააპატიმრა დიუპონი, რომლის შიზოფრენიით ავადყოფობას ექიმები ადასტურებდნენ.

საინტერესოა, რომ სასამართლოზე ადვოკატებს არ უარყვიათ დიუპონის მიერ შულცის მოკვლა, მაგრამ მათ ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ იგი თავისი მანიაკური ჰალუცინაციების გამო ვერ აცნობიერებდა იმას, რასაც სჩადიოდა.

1997 წელს დიუპონი დამნაშავედ და გონებრივად ავადმყოფად სცნეს, რასაც ერთი კვირის შემდეგ ნენსი შულცის საჩივარიც მოჰყვა.

მოსამართლე ჯეიმს პრაუდის თქმით, მოჭიდავის ქვრივს უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია, მაგრამ იქვე დაამატა, რომ გარკვეული თანხა მას გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ საქმე მართლმსაჯულებამდე მივა.

ამჟამად 61 წლის დიუპონს 13-დან 30 წლამდე პატიმრობა აქვს მისჯილი.

აღსანიშნავია, რომ დიუპონი ყველაზე მდიდარი დამნაშავეა აშშ-ში, რომელსაც მკვლელობის გამო სატუსაღო მიუსჯეს.

შეგახსენებთ, რომ თავისუფალი სტილით მოჭიდავე დევიდ შულცი იყო ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მრავალგზის მფლობელი, რომელმაც ქართველ გულშემატკივრებს თავი დაამახსოვრა, როგორც თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებულმა.

ახლა მისი ქვრივი ნენსი შულცი ორ ბავშვთან ერთად კალიფორნიაში ცხოვრობს.

გიგა გურასაშვილი

კეთილი ნების კეთილი ნება

აქამდე კეთილი ნების თამაშები მხოლოდ ზაფხულში იმართებოდა. მასში ზამთრის სახეობათა სპორტსმენებიდან მხოლოდ ფიგურულად მოსრიალენი მონაწილეობდნენ. და აი, ბოლოსდაბოლოს გადაწყდა, რომ 2000 წლის 17-დან 20 თებერვლამდე ამერიკის ქალაქ ლეიკ პლესიდში გაიმართება პირველი ზამთრის კეთილი ნების თამაშები. მასში ისე როგორც ზაფხულის ასპარეზობაში, მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები, თამაშების პროგრამაში კი ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობებია.

პირველ ზამთრის კეთილი ნების თამაშებზე ორგანიზატორებმა დაუშვეს სამთო-სათხილამურო სწრაფდაშვება, სათხილამურო რბოლა, ფრისტაილის ორი დისციპლინა — მოგული და აკრობატიკა, სნოუბორდი, საცეკვაო სპორტი, ბობსლეი, შორტ-ტრეკი და ფიგურული სრიალი.

სულ ლეიკ პლესიდში 500-მდე სპორტსმენს ელიან.

საინტერესოა, რომ მათთვის საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდია გამოყოფილი. მარტო სათხილამურო შეჯიბრებებისთვის — 462 ათასი დოლარი.

ოლიმპიზმი

ცეცხლი, ცეცხლი გვინდა!

ოლიმპიური თამაშები ჩირაღდნის გარეშე წარმოუდგენელია. ჰოდა, სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ოლიმპიურ ცეცხლს ტრადიციისამებრ ანტიკურ ოლიმპიაში, პელოპონესზე, 10 მაისს შუადღისას დაანთებენ. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა საბერძნეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა.

როგორც იცით, ოლიმპიურ ცეცხლს მზის სხივების საშუალებით დაანთებენ იქ, სადაც ჩვენს ერამდე 776 წლიდან მოყოლებული ქრისტეს დაბადებიდან 394 წლამდე ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა.

ჰერას ტაძრის ნანგრევებში დანთებულ ჩირაღდანს ახალგაზრდა მორბენლები პელოპონესიდან ჩაიტანენ ათენში, საიდანაც მას თვითმფრინავით სიდნეიში გაისტუმრებენ.

აღსანიშნავია, რომ მომავალი ათასწლეულის პირველი ოლიმპიური თამაშებისთვის სიმბოლური ცეცხლი სამშობლოში დარჩება, რადგან 2004 წლის ამგვარ ასპარეზობას ათენი უმასპინძლებს.

ისიც საინტერესოა, რომ ამას წინათ საბერძნეთმა წამოაყენა წინადადება, ოლიმპიურ თამაშებს მუდმივად ელინთა მიწამ უმასპინძლოსო. ბერძენთა აზრით, ეს თავიდან აგვაცილებს იმ სკანდალებს, რომლებიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მოსაპოვებლად კორუფციისკენ უბიძგებს. თუმცა, ასეთ ინიციატივას მომხრეები ჯერ არ გამოჩენია.

ფიგურული სრიალი

მურვანიძე მარტო აღარ არის

24-28 ნოემბერს სანკტ პეტერბურგში ფიგურულად მოსრიალეთა დიდი პრიზის გათამაშების მეორე ეტაპი ჩატარდა. იქ ვახტანგ მურვანიძესაც უნდა ეასპარეზა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ნევისპირა ქალაქის ყინულზე ვერ ისრიალა. ამ ორი კვირის წინ, სანამ გელზენკირხენში იმავე ტურნირის პირველ ეტაპზე გამოვიდოდა, იგი მოსკოვში, ვარჯიშებზე გაცივდა. მართალია, ვახტანგი გერმანიაში მაინც წავიდა და მეცხრე ადგილიც დაიკავა, მაგრამ მერე ავადმყოფობას ვეღარ მოერია. თანაც, როგორც საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ირაკლი ჯაფარიძემ გვითხრა, პირველი ეტაპის შედეგმა სპორტსმენსა და მის მწვრთნელ ელენე ჩაიკოვსკაიას სუპერფინალში გამსვლელ ექვსეულში მოხვედრის იმედი თითქმის გადაუწურა. ამიტომ მათ გარისკვას საფუძვლიანი მკურნალობა ამჯობინეს, რათა მომავალი სტარტებისთვის მზადებაში ხელი არ შეშლოდათ. ამით მურვანიძისთვის დიდი პრიზის გათამაშება დამთავრდა, რადგან ფიგურისტი ექვსიდან მხოლოდ ორ ეტაპზე დაიშვება, სუპერფინალში კი შედეგების საერთო ჩათვლაში მოწინავე ექვსეული გადის. აქვე შეგახსენებთ, რომ ვახტანგი ამ თასის გათამაშებაში საერთაშორისო ფედერაციამ პერსონალურად მიიწვია.

ახლა წინ ისრაელის საერთაშორისო ტურნირია. ესაა ქვეყნის თასის გათამაშება, ოღონდ ღია სტატუსით. მურვანიძე მასპინძლებმა იქაც პერსონალურად მიიწვიეს. ის აღთქმულ მიწაზე 5 დეკემბერს გაემგზავრება მოსკოვიდან, სადაც ამჟამად ვარჯიშობს. 5 დეკემბერსვე თათრეთის დედაქალაქ ყაზანში თორნიკე ტუკვაძის და ტატიანა სევიანერის ინტერნაციონალური დუეტის დებიუტი შედგება. ტუკვაძე თბილისის საცეკვაო სკოლის აღზრდილი და საქართველოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია. ის შარშანვე გადავიდა მოსკოვში მარინა ალექსეევასთან სავარჯიშოდ და მისი ხელმძღვანელობით სპორტული წყვილი შექმნა მოსკოველ ტატიანა სევიანერთან. ეს დუეტი ასაკის გამო ჯერ მხოლოდ ახალგაზრდულ ტურნირებზე გამოვა და როგორც ირაკლი ჯაფარიძე ამბობს, საქართველოს სახელით ყაზანში რუსეთის თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი გაიმართება. იქ ჩვენებურები უკონკურსოდ გამოვლენ.

ირაკლი თავაძე

ურცხვი სტუმრები და ორწლიანი დისკვალიფიკაცია

I ჯგუფი
ლესტერი (ინგლისი) 30 (17) : 25 (9) სტად ფრანსე (საფრანგეთი)
გლაზგო (შოტლანდია) 29 (17) : 17 (3) ლენსტერი (ირლანდია)

II ჯგუფი
ტულუზი (საფრანგეთი) 46 (17) : 3 (3) სუონსი (უელსი)
პადოვა (იტალია) 15 (7) : 56 (27) ბათი (ინგლისი)

III ჯგუფი
ლიანელი (უელსი) 29 (26) : 10 (10) ბურგუენი (საფრანგეთი)
ოლსტერი (ირლანდია) 6 (0) : 19 (3) უოსპსი (ინგლისი)

IV ჯგუფი
პონტიპრიდი (უელსი) 22 (13) : 14 (6) კოლომიე (საფრანგეთი)
სარასენსი (ინგლისი) 34 (21) : 35 (9) მანსტერი (ირლანდია)

V ჯგუფი
მონფერანი (საფრანგეთი) 46 (32) : 13 (6) კარდიფი (უელსი)
ჰარლიქვინზი (ინგლისი) 19 (19) : 22 (3) ტრევიზო (იტალია)

VI ჯგუფი
გრენობლი (საფრანგეთი) 20 (10) : 18 (12) ნორტჰემპტონი (ინგლისი)
ნითი (უელსი) 20 (17) : 31 (3) ედინბურგი (შოტლანდია)

მორაგბეთა ევროპის თასის გათამაშების მეორე ტური, რომელიც ამ უქმეებზე გაიმართა, ფრანგული კლუბებისთვის ისეთი წარმატებული არ გამოდგა, როგორც პირველი. მაშინ ექვსი ფრანგული გუნდიდან ხუთმა გაიმარჯვა, მხოლოდ „გრენობლი“ დამარცხდა „ედინბურგთან“. ამჯერად კი მათ 50-პროცენტიან შედეგს მიაღწიეს — სამი მოგება, სამი წაგება. თანაც საინტერესოა, რომ სამივე გამარჯვება საშინაო აღმოჩნდა, დამარცხება კი საგარეო. ფრანგებისგან განსხვავებით, ეს უქმეები ძალიან შედეგიანი გამოდგა შედარებით სუსტი შოტლანდიური კლუბებისთვის — „გლაზგომაც“ და „ედინბურგმაც“ დაჯაბნეს მეტოქეები და ჯგუფიდან გასვლის საქმეში დიდი ნაბიჯი (განსაკუთრებით დედაქალაქელებმა, რომელთათვისაც ეს მეორე მოგებაა) გადადგეს წინ. იტალიელებმა და ინგლისელებმა ფრანგებივით 50-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს, უელსელებმა და ირლანდიელებმა კი ნამდვილად სუსტად ჩაატარეს ტური. ისე, ამ ტურში ევროპის თასის ახალი რეკორდი დამყარდა — 12 მატჩიდან ხუთი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა.

I ჯგუფში ოთხივე გუნდს ქულების თანაბარი რაოდენობა მოუგროვდა და თითქოს საბოლოო პირველადგილოსნის ბედი გაურკვეველია. თუმცა სიტუაცია არც ისეა ჩახლართული, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მართალია, „სტად ფრანსემ“ „უელფორდ როადზე“ მარცხი იწვნია, მაგრამ „ლესტერმა“ მას მხოლოდ ხუთი ქულით სძლია. და თუ მათ ბოლოსაც ქულების ერთნაირი რაოდენობა ექნაფ, უპირატესობა ურთიერთშეხვედრებში უკეთესს მიენიჭება. ასე რომ, პარიზელებმა საპასუხო მატჩი მინიმუმ ექვსქულიანი სხვაობით რომ მოიგონ, ინგლისელები მათ პირველობას, ალბათ, ვეღარ შეეცილებიან. მით უმეტეს, რომ „ლესტერმა“ პირველ ტურში დათმო თამაში „ლენსტერთან“. რაც შეეხებათ ირლანდიელებსა და შოტლანდიელებს, მეოთხედფინალში გასასვლელ ბრძოლაში მათ სათვალავში კვლავ არავინ აგდებს.

II ჯგუფში „ტულუზმა“ „სუონსი“ გაანადგურა და მასთან ბურთების უკეთესი შეფარდება, ფაქტობრივად, გაინაღდა. უელსელთა რბევა პირველივე ტაიმში დაიწყო ფრანგთა ფრთის მოთამაშე მარკენგმა. მან ჯამში ორ ლელოს ორი საჯარიმო და ხუთი გარდასახვა მიაყოლა და სულ 26 ქულით შეეწია თავისიანებს. მარფენგის გარდა, ბურთის სტუმართა სალელოე მოედანზე დადება კიდევ ოთხმა მასპინძელმა მოახერხა — ნტამაკმა, ჰელუმ, ბონდუიმ და ფილოლმა. ჯგუფის მეორე თამაშში, როგორც მოსალოდნელი იყო, „ბათმა“ გაიმარჯვა. მატჩის ბედი ინგლისელებმა პირველ ორმოცწუთეულშივე გადაწყვიტეს, როცა იტალიელებს 20 ქულით გაუსწრეს.

ზედიზედ მეორე შეხვედრა დათმო ამ ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა „ოლსტერმა“. მან ამჯერად შინ წააგო. აღსანიშნავია, რომ შესვენებამდე მოედანზე მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა და „უოსპსმა“ ტაიმი მინიმალური უპირატესობით მოიგო ლოგანის ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმის წყალობით. მეორე ტაიმში კი იმავე ლოგანმა კიდევ სამი საჯარიმო გაიტანა, რასაც გრინის გატანილი ლელოს გარდასახვაც მიემატა. ხოლო „ოლსტერმა“ მეისონის ძალისხმევით მხოლოდ ექვსი ქულის მოგროვება შეძლო და, ფაქტობრივად, ევროპის თასის შენარჩუნებაზე ოცნებას გამოემშვიდობა. ჯგუფის მეორე შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობა კი შესვენებამდე გაირკვა, როცა უელსელებმა 3 ლელო გაიტანეს, „ბურგუენმა“ კი — ოდენ ერთი. თანაც „ლიანელის“ დამრტყმელმა ჯონსმა, მართალია, მხოლოდ ერთი გარდასახა, მაგრამ, სამაგიეროდ, სამი საჯარიმო გაიტანა და ჯამში მეტოქე და კოლეგა მაკკენზიზე 9 ქულით მეტი მოაგროვა.

ძალიან ცუდი დღე გაუთენდა „კოლომიეს“, რომელმაც „პონტიპრიდთან“ წააგო. თუმცა საქმე მარტო წაგებაში არაა. მსაჯის მიერ წამატებულ დროში ფრანგების მორკინალმა და ერთერთმა წამყვანმა მოთამაშემ, რიშარ ნონემ ისე იუხეშა, წითელი ბარათი მიიღო და შემდეგ ორწლიან დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრა ხელი. IV ჯგუფის მეორე მატჩში ირლანდიის „მანსტერმა“ იმარჯვა და რვამატჩიანი წაუგებელი სერია განაგრძო. არადა, პირველი ტაიმის შემდეგ „სარასენსი“ 12 ქულას იგებდა და თავიც ქუდში ეგონა, მაგრამ შესვენების შემდეგ ირლანდიელებმა 4 ლელოს გატანა შესძლეს და ერთი ქულით გაუსწრეს მასპინძლებს.

V ჯგუფში ტურის მთავარი სენსაცია მოხდა. იტალიის ნაკრების მორაგბეებით გაძლიერებული „ტრევიზო“ „ჰარლიქვინზს“ ეწვია და შინ ორი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდა. არადა, პირველი ტაიმი ისეთი სცენარით წარიმართა, სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. შესვენებაზე ტრევიზელები მთლიანად გარდაიქმნენ, მეტოქეს ქულის მითვლაც არ დაანებეს, თვითონ კი 19 მოიპოვეს და სენსაციური მოგებაც გაახერხეს. „მონფერანმა“ კი ზედიზედ მეორედ მოიგო და, ალბათ, ჯგუფის პირველ ადგილს არავის დაანებებს.

„ედინბურგის“ წარმატებამ სტუმრად „ნითთან“, ფაქტობრივად, ამ უკანასკნელს მეოთხედფინალში გასვლის იმედი გადაუწურა. სამაგიეროდ, შოტლანდიელებს მშვენიერი შანსი მიეცათ. „გრენობლმა“ კი ბოლო წუთებში გამოგლიჯა გამარჯვება „ნორტჰემპტონს“ და VI ჯგუფის პირველადგილოსნის ბედი შოტლანდიურ-ინგლისურ დაპირისპირებას არ გადაწყვეტინა.

გაგი გურული

ტულუზელმა მიშელ მარფენგმა „სუონსის“ ორი ლელო გაუტანა

სატურნირო ვითარება

	I ჯგუფი							IV ჯგუფი					
სტად ფრანსე	2	1	0	1	62:48	2		მანსტერი	2	2	0	0	67:44	4
ლესტერი	2	1	0	1	50:52	2		კოლომიე	2	1	0	1	33:38	2
ლენსტერი	2	1	0	1	44:49	2		პონტიპრიდი	2	1	0	1	32:46	2
გლაზგო	2	1	0	1	47:54	2		სარასენსი	2	0	0	2	50:54	0
	II ჯგუფი							V ჯგუფი					
ტულუზი	2	2	0	0	78:28	4		მონფერანი	2	2	0	0	67:28	4
ბათი	2	1	0	1	81:47	2		ტრევიზო	2	1	0	1	37:40	2
სუონსი	2	1	0	1	69:65	2		ჰარლიქვინზი	2	0	1	1	51:54	1
პადოვა	2	0	0	2	34:122	0		კარდიფი	2	0	1	1	45:78	1
	III ჯგუფი							VI ჯგუფი					
უოსპსი	2	2	0	0	41:19	4		ედინბურგი	2	2	0	0	54:38	4
ლიანელი	2	1	0	1	42:32	2		ნორტჰემპტონი	2	1	0	1	39:32	2
ბურგუენი	2	1	0	1	36:41	2		გრენობლი	2	1	0	1	38:41	2
ოლსტერი	2	0	0	2	18:45	0		ნითი	2	0	0	2	32:52	0

ჩემპიონატის პირველმა მატჩმა პოლონელები და ავსტრალიელები, აგნესკა ტრუჟინსკა (№2) და რელენ ბოლტონი შეახვედრა ერთმანეთს

ხელმარჯვე ქალები სკანდინავიას შეესივნენ

ხელბურთელ ქალთა მსოფლიოს ოცდაოთხი საუკეთესო გუნდი სკანდინავიას — ნორვეგიასა და დანიას ესტუმრა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. თოვლ-ყინულოვან ნახევარკუნძულს ყველა კონტინენტის რჩეული ხელბურთელები ეწვივნენ. ევროპა ჩემპიონატზე 14 გუნდითაა წარმოდგენილი, ამერიკა, აზია და აფრიკა სამ-სამი ნაკრებით, ამას დაუმატეთ ავსტრალია და ოცდაოთხი გუნდიც ეგაა. ტურნირის ორგანიზატორებმა ეს ოცდაოთხი ნაკრები ოთხ ქვეჯგუფად დაჰყვეს, აქედან ოთხ-ოთხი საუკეთესო შემდეგ ეტაპზე ითამაშებს. ცხადია, ჩემპიონატზე ფავორიტებიც არიან და მაჩანჩალებიც. სპეციალისტები გამარჯვების უპირველეს კანდიდატებად მასპინძლებს, დანიელებს და ნორვეგიელებს მიიჩნევენ, ოქროსათვის ბრძოლაში ავსტრიელებსა და გერმანელებსაც შეუძლიათ გამოიღონ ხელი. მაჩანჩალების ამ ამქარში კი, ალბათ, აფრიკული გუნდები უნდა ჩავთვალოთ, აბა, კოტ დივუარელი, კინგოელი და ანგოლელ შავი გოგოები ევროპელებთან რას გახდებიან.

ეს ჩემპიონატი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ აქ სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები გაიცემა — საუკეთესო ხუთეული ავსტრალიაში წასასვლელ საგზურებს სკანდინავიაში დაიბევებს.

A ჯგუფი	B ჯგუფი	C ჯგუფი	D ჯგუფი
ნორვეგია	ავსტრია	დანია	უნგრეთი
პოლონეთი	საფრანგეთი	გერმანია	კორეა
ჰოლანდია	რუმინეთი	მაკედონია	რუსეთი
ბელარუსი	კუბა	ანგოლა	ბრაზილია
ჩეხეთი	უკრაინა	იაპონია	კონგო
ავსტრალია	კოტ დივუარი	არგენტინა	ჩინეთი

A ჯგუფი. პირველი ტური

პოლონეთი 29:19 ავსტრალია
ნორვეგია 29:13 ბელარუსი
ჰოლანდია 25:21 ჩეხეთი

ფედერაციას ანგვებიან

ამერიკაში კვლავაც გრძელდება სასამართლო კრივის საერთაშორისო ფედერაციის მექრთამული საქმისა, რომელიც ერთგვარად გადაეხლართა ლენოქს ლუის — ევანდერ ჰოლიფილდის უკანასკნელ ბრძოლას. მაშინ ფედერაციამ (იბფ) თავისი საჩემპიონო ქამარი არ გადასცა ლუისს ყურით მოთრეულ მიზეზთა გამო.

ეს პრობლემა მალევე მოგვარდა, მაგრამ ნიუ იორკის სასამართლოს ხელში ჩავარდნილი ფედერაციის თავკაცი რობერტ ლი-უფროსი კვლავ პრობლემათა წინაშე დგას. 32 ტომიანი საქმე მისი დაწესებულების მექრთამეობას აღწერს და, ბოლო 23 წლის განმავლობაში ფედერაციის ანგარიშებზე შესულ-გამოსულ ყოველ კაპიკს ითვლის. ფედერაციის ორი ანგარიში დაპატიმრებულია. გუშინ კი მოსამართლე ჯონ ბისელმა კვირაში ხუთიათას დოლარზე მეტი ფულის გადარიცხვა აუკრძალა ლის, ჯერაც ღია ანგარიშებიდან.

სასამართლო 22 დეკემბერს განახლდება, მანამდე კი ლი, ალბათ, თანამდებობიდან გადადგება. ვარაუდობენ, რომ ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობას ბრუკლინის ყოფილი პროკურორი ზაქარი კარტერი დაიჭერს.

ალგერტ ხაჩატურიშვილი

ვაგროვებ თბილისის „დინამოს“ პროგრამებს:
საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე (1936-1980 წლები),
საბჭოთა კავშირის თასზე, ევროთასების
გასვლით მატჩებზე. ვაგროვებ საქართველოს
ნაკრების შეხვედრების პროგრამებსაც.
ტ: 67-09-31, იკითხეთ ზაური

ნორვეგია. ნორვეგია!

ამ შეძახილებით დასრულდა თხილამურებით რბოლაში მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი შვეიცის ქალაქ კირუნაში. ქალები 5 კმ-ზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, კაცები — 10 კმ-ზე. სეზონის გახსნის პირველი დღე კლასიკურ სტილს მიეძღვნა. აქ კი ნორვეგიელ ქალებს მართლაც ვერავინ შეედრება. აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა თასის შარშანდელმა მფლობელმა ბენტე მარტინსენმა. მეორე ადგილზეც ნორვეგიელი — ანიტა მოენი გავიდა. მესამე იყო ესტონელი კატია შმიგუნი.

ნორვეგიელთა უპირატესობა აშკარა იყო კაცების შეჯიბრებაშიც. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ პირველ ათეულში ამ პატარა ქვეყნის (ნორვეგიის მოსახლეობა სულ 3 მილიონს ითვლის) 6 სპორტსმენი მოხვდა. გაიმარჯვა ოდ-ბიორნ ჰელმესეტმა, მეორეც მისი თანაგუნდელი, ოლიმპიური ჩემპიონი ტომას ალსგარდი იყო. მესამე საპრიზო ადგილი, ერთი შეხედვით მოულოდნელად, სლოვაკ პატორის ხვდა წილად. ნორვეგიელ ვაჟთა ასეთი წარმატება მით უფრო სასახელოა, რომ მათ შორის ჯერჯერობით არ ჩანს და, ალბათ, კარგა ხანს არც გამოჩნდება რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ნორვეგიაში საუკუნის პირველ სპორტსმენად აღიარებული ბიორნ დელი. მაგრამ ეტყობა, ამ პატარა და მშვენიერ ერს არა ერთი და ორი დიდი სპორტსმენის გამოზრდა ძალუძს.

კირუნაში მეორე დღე ესტაფეტებს დაეთმო. „ივაჟკაცეს" რუსმა ქალებმა, 4X5 კმ-ზე თავისუფალი სტილით რბოლაში რუსეთის მეორე ნაკრებმა გაიმარჯვა, მეორე მივიდა ფინიშთან პირველი გუნდი, ნორვეგიელები მესამე ადგილს დასჯერდნენ.

კაცების ესტაფეტა 4X10 კმ-ზე, ასევე თავისუფალი სტილით, იტალიელების გამარჯვებით დასრულდა. ვალბუზამ, პოცი, მაიმ და ფაუნერმა 4 წამი მოუგეს ნორვეგიელთა ოთხეულს. მესამე იყო ავსტრიელთა ნაკრები.

ჰერმან მაიერი

ჰერმან მაიერი აღარ ხუმრობს

როგორც ჩანს, ოლიმპიური თამაშების შემდეგ ერთგვარი ჩავარდნა (თუ ჩავარდნა ჰქვია მსოფლიოს თასზე მეორე ადგილს) ავსტრიელ ოლიმპიურ ჩემპიონ ჰერმან მაიერისთვის მხოლოდ და მხოლოდ უსიამო მოგონებად იქცა. შარშანდელი წარუმატებლობა გაჭიანურებული ტრავმით იყო გამოწვეული და ეს გრძელი და სევდიანი „სიმღერა" როგორც იქნა, დასრულდა. ამაზე მეტყველებს „ჰერმინატორის", როგორც მას ხშირად უწოდებენ, წლევანდელი სეზონის ბრწყინვალე სტარტი. მაიერმა ამერიკის ბივერ კრიკში თავის გამარჯვებას გიგანტურ სლალომში, ახლა სწრაფდაშვებაში მოპოვებული პირველი ადგილი და 100 ქულაც წაამატა და დამაჯერებლად ლიდერობს მსოფლიო თასს.

ქალების სწრაფდაშვება ლეიკ ლუიზში მოეწყო. გაიმარჯვა იტალიელმა იზოლდე კოსტნერმა. მეორე იყო გერმანელი ჰილდე გერგი, მესამე — შვეიცარიელი კორინ რეი-ბელე.

ყინულსა და ...

გახურდა ჩხოლეოს ოსებისთვის ბრძოლა ზამთრის სპორტული მოვლენარავები ახლა ბერლინში შეიკრიბნენ და სპრინტერულ დისტანციებზე გაეჯიბრნენ ერთმანეთს. მოულოდნელად დასრულდა 500 მეტრზე ასპარეზობა. მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა მსოფლიოს რეკორდსმენმა და ჩემპიონმა კატრინა ლემეი-დონამ. კანადელს თანამემამულე ჯერემი უოტერსპენმაც „მიბაძა" და საბოლოდ ის გამოვიდა, რომ გამარჯვება იაპონელებს დარჩათ. ქალებში სანმა იყო საუკეთესო, კაცებში — შიმიტუ.

კილომეტრიან დისტანციაზე ქალებში გერმანელმა ჰარბრეხტმა იმარჯვა, კაცებში ყველაზე სწრაფი ჰოლანდიელი ბოსი იყო.

...ტრამპლინზე

კუოპიოში მსოფლიოს თასისიოვის ბრძოლაში მფრინავი მოთხილამურეები ჩაებნენ. ძლიერი ქარის გამო სპორტსმენებმა მხოლოდ თითო გადახტომა მოასწრეს, ადგილებიც ამ ერთადერთი ცდის მიხედვით განაწილდა. შეუდარებელი იყო 21 წლის გერმანელი მარტინ შმიტი (125,5 მ; 123,9 ქულა). წარმატებით დაიწყო სეზონი მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელმა ავსტრიელმა ანდრიას გოლდბერგერმა (121; 118); მესამე შედეგი აჩვენა შეჯიბრების მასპინძელმა ფინელმა ჰაუტამაკიმ (124,5; 118,1).

ირაკლი ბერიაშვილი

მე რა, მე წავკარი...

REUTERS ტორონტოდან

ტორონტოელი ტაი დომი (მარცხნივ) ვაშინგტონელ იან ბულისს შებმია

29 ნოემბერი

ტორონტო — ვაშინგტონი 3:1

1:0 1:1 1:0

1:0 მეირი 11'36 (1); 1:1 ჰალპერნი 31'06 (3); 2:1 პერო 33'08 (8); 3:1 ტომასი 59'40 (3)

ამ ახალგაზრდას ჯერჯერობით დიდ ჰოკეში მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ტორონტოს მესვეურები მისგან სიურპრიზებს უკვე ელიან. ფარმკლუბიდან გამოძახებულმა 20 წლის ადამ მეირმა რეგულარულ ჩემპიონატში დებიუტი გოლით აღნიშნა. თუმცა, თავად ჰოკეისტის თქმით, საამისოდ მას დიდი ჯაფა არ დასდგომია — ალან მაკოლის ჩინებული პასის შემდეგ მხოლოდ ყვანჯი წაჰკრა შაიბას. უნდა ითქვას, რომ შარშან მეირმა პლეი ოფში ითამაშა და იმ სადებიუტო მატჩშიც ქულა მიითვალა ზუსტი პასის ხარჯზე.

ეს კი მეორე ასეთი შემთხვევაა კლუბის ისტორიაში. პარტნიორებმაც წყალში არ ჩაყარეს ახალბედის გარჯა და ტორონტო 33 ქულით წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერ სამეულს შეუერთდა.



ნელსონ ემერსონი

დარტყმა, კიდევ დარტყმა

ატლანტის ფორვარდ ნელსონ ემერსონს ფლორიდელ იაროსლავ შაჩეკთან შეჯახება ძვირად დაუჯდა. მეორე პერიოდის დასაწყისში იგი უკნიდან წამოპარული მეტოქის ძალისმიერ ილეთს ემსხვერპლა. ემერსონი წაიქცა, გონება დაკარგა და საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა. დიაგნოზიც ვერაფერი სანუგეშოა — ტვინის მძიმე შერყევა და განუსაზღვრელი ვადით დასვენება. შპაჩეკს ამ საქციელისთვის ფულადი ჯარიმის გადახდა დაეკისრა და, ალბათ, დისკვალიფიკაციასაც ვერ გადაურჩება.

ცხადია, მოწინააღმდეგეთა მწვრთნელებმა არაერთგვაროვნად შეაფასეს მომხდარი. ფლორიდელთა თავკაცმა ტერი მიურეიმ თავისი შეგირდი დაიცვა, ატლანტელი კურტ ფრეზერი კი მას დაემუქრა, ამას დაგიმახსოვრებთ და მწარედ განანებთო. აღსანიშნავია, რომ ემერსონისთვის ეს მხოლოდ მეორე თამაში იყო მას შემდეგ, რაც თავად ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა ბუფალოელ ჯეფ სენდერსონთან უხეშობის გამო.

მშრომელ მილიონერთა სოლიდარობა

მართალია, ნჰლ-ის წეს-კანონების დარღვევისთვის ოტაველი ალექსეი იაშინის დასჯას მავანნი მიიჩნევენ, მაგრამ არსებობს ნჰლ-ის მოთამაშეთა ასოციაცია (NHLPA), ანუ ჰოკეისტთა პროფკავშირი, რომელიც მოთამაშეთა უფლებებს იცავს. გამონაკლისი არც იაშინი ყოფილა.

წინა კვირის ბოლოს ასოციაციამ ოტავას ხელმძღვანელობას საჩივრით მიმართა. როგორც გაზეთი „ოტავა სანი" იუწყება, NHLPA ამ საქმის დამოუკიდებელი არბიტრაჟის მეშვეობით გარჩევას ითხოვს.

ასოციაცია იაშინის დისკვალიფიკაციის გამო როდი ჩივის. პროფკავშირის მესვეურებს ის აშფოთებთ, რომ კანადური კლუბის თავკაცებმა ჰოკეისტს ვალის გადახდა, ანუ გაცდენილი მატჩების საგაისოდ თამაში მოსთხოვეს. თანაც, რუსს დამატებითი სეზონის ჩატარებისთვის ზედმეტ თანხას არავინ გადაუხდის, იგი კვლავაც კონტრაქტით გათვალისწინებული 3,6 მილიონს მიიღებს.

ასოციაციის ხელმძღვანელის ბობ გუდენოუს განცხადებით, ეს ლიგის კანონებს ეწინააღმდეგება და ერთი სეზონით დისკვალიფიკაცია სრულიად საკმარისია. არადა, ზაფხულში იაშინი შეზღუდული თავისუფალი აგენტი ხდება, რაც მას სხვა გუნდში გადასვლის საშუალებას აძლევს. თავად ჰოკეისტი კი შვეიცარიული კლოდენის გუნდთან ერთად ვარჯიშობს და მოვლენების განვითარებას ელის.

მაკინისი: გახსოვდეს და გეშინოდეს!

სენტლუისელი ელ მაკინისის დარტყმის მომაკვდინებელი ძალა ყველა მეკარეს უგემია, მაგრამ სანამ მცველი ტრავმის გამო ისვენებდა, ზოგმა მათგანმა, ეტყობა, მიივიწყა ეს. თუნდაც ჩიკაგოელი ჟოსლენ ტიბო ავიღოთ. მაკინისის დარტყმაზე რეაგირება რომ არ ეცადა, იქნებ გაცილებით იოლადაც გადარჩენილიყო თვითონაც და მისი გუნდიც. ტიბომ უძლიერესი დარტყმა ხელრიანად ვერ მოიგერია და მისი საჭერისგან ასხლეტილი შაიბა პირდაპირ კარში შესრიალდა, თავად მეკარეს კი თითი მოსტყდა. ასე გახსნეს ანგარიში სენტლუისელებმა და „ქორების" უბედურებაც დაიწყო. ტიბოს ნაცვლად კარში ახალბედა მარკ ლამოტი ჩადგა და „ბლუზმენებმა" ყველაფერი გააკეთეს, რათა ნორჩს ეს ღამე არასოდეს დავიწყებოდა. შეხვედრა სენტ ლუისის გამარჯვებით დასრულდა — 8:3.

ამ უქმეებზე კიდევ ერთ მეკარეს უმტყუნა ბედმა. ფინიქსელმა შონ ბურკმა კოლორადოსთან კარი მშრალად შეინახა (კარიერაში მე-20 შთაუტი), მაგრამ მანაც თითი იტკინა, საოპერაციო გახდა და ალბათ თვეზე მეტი დასჭირდება გამოსაჯანმრთელებლად. არადა, ბურკმა ერთობ კარგად დაიწყო ფინიქსური კარიერა (მანამდე კიდევ ერთი თამაში მოიგო). კლუბის მესვეურთ კი კვლავ გაუჩნდათ ძირითადი მეკარის პრობლემა.

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

ტორონტო	26	14	3	2	9	75:55	33
ოტავა	24	13	2	1	9	67:57	29
ბოსტონი	25	11	6	0	8	65:58	28
ბუფალო	24	11	2	0	11	66:65	24
მონრეალი	24	9	1	1	14	50:62	20

ატლანტა

ფილადელფია	25	13	4	1	8	74:57	31
ნიუ ჯერსი	22	11	3	2	8	58:52	27
პიტსბურგი	21	7	3	3	11	67:65	20
რეინჯერსი	23	7	3	1	13	54:69	18
აილენდერსი	20	6	3	0	11	43:60	15

სამხრეთ-აღმოსავლეთი

ფლორიდა	23	13	2	2		63:54	30
კაროლინა	24	10	6	0	8	57:59	26
ვაშინგტონი	23	9	4	1	10	59:67	23
ტამპა	23	8	2	2	13	64:75	20
ატლანტა	22	5	2	1	15	51:84	13

ცენტრი

სენტ ლუისი	24	15	2	0	7	75:53	32
დეტროიტი	24	14	3	1	7	78:54	32
ნეშვილი	22	7	1	2	14	53:68	17
ჩიკაგო	23	5	4	2	14	56:75	16

ჩრდილო-დასავლეთი

ვანკუვერი	24	10	6	1	8	67:72	27
კოლორადო	24	10	3	1	11	66:69	24
ედმონტონი	23	6	6	3	11	57:63	21
კალგარი	23	8	2	0	13	53:78	18

წყნარი ოკეანე

ფინიქსი	24	15	3	0	6	79:57	33
ლოს ანჯელესი	25	14	4	1	7	82:64	33
სან ხოსე	28	14	3	2	11	81:70	33
ანაჰაიმი	25	12	2	1	11	66:60	27
დალასი	24	10	3	1	11	52:56	24

შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ გრაფაში კი ჩაბარებული თამაშების რაოდენობაა მოყვანილი

გომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 39 (19+20); ნოლანი (სან ხოსე) 34 (15+19); რეკი (ფილადელფია) 32 (10+22); რენიკი (ფინიქსი) 30 (14+16); პალფი (ლოს ანჯელესი) 27 (12+15); ფრიზენი (სან ხოსე) 26 (12+14); დეტერა (სენტ ლუისი) 26 (11+15); ბონკი (ოტავა) 26 (10+16); დამფუსი (სან ხოსე) 26 (8+18); ამონტე (ჩიკაგო) და ვ. ბურე (კალგარი) 25 (13+12); ლინდროსი (ფილადელფია) და სელიანე (ანაჰაიმი) 25 (11+14); გომესი (ნიუ ჯერსი) 25 (5+20).

ახალგაზრდები: გომესი 25 (5+20); შეფერი (ვანკუვერი) 15 (7+8); ტანგეი (კოლორადო) 15 (6+9); ჰენტი (სენტ ლუისი) 15 (4+11); იორკი (რეინჯერსი) 14 (8+6); ს. კარია (ვანკუვერი) 13 (6+7); სტიუარტი (სან ხოსე) 13 (3+10); ბუზეკი (ატლანტა) 11 (4+7); ლეტოვსკი (ფინიქსი) 10 (6+4); რაფალსკი (ნიუ ჯერსი) 10 (1+9).

მცველები: დეფარდენი (ფილადელფია) 21 (8+13); ბლეიკი (ლოს ანჯელესი) 20 (10+10); ჰაუსლი (კალგარი) 19 (5+14); ბურკი (ბოსტონი) 16 (4+12); ნუმინენი (ფინიქსი) 16 (3+13); შპაჩეკი (ფლორიდა) 15 (6+9); მერფი (დეტროიტი) და ტვერდოვსკი (ანაჰაიმი) 15 (4+11); ოზოლინში (კოლორადო) 15 (3+12); პრონგერი (სენტ ლუისი) 15 (2+13)

ინგლისი

I დივიზიონი

ქუინზ პარკი — შეფილდი 3:1; ჩარლტონი — ბლექბერნი 1:2

თასის II ეტაპი. გადათამაშება

ბრაიტონი — პლიმუთი 1:2; კარდიფი — ბერი 1:0 დ.დ. (0:0); ჰალიფაქსი — რედინგი 0:1; ლინკოლნი — ლუტონი 0:1; უიგანი — უიკომბი 2:1; ოქსფორდი — შრიუსბერი 2:1 დ.დ. (1:1)

ლიგის თასი. მერვედფინალი

ტრანმერი — ბარნსლი 4:0; მიდლსბრო — არსენალი 3:1 პენ. (2:2); ჰადერსფილდი — უიმბლდონი 1:2 დ.დ. (1:1); ბოლტონი — უენსდი 1:0; ბირმინგემი — ვესტ ჰემი 2:3

ავსტრია

შტურმი 3:1 რაპიდი

გერმანია

თასი. მერვედფინალი

ტრირი — პანზა 0:4; ფრაიბურგი — კოტბუსი 2:0; მაინცი — ჰერტა 2:1 დ.დ. (1:1); შტუტგარტი — კიოლნი 4:0

იტალია

თასი. მერვედფინალი. I წრე

ინტერი 2:1 ბოლონია

ჰოლანდია

როდა 3:1 მაასტრიხტი

შოტლანდია

ლიგის თასი. მეოთხედფინალი

კილმარნოკი — ჰართსი

გადაიდო



REUTERS პარიზიდან

შირაკის ველზე ოცვდიკარ

ელისეს სასახლეშიო და ლანჩი გაწყობილაო. პრეზიდენტ შირაკსაო და საინძელო უთქვამსო. დაძახებულიკიდევო, მორაგბენი ყოფილანო, მთელი საფრანგეთის ნაკრებიო. უხარია ფრანგ ხალხს, ასე სახელოვნად რომ მოვლეთ მსოფლიოს თასიო. ოლ ბლექსიც შეაბითურეთ და სულ ცოტა დაგაკლდათო ულაპარაკნია შირაკსა.

ნიცაში, თამაშის წინ

REUTERS ნიციდან

ნიცაში დევისის თასის ფინალური თამაშები უნდა გაიმართოს მასპინძელ ფრანგებსა და უნდა გაიმართოს შორის. თამაში თამაშად და ძყალ-სახსარ-კისრის კარგ მუშაობას მასაჟისტი თუ უზრუნველყოფს. ამიტომაც ითმენს წყვილთა ოზი მოთამაშე მარკ ვუდფორდი ერთ კარგ დამუშავებას.

ასეთი ჰოკეი

REUTERS სანფრანცისკოდან

სადაც ჩრდილოამერიკული ჰოკეის ლიგაა, ვაჟკაცობა და ამტანობაც იქვეა. „ატლანტა თრეშერზის“ ფრთის მოთამაშე ნელსონ ემერსონი ძალოვან ილეთზე წამოუგია „ფლორიდა პანტერზის“ მცველ იაროსლავ შპაშეკს და აი, შედეგიც — ყინულზე თავით დახეთქებული ემერსონი მოედნიდან გაჰყავთ. ძველ დროში, საბჭოთა ტელევიზორიდან გვეტყოდნენ, ასეთი ჰოკეი ჩვენ არ გვჭირდებაო. ახლა კი ვიცით, რომ ჰოკეი მხოლოდ „ასეთია“ და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

REUTERS სიდნეიდან

REUTERS სიდნეიდან

ვერ შეედრება ჩემს მატილდასაოოო...

ასმ უმღერიათ ოდესღაც განთქმულ ოპერეტაში. ის მატილდა ვინ იყო, ვიცი. ეს მატილდები კი ძაან გოგოები რომ გახლავან, ნაღდია. „მატილდები“, სწორედ ასე ჰქვია ავსტრალიელ ფეხბურთელ გოგოშკათა გუნდს, რომელიც, თუ ფეხბურთით ვერა, ნუდისტურ, წელსზევითა გამოჩენილობით მაინც იქცევენ ყურადღებას. ამ მატილდებს გადაუწყვეტიათ, საკალენდარო გუნდური ფოტო შიშვლებს გადაეღოთ. გადაიღეს და გაუმართლათ კიდეც — თავიდან კალენდრის ტირაჟი 5 ათასი ცალი იყო, ახლა კი 45 ათასზე ავიდა. უახლოეს თვეებში 70 ათასსაც მიაღწევსო, იტყობინება ელექტროფოსტა. საკვირველიც ის იქნებოდა, არ მიეღწია. თავად დაათვალიერეთ. ფეხბურთი კი, მეორადია ამ ამბავში.

REUTERS სიდნეიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli